საარჩევნო არჩევნების საარჩევნო შეფასებები A5 | რუბრიკის პრემიერა B1 | ძებლები B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 18 ოქტომბერი, 2003 წელი. №275 (487)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

## მაჟორიტარი კანდიდატები - ვინ საიდან იკვლევს გზას პარლამენტისკენ

ყველაზე მრავალრიცხოვანი არტილერიით კახეთის რეგიონს სახელისუფლებო ბლოკი და "აღორძინება" უტევენ. კახეთის რვა რაიონიდან მათ შვიდგან საკუთარი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი წარადგინეს. ყვარელი ერთადერთი რაიონია, სადაც ხელისუფლებას საკუთარი წარმომადგენელი არ მიუვლენია. კახეთის რეგიონში არც ერთი კანდიდატი არ წარუდგენიათ "მრეწველებს".

A3

### ეკონომიკა

## ევროკომისია საქართველოს ახალ საბაჟო კოდექსს სთავაზობს

*შესაძლოა, მალე ახალი საბაჟო კოდექსი გვქონდეს. ევროსაბაჟოს ექსპერტების ერთწლიანი მუშაობის შემდეგ სრულიად ახალი კოდექსი მომზადდა, რომელიც, მუშა ჯგუფის მტკიცებით, საერთაშორისო სტანდარტებს ზუსტად შეესაბამება.*

A4

### უცხოეთი

## ერაყის შესახებ რეზოლუცია საბოლოოდ მიღებულია

16 ოქტომბერს გაერო-ს უშიშროების საბჭომ ერაყის მომავალი განვითარების საკითხზე რეზოლუციის პროექტი ერთხმად დაამტკიცა.

A5

### საზოგადოება

## ეს იყო პეტერბურგში...

ოქტომბრის დასაწყისში პეტერბურგში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა ეგიდით - "გავცვალოთ საუკეთესო გამოცდილებები განათლებაში". კონფერენციას ორგანიზება რუსეთში არსებულმა ბრიტანეთის საბჭომ გაუწია, რუსეთის განათლების სამინისტროსა და დიდი ბრიტანეთის განათლებისა და უნარ-ჩვევების დეპარტამენტის ხელშეწყობით. კონფერენციაში ქართული მხარეც იღებდა მონაწილეობას.

A6

### სამართალი

## სვანური ანტიკრიმინალური ოპერაციის შედეგი

ერთი თვის წინ დიდი აჟიოტაჟით დაწყებული სვანური ანტიკრიმინალური ოპერაცია და მესტიაში მიმდინარე მოვლენები თითქმის უკვე ყველას გადაავიწყდა. რას აკეთებს სვანეთში ამ ხნის განმავლობაში პოლიცია?

A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 21 | |
| ქუთაისი | 24 | |
| ბათუმი | 23 | |
| სოხუმი | 21 | |
| ფოთი | 24 | |
| თელავი | 20 | |
| ზუგდიდი | 24 | |
| გორი | 19 | |
| ახმეტა | 20 | |
| ქიათურა | 22 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0850 |
| ევრო | 2.4169 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4903 |
| რუბლი | 0.0693 |

# ხელისუფლების კორუმპირებულობა და უუნარობა ყველაზე დიდი საფრთხე

## ვაშინგტონის ქართული ფორუმი შეშფოთებულია საქართველოზე რუსული ენერგომონოპოლიის აღდგენით

- *საქართველოს არ აქვს ფული და არ აქვს ენერგია, რუსეთის ენერგეტიკული გიგანტები კი ქართული ენერგეტიკის სფეროს სრულ პრივატიზებაზე ფიქრობენ.*
- *ვიცით, რომ ქვეყანაში არის კორუფცია, არის პრეზიდენტის ნათესაობა, მაგრამ თუ არის გამოსავალი?*
- *როგორია ამერიკის სტრატეგია რუსეთიდან მომავალი ენერგეტიკული საფრთხის თავიდან ასაცილებლად?*
- *როგორ წარიმართება საქართველოსა და, ზოგადად, რეგიონის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა საქართველოზე რუსული ენერგომონოპოლიის დამყარების შემდეგ?*

ია მეურმიშვილი
*ვაშინგტონიდან*

ეს იყო ქართული ფორუმის (ფორუმი რამდენიმე თვის წინ დაარსდა და მისი დამფუძნებლები საქართველოში ამერიკის ყოფილი ელჩები და ცნობილი ექსპერტები არიან) დისკუსიის თემა, რომელიც ვაშინგტონში ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტში 15 ოქტომბერს გაიმართა.

ფორუმზე შეშფოთება იმის თაობაზეც გამოითქვა, თუ რა გავლენას მოახდენს აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგოდერეფნის ამუშავებაზე საქართველოს ენერგეტიკაზე რუსეთის სრული მონოპოლიის აღდგენა.

გაგრძელება A8 გვერდზე

# ქართულ-აფხაზური დელეგაციის ვიზიტი ბალკანეთზე


ენვერ სულეიმანოვის ფოტო

*ქართულ-აფხაზური დელეგაციის მიღება გაერო-ს წარმომადგენლობაში.*

გუშინ ქართულ-აფხაზური დელეგაცია, რომელიც სწავლობდა პოსტკონფლიქტურ პრაქტიკას ბალკანეთზე, კოსოვოში იმყოფებოდა. შვიდდღიანი ვიზიტი მოეწყო გაერო-ს საერთაშორისო სამშვიდობო ინიციატივით. ბოსნიის და ჰერცეგოვინის შემდეგ, დელეგაცია გუშინ პრიშტინაში ჩავიდა და გაერო-ს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელს ჰარი ხოლკერსა და კოსოვოს დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შეხვდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# კრივი იყო და არ იყო

ბიბა ბურასაშვილი

*კრივის მსოფლიო კავშირის (WBU) საჩემპიონო სარტყელი, როგორც აიტანეს რინგზე, ისე ჩამოიტანეს. გიორგი კანდელაკმა გარუსებულ გერმანელს, ვინმე რიჩარდ შლაიგერს სამ რაუნდში მოუღო ბოლო. დედა, ეს რა ვნახეთო, რომ ვთქვათ, ტყუილი გამოგვივა. ბუნებრივია, ბრძოლიდან გამომდინარე. როგორც წესი, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოცილედ ანუ პრეტენდენტად ესა თუ ის ფედერაცია, ისევ და ისევ საკრივო განაწესით, ჩემპიონს მისივე რეიტინგის ზინადართან, ამასთან, პირველ ნომერთან ბრძოლას აიძულებს. თუ პირველს არა, ათეულში მყოფს მაინც შეარკინებს. ანუ, ამით იმის თქმა გვსურს, რომ მოწინააღმდეგე მეტ-ნაკლებად თანაბარძალოვანი უნდა იყოს. სხვაგვარად ორთაბრძოლა "ცალკარას" დაემსგავსება. სწორედ ასეთი "ცალკარა" შეხვედრის მოწმენი გავხდით გუშინ სპორტის სასახლეში.*

გაგრძელება B5 გვერდზე


ინტერპრესი

*გამარჯვებულები*

## დსთ-ს ერთიანი ეკონომიკური სივრცე - ორიენტაცია ევროს ზონაზე

რუსუდან ნიკურაძე
*საქ.კორ.მოსკოვში*

მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის ვიცე-პრემიერმა ვიქტორ ხრისტენკომ ისაუბრა იმ სიკეთეებზე, რასაც, მისი აზრით, დსთ-ს ქვეყნების ერთიანი ეკონომიკური სივრცე მოიტანს. ეს გაერთიანება, ენერგეტიკული ინტეგრაციის გარდა, კაპიტალის, საქონლისა და მუშახელის თავისუფალ მიმოქცევას გულისხმობს. ამას გარდა, რუსეთის ვიცე-პრემიერი ხაზს უსვამს, რომ ერთიანი სავალუტო-საკრედიტო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცის ეკონომიკური აღორძინების კარგი პირობა იქნება.

ხრისტენკოს თქმით, ერთიანი ეკონომიკური სივრცის შემადგენელი ქვეყნებიდან უკრაინა პირველია, სადაც გაზის კონსორციუმის პროგრამა მალე ეროვნულ კაპიტალსაც შეცვლის. კარგია ეს თუ ცუდი? - კითხულობს ვიცე-პრემიერი და თავად პასუხობს: კარგია, კარგი, რადგანაც დღეს რუსული კაპიტალი უკრაინის გაზისა და ნავთობის სფეროში უკვე აქტიურად მუშაობს.

უკრაინაში რუსული კაპიტალის შეჭრით გალაღებული ვიცე-პრემიერი ერთიანი ეკონომიკური სივრცის ერთიან ვალუტაზე საუბრობს და აცხადებს, რომ ყველა სახელმწიფოსათვის მომგებიანი იქნებოდა ნავთობის პროდუქციის პარამეტრების ევროში გადატანა. **"ჩვენ ევროზე უფრო ვიქნებით ორიენტირებულნი,"** - აცხადებს რუსეთის ვიცე-პრემიერი. შემდეგ იგი საუბრობს დსთ-ს ეკონომიკურ სივრცეში ურთიერთვაჭრობის სტაგნაციაზე და ასახელებს მიმოქცევის მოცულობის მაჩვენებელს

გაგრძელება A8 გვერდზე

### ნინო ბურჯანაძე:

## ბაქო ჩვენთვის გაკვეთილი უნდა იყოს

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

ნინო ბურჯანაძისთვის მიმდინარე კვირა მეტად დატვირთული გახლდათ, როგორც პოლიტიკური, ასევე წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების თვალსაზრისით. კვირის განმავლობაში მან დასავლეთ საქართველოს რვა რაიონი და რამდენიმე ქალაქი მოიარა. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს ხალხი მეტად თბილად ხვდებოდა, რეგიონის დაუსაქმებელ, უხელფასო და უპენსიო მოსახლეობასთან საუბარი არც ბურჯანაძისთვის გახლდათ იოლი. ზემოთაღნიშნულს თუ მიმდინარე კვირაში სახელისუფლებო ბლოკის მიერ ინტენსიურად ნაწარმოებ შავი პიარსაც დავუმატებთ, შესაძლოა, ეს ერთი ქალბატონისთვის მეტად მძიმე ტვირთად მოგეჩვენოთ, თუმცა ნინო ბურჯანაძე ხელისუფლების ზეწოლას უძლებს და შეიძლება ითქვას, რომ წარმატებითაც.

ამის დასადასტურებლად ნინო ბურჯანაძის მოგზაურობის ბოლო ერთი კვირის მოკლე ანგარიშს შემოგთავაზებთ.

მიმდინარე კვირის ორშაბათს, ნინო ბურჯანაძე ზუგდიდსა და წალენჯიხას სტუმრობდა. ზუგდიდში ბურჯანაძე უნივერსიტეტში ლექტორ- მასწავლებლებს შეხვდა, წალენჯიხაში კი მოძრაობა "სამეგრელოს ქალები ნინოს მხარდასაჭერად" ჩამოაყალიბა. მომდევნო დღეს, ბურჯანაძე ზემო იმერეთს ეწვია და საჩხერე-ჭიათურის მოსახლეობას ესაუბრა. ნინო ბურჯანაძე აღნიშნული რაიონების რამდენიმე სოფელში იმყოფებოდა, მოინახულა რაიონული საავადმყოფო და საჩხერის ბატალიონი. ოთხშაბათს კი პარლამენტის თავმჯდომარე უკვე ცაგერშია. იგი ჯერ სოფელ ალპანაში იმყოფებოდა, შემდეგ კი მშობლიურ ლეჩხუმს ეწვია. განსაკუთრებით თბილი შეხვედრა ქალბატონ ნინოს სწორედ ლეჩხუმში მოუწყვეს (ანზორ ბურჯანაძე წარმოშობით ლეჩხუმელია). მომდევნო დღეს იგი რაჭაში მიემგზავრება და უკვე ამბროლაურისა და ონის მოსახლეობის პრობლემებს ეცნობა. გუშინ კი პარლამენტის თავმჯდომარემ ქუთაისის სამედიცინო დაწესებულებები და აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოინახულა. საქართველოს უმეტესი რაიონების, ფაქტობრივად, კარდაკარ შემოვლის შემდეგ ქალბატონი ნინო შემდეგ კომენტარს აკეთებს:

გაგრძელება A3 გვერდზე

## სამლარიანი გაუგებრობა

მაია ურუშაძე

დედაქალაქის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე კობა ბექაური ხელისუფლებას "ნაციონალებისა" და, პირადად, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის წარმოებაში ადანაშაულებს, ბრძოლის იარაღად კი თბილისელთა პენსიებზე სამლარიანი დანამატის მოხსნას ასახელებს. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც სააკაშვილის ძალისხმევით თბილისელების პენსიები 17 ლარამდე გაიზარდა, "ინტელექტბანკმა" და "ერთიანმა საპენსიო ფონდმა" საერთოდ შეწყვიტეს საპენსიო ხარჯების დაფინანსება, ხოლო "საფოსტო ბანკი" კი პენსიებს ძველებურად – 14 ლარის ოდენობით გასცემს.

ეს საკითხი ბექაურმა გუშინ, თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის საგანგებო სხდომაზე წამოწია. თუმცა, სხდომას აშკარად აკლდნენ ის პასუხისმგებელი პირები, ვისთანაც

გაგრძელება A2 გვერდზე

## გრიგოლ ხურცილავას კიდევ მოუწევს ჩვენების მიცემა

ხათუნა ჯანგირაშვილი

გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეზე გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში დაკითხულ ყველა მოწმეს ხელახლა დასაკითხად საოლქო სასამართლოში დაიბარებენ. ეს გადაწყვეტილება გუშინ მიიღო საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ. მოსამართლე ნანა გუგუნაშვილისგან განსხვავებით, სააპელაციო სასამართლოს სხდომის მდივანს სახელმწიფო ტელევიზიისთვის არ მიუცია მითითება სასამართლო პროცესის პირდაპირი ეთერით ტრანსლირების შესახებ.

რაც შეეხება დაზარალებულს – გიორგი სანაიას მეუღლეს, იგი საოლქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე არ აპირებს გამოცხადებას. "თუ დავრწმუნდები, რომ სასამართლო ობიექტურად, სრულყოფილად და მიუკერძოებლად მიმდინარეობს, მხოლოდ იმ შემთხვევაში დავესწრები პროცესს", – ასეთია ხათუნა ჩხაიძის განაცხადი.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პოლიტიკა
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ძებლები | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# ქართულ-აფხაზური დელეგაციის ვიზიტი ბალკანებზე

პირველი გვერდიდან

დელეგაციამ მოლაპარაკება გამართა დროებითი ადმინისტრაციის პოლიციის და იუსტიციის წარმომადგენლებთან, ესტუმრა ვუშტრის პოლიციის სკოლას, ადგილობრივი პოლიციის ტრენინგცენტრსა და დაბრუნებული ლტოლვილების საცხოვრებელ ადგილებს.

სარაევოში ვიზიტი 12 ოქტომბრიდან დაიწყო. სამდღიანი დინამიური მუშაობის პროცესში დელეგაცია შეხვდა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მათ შორის - ბოსნიისა და ჰერცეგოვინის უმაღლესი წარმომადგენლობის ოფისს, ასევე ეუთო-ს და გაეროს უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობებს, ევროკავშირის პოლიციურ მისიას, ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებს და სამართალდამცავ ორგანოებს სარაევოსა და ბანიე ლუკაში. შეხვედრებზე უმთავრესად განიხილებოდა უსაფრთხოებისა და იმ მხარდაჭერის საკითხები, რასაც საერთაშორისო სამოქალაქო პოლიცია უწევს ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს. დელეგაციამ ასევე მოინახულა ადგილობრივ გადაადგილებულთა და ლტოლვილთა ომამდელი საცხოვრებელი, სადაც ისინი დაბრუნდნენ.

ბოსნია და ჰერცეგოვინა, კოსოვო, სერბია-მონტენეგრო მაგალითებია აფხაზეთის და საქართველოს ურთიერთობების რთული კონფლიქტის გადასაჭრელად, რომელიც გვარდება გაერო-ს ეგიდით. ეს იმის მაგალითია, თუ რა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამოქალაქო პოლიციის თანამშრომლობამ ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მოსახლეობასთან, ყველა დონეზე.

სამოქალაქო პოლიციის როლის უშუალო დაკვირვება ორივე ქვეყნის წარმომადგენლებისთვის კარგი მაგალითია იმის სადემონსტრაციოდ, როგორ შეიძლება, რომ მსგავსი ოპერაცია წარიმართოს აფხაზეთის და საქართველოს კონფლიქტურ ზონებში იმ შემთხვევაში, თუ პროცესში ჩაერთვება სამოქალაქო პოლიციის კომპონენტი.

ბალკანებზე შვიდდღიან ვიზიტში მონაწილეობს გაერო-ს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელი, აგრეთვე - ქართული სამკაციანი დელეგაცია, მალხაზ კაკაბაძის ხელმძღვანელობით და აფხაზეთის ასევე სამკაციანი დელეგაცია, სერგეი შამბას ხელმძღვანელობით.

*24 საათი*

# მე ვიცი, რომ ჩრდილელმა იცის...

ვერიკო თევზაძე

*"ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც მყავსან როგორც მოწინააღმდეგეები, ასევე მხარდამჭერები, მეგობრები", - ფინანსთა მინისტრის ყოფილი მოადგილის, ვაკის მაჟორიტარი კანდიდატის ლევან ჩრდილელის ეს განცხადება იმპროვიზაციისთვის შესანიშნავი საშუალებაა, თანაც, რამდენიმე დასკვნის საშუალებას გაძლევს. პირველი: ჩრდილელი სიფრთხილეს იჩენს და ხელისუფლებას კიდეც ადებს და არც ადებს ხელს მის წინააღმდეგ შავი პიარის წარმოებაში.*

სიმართლის ნახევრად თქმის მიზეზი გასაგებია - არჩევნების წინ მაჟორიტარ კანდიდატს არავისთან სურს ურთიერთობის გამწვავება, თანაც არც ელექტორატს აღიზიანებს. სულ რომ არ ამოიღოს ხმა, უკვე აღარ შეიძლება, სირცხვილია: სხვები ალაპარაკდნენ ხელისუფლების მიერ ჩრდილელის წინააღმდეგ წარმოებულ შავ პიარზე.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ლევან ჩრდილელმა მასმედიას აუწყა: ვიღაცა ბინძურ ჭორებს მიგორებს, თითქოს ჩემს წარმომადგენლებს ვაგზავნი მოსახლეობაში და მხარდაჭერის სანაცვლოდ, 50 ლარს ვპირდებიო. **"ეს პროვოკაციაა, ჩემს დისკრედიტაციას ცდილობენ."** მაგრამ ვინ? – ჩრდილელი, როგორც უკვე მოგახსენეთ, არ აკონკრეტებს. პრესამ ვაკელ კანდიდატს "მოამბის" რამდენიმე დღის წინანდელი



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ლევან ჩრდილელი გაკვირვებულია, რატომ ეწევა სახელმწიფო არხი მის საწინააღმდეგო კამპანიას.*

სიუჟეტიც მოაგონა, სადაც სახელისუფლებო ბლოკის წევრი ჩრდილელი წარმოდგენილი იყო, როგორც დაბალრეიტინგიანი კანდიდატი. **"მე გაკვირვებული ვარ, რატომ კეთდება ეს პირველ არხზე, სახელმწიფო ტელევიზიაში... რეიტინგები, რომელიც სიუჟეტში უჩვენეს, ხელოვნური იყო. მაგრამ არ ვიცი, ხელოვნური რეიტინგი შემთხვევით უჩვენეს თუ შეგნებულად."**

ჩრდილელს ჟურნალისტებმა ბლოკ "ბურჯანაძე - დემოკრატებთან" მეგობრობაზეც გადაუკრეს სიტყვა. ბატონი ლევანი არ დაბნეულა, მისი ფორმულა – როგორც პოზიციაში, ასევე ოპოზიციაში მყავს მეგობრებიც და მოწინააღმდეგეებიც - უნივერსალურიაა... და კიდევ, როცა პრესამ გუშინდელ პრესკონფერენციაზე ლევან ჩრდილელს აშკარად აგრძნობინა, ენას კბილს აჭერ, თორემ, ვიცით, რომ შენ იცი, სახელისუფლებო ბლოკი რასაც გიშვრებაო, ჩრდილელმა ხაზგასმით აღნიშნა: სახელისუფლებო ბლოკის სიაში, ჩემივე მოთხოვნით, ბოლო ადგილზე ვწერივარო. მკითხველი, ბუნებრივია, იკითხავს - ბოლოა თუ ბოლოდან მეორე, რა მნიშვნელობა აქვს, მაინც ხომ იმათთან ირიცხებაო. ჰოდა, ასეთ შემთხვევაში სავსებით ბუნებრივია, რომ კაცი ორივე ფრონტზე იბრძოდეს...

# ორი სიტყვით

**თბილისი.** საარჩევნო ბლოკის "ბურჯანაძე დემოკრატების" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ იმერეთის რეგიონში წინასაარჩევნო ვოიაჟი დღეს სამტრედიის რაიონის მონახულებით დაასრულა. ბურჯანაძე სამტრედიის რაიონის სოფლებს - დიდ ჯიხაიშს და გომს ეწვია. იგი 1993 წელს "ზვიადისტებსა" და ხელისუფლებას შორის მომხდარი დაპირისპირების შედეგად დაზარალებულ ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. გუშინვე ნინო ბურჯანაძე ქუთაისში სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა და სამშობიარო სახლი მოინახულა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმის ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტი ვალერი არშბა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "აიტაირას" მოთხოვნის შესაბამისად, აფხაზეთში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას არარეალურად მიიჩნევს და აცხადებს, რომ გამოჯანმრთელებული ვლადისლავ არძინბა თვის ბოლოს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეუდგება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტისგან სატელეფონო მილოცვის შემდეგ, ოფიციალურ წერილობით მილოცვასაც იღებს. "აზერბაიჯანელმა ხალხმა გააკეთა თავისი არჩევანი. ვჩქარობ მოგილოცოთ ესოდენ დამაჯერებელი გამარჯვება. თქვენ საქართველოში გიცნობენ, როგორც ქართველი ხალხის ერთგულ მეგობარს. მჯერა, როგორც ჰეიდარ ალიევი, თქვენც ხელს შეუწყობთ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებას. მინდა გისურვოთ წარმატებები ქვეყნის სამსახურში," - აღნიშნულია ედუარდ შევარდნაძის მიერ აზერბაიჯანის ახალი პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც გუშინ საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახურმა გაავრცელა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან წინასაარჩევნო შეხვედრებს განაგრძობს. დღეს ნათელაშვილი ლენტეხის, ცაგერისა და წყალტუბოს რაიონების მოსახლეობას შეხვდება. "ლეიბორისტთა" ლიდერი ცაგერის მოსახლეობას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს - დავით ჩხეტიანს წარუდგენს. გუშინ ნათელაშვილმა შეხვედრები გამართა მარტვილის, აბაშისა და ქუთაისის ამომრჩევლებთან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ახმეტა.** "ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ გურჯაანისა და ახმეტის რაიონების მოსახლეობასთან წინასაარჩევნო შეხვედრები გამართა. "ახლების" ლიდერმა ახმეტაში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად შოთა მამსიკაშვილი წარადგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანების "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი და ვაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძე დღეს ფილარმონიაში თბილისის მოსახლეობას შეხვდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თელავი.** საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე გუშინ კახეთში მოგზაურობდა. თავდაპირველად იგი სიღნაღის რაიონში სოფლების - ვაქირის და ანაგის დამაკავშირებელი ხიდის საზეიმო ვითარებაში გახსნას დაესწრო, შემდეგ კი, გურჯაანის თეატრში ადგილობრივ ამომრჩევლებს შეხვდა. გუშინვე ავთანდილ ჯორბენაძე პანკისის ხეობაში ჩავიდა და სახალხო დღესასწაულს "პანკისობას" დაესწრო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დღეს დილით ჩოხატაურის რაიონს ესტუმრება. პროტოკოლის მიხედვით, ვიზიტისას დაგეგმილია ცენტრალურ სტადიონზე არსებულ სპორტულ კომპლექსში მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოების დათვალიერება. შემდეგ პრეზიდენტი სოფელ ხიდისთავში ნოდარ დუმბაძის სახელობის ხიდის გახსნას დაესწრება. პრეზიდენტი მონაწილეობას მიიღებს დაბა ჩოხატაურში ბუნებრივი აირის გაშვების საზეიმო ღონისძიებაში. დღესვე ედუარდ შევარდნაძე მხარეთმცოდნეობის აღდგენილ მუზეუმს დაათვალიერებს და მოგვიანებით კი, ნოდარ დუმბაძის ბიუსტისა და მისი სახელობის სკვერის გახსნის ცერემონიალს დაესწრება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცესკო-ს შეკვეთით გუშინ დაიწყო საარჩევნო ბიულეტენების და, სავარაუდოდ, ორ დღეში დასრულდება სარეფერენდუმო ბიულეტენების ბეჭდვა. ბიულეტენების ფორმები ცესკო-ს შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებმა ოთხ სტამბას ჩააბარეს. გავრცელებული ინფორმაციით, ბიულეტენების ბეჭდვის პროცესი უშიშროების სამინისტროს ორორი წარმომადგენლის მკაცრი კონტროლის ქვეშ მიმდინარეობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბლოკ „ახალი საქართველოსთვის" წევრი, ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მერაბ სამადაშვილი მის საარჩევნო შტაბში ხანძრის გაჩენას წინასაარჩევნო კამპანიას უკავშირებს, თუმცა მომხდარის პოლიტიკური შეფასებისგან თავს იკავებს. სამადაშვილის თქმით, ხანძრის შედეგად მთლიანად განადგურდა სახელისუფლებო ბლოკის საარჩევნო დოკუმენტაცია, მათ შორის - მხარდამჭერთა სიები, სააგიტაციო-საპროპაგანდო საშუალებები. სამადაშვილის საარჩევნო შტაბში ხანძარი 17 ოქტომბერს, ღამით გაჩნდა. **მედია-ნიუსი**

# შეხლა-შემოხლა ზუგდიდში

ზუგდიდის გამგეობის შენობაში აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ლონდერ ცაავას გუშინდელი შეხვედრა აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობასთან სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. როგორც თავად ცაავა აცხადებს, ეს დევნილთა და ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელთა მორიგი შეხვედრა გახლდათ, სადაც დევნილთა სოციალური მდგომარეობა უნდა განხილულიყო. თუმცა, სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, დახურულ კარს მიღმა გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების თითქმის ყველა უწყების ხელმძღვანელი და მინისტრი დაესწრო, დევნილებს, სახელისუფლებო ბლოკის მხარდაჭერის სანაცვლოდ, პენსიებისა და შემწეობების გაცემას შეჰპირდნენ.

დევნილთა ნაწილმა ნადარეიშვილის ხელისუფლებას უნდობლობა გამოუცხადა, რის გამოც სიტუაცია დარბაზში დაიძაბა. ნადარეიშვილის წინააღმდეგ გამოვიდა გალის გამგებლის ყოფილი მოადგილე, პარტიზანული დაჯგუფება "ტყის ძმების" მეთაური დათო შენგელია. შეხვედრის მიმდინარეობისას საუბარი შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. შეკამათება გალის ქართული პოლიციის უფროსს ჯემალ გოგოხიას და დათო შენგელიას შორის მოხდა. ინციდენტი მას შემდეგ დაიწყო, რაც დათო შენგელიამ თამაზ ნადარეიშვილი, აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით, "ქვეყნის ღალატში" დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ გალის ადგილობრივი ხელისუფლება და თავად გალის გამგებელი ბუტაფორიული წარმონაქმნია. შენგელიას განცხადებით, მას არ მოსწონს თამაზ ნადარეიშვილის კურსი და მისი პიროვნება, თუმცა, როგორც მან აღნიშნა, პარტიზანები სახელისუფლებო ბლოკს უჭერენ მხარს.

შენგელიას გააქტიურებას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი მოახლოებულ არჩევნებს უკავშირებს და მის გუშინდელ განცხადებას კომენტარს არ უკეთებს, რადგან თვლის, რომ "კრიმინალი და ნარკომანი" შენგელია, "არა პოლიტიკოსების, არამედ სამართალდამცველების გასარჩევია". ნადარეიშვილის მტკიცებით, იგი შენგელიას კრიმინალურ საქმიანობაზე საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას ფლობს და როცა შენგელიას სამართალდამცველები დააკავებენ, ყველაფერს მოყვება.

*24 საათი*

# "ალორძინება" გიორგი ბარამიძეს გაჭირვებულების დახმარებაში ადანაშაულებს

გიორგი ასანიშვილი

*გიორგი ბარამიძეს ბეწვის ხიდზე უწევს სიარული. დიდუბის რაიონში მაჟორიტარობისთვის ბრძოლაში ერთ-ერთმა მისმა კონკურენტმა, "ალორძინების" წარმომადგენელმა ომარ მდივნიშვილმა "გაერთიანებული დემოკრატების" საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარეს ამომრჩეველთა მოსყიდვაში დასდო ბრალი, სასამართლოში უჩივლა და მისთვის დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმება მოითხოვა. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლო ბარამიძისადმი წაყენებულ ბრალდებას დღეს განიხილავს – ცესკო-ს წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო, გადაწყვეტილების გამოტანა თემიდამ გუშინ ვერ მოახერხა.*

დეპუტატობისთვის ბრძოლაში მთავარი კონკურენტის გზიდან ჩამოცილების მოსურნე ომარ მდივნიშვილის ვერსია ასეთია: ოქტომბრის დასაწყისში მისთვის, როგორც დეპუტატობის კანდიდატისთვის, მატერიალური დახმარების გაწევის თხოვნით, რამდენიმე მოქალაქეს მიუმართავს, რაზეც "ალორძინების" ფავორიტს უარი უთქვამს - წინასაარჩევნო პერიოდში ამის უფლება არა მაქვსო. ამომრჩევლებს ამაზე უპასუხიათ, თუკი ბარამიძე უფასოდ არიგებს მედიკამენტებს, ჩვენთვის [illegible] იც "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი თავად ადასტურებს მრავალი მოქალაქის დახმარების გაწევის ფაქტს. ეტყობა, მხოლოდ ერთ "ნიუანსს" არ მიაქცია ყურადღება მდივნიშვილმა: როგორც საარჩევნო-საანგარიშო ჟურნალი იუწყება, ბარამიძე ამომრჩევლებს წინასაარჩევნო პერიოდში კი



*გია ბარამიძე გაოცებულია, როგორ დაიჭირეს ოპონენტებმა, რომ საკუთარ საარჩევნო ბუკლეტში საკუთარ კომპრომატებს ჩაწერდა.*

არა, 1999-2002 წლებში დახმარებია, რაც კანონის დარღვევად ნამდვილად ვერ ჩაითვლება.

**"ის ადამიანები, რომლებიც მედავებიან, როგორც ჩანს, არა მარტო პოლიტიკურად არიან სუსტები, არამედ ინტელექტუალურადაც - ჩემივე ანგარიშზე დაყრდნობით უნდათ გზიდან ჩემი ჩამოშორება. ეს ანგარიში მათ ცოტა ყურადღებით რომ წაეკითხათ, მიხვდებოდნენ, რომ კანონთანაც პირნათელი ვარ და ამომრჩევლებთანაც,"** - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გიორგი ბარამიძემ.

მატერიალურად გაჭირვებული ამომრჩევლებისთვის კანონის ფარგლებში დახმარების აღმოჩენა ბარამიძეს თავის ადამიანურ მოვალეობად მიაჩნია და გაოცებულია, რა დაინახა "ალორძინებამ" ამაში სათაკილო. მეტიც, "დემოკრატების" წარმომადგენელი ამაყობს კიდეც, რომ პოლიტიკური მოწინააღმდეგენი მას გაჭირვებული მოსახლეობის დახმარებაში "ადანაშაულებენ": ბარამიძე კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ამით, ძალაუნებურად, "ალორძინება" მის მხარდამჭერ პროპაგანდას ეწევა და ეს "ბრალდება" წინასაარჩევნო პერიოდში არა თუ დააზარალებს, არამედ დაეხმარება კიდეც.

თუ რატომ სურთ დიდუბის რაიონის მაჟორიტარობისთვის ბრძოლაში მისი ჩაძირვა, ბარამიძე სულ იოლად ხსნის: როგორც ცნობილია, "გაერთიანებული დემოკრატების" საარჩევნო სიაში იგი ნებაყოფლობით "გადაჯდა" 77-ე ადგილზე და ამდენად, თუ 2 ნოემბერს დიდუბეში ვერ გაიმარჯვა, ალბათ, პარლამენტს გარეთ დარჩება.

**"ხელისუფლებას, ბათუმშიც და თბილისშიც, ხელს არ აძლევს, რომ პარლამენტში ვიყო. პარტიულ სიაში "ჩემს ადგილზე" რომ ვყოფილიყავი, შეიძლება, სასამართლოში არც კი შეეტანათ სარჩელი. მაგრამ მე მიყვარს რისკი და ბრძოლა და ერთი წუთითაც არ ვნანობ, სიაში საკუთარი სურვილით რომ გადავიწიე უკან,"** - აღნიშნავს ბარამიძე.

რატომ მაინცადამაინც "ალორძინებამ" და არა სხვა პოლიტიკურმა ჯგუფმა განიზრახა ბარამიძის ტორპედირება? "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთ ლიდერს ეს სავსებით ლოგიკურად მიაჩნია. **"ხელისუფლებამ მოახერხა თავისი ინტერესების შეჯერება ზოგიერთ ძალასთან, მათ შორის - "ალორძინებასთან," და ახლა ისინი ერთად უპირისპირდებიან ყველას, ვინც შევარდნაძის რეჟიმს ებრძვის,"** - აცხადებს ბარამიძე და თავისი ნათქვამის დასტურად ამასწინანდელ ინციდენტს იხსენებს, როდესაც "კმარას" აქტივისტები "ალორძინების" წარმომადგენლებმა დაარბიეს და ამით ხელისუფლება ჩრდილში დატოვეს.

# ბაქო წყნარდება

ლელა მჭედლიძე
*ბაქოდან*

16 ოქტომბერთან შედარებით, გუშინ ბაქოში სიწყნარე იგრძნობოდა. მართალია, ოპოზიციისგან მიტინგების ესტაფეტა პროსახელისუფლებო ძალებმა აიტაცეს, მაგრამ ქალაქის გარეუბნებში მოწყობილი მიტინგები თავისუფლების მოედანზე გამართული დიდი აქციისგან ხალხის მცირე რაოდენობითა და სიმშვიდით გამოირჩეოდა. ორგანიზატორ-აგიტატორის როლში განათლების მინისტრი გამოდიოდა. მიტინგის მონაწილეები, ძირითადად, სტუდენტები იყვნენ.

ოპოზიციის წარმომადგენლების მანიფესტაციებს ხელისუფლება მთელი დღის განმავლობაში ელოდა, თუმცა, უშედეგოდ. მიუხედავად ამისა, ბაქოს ცენტრალურ უბნებში ჩაყენებული პოლიციელთა რაზმები არ შემცირებულა.

ხმებს იმის შესახებ, რომ სამომავლო სტრატეგიის დასასახად ოთხი ოპოზიციური პატიის ლიდერი საიდუმლო სერობაზე შეიკრიბა, ამ პარტიების წარმომადგენლები უარყოფდნენ.

16-ში მთელი ღამის განმავლობაში ბაქოში დაპატიმრებები ხორციელდებოდა. პოლიციის თანამშრომლებმა ზოგი ოპოზიციონერი საკუთარი სახლიდან აიყვანეს. გუშინ დილით რამდენიმე პოლიტიკურმა ორგანიზაციამ თანაპარტიელების გაუჩინარების შესახებ განაცხადა. აზერბაიჯანის საინფორმაციო საშუალებებში, განსაკუთრებით კი ტელევიზიით, არ დაუკონკრეტებიათ შეხლა-შემოხლის შედეგად დაზარალებულთა ზუსტი რიცხვი. აქცენტი, ძირითადად, სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებზე კეთდებოდა, კერძოდ იმაზე, რომ 16 ოქტომბერს თავისუფლების მოედანზე 62 პოლიციელი დაშავდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ისა გამბარის ადგილსამყოფელი არავინ იცოდა. ძებნა იყო გამოცხადებული მის ორ მოადგილეზეც. მოგვიანებით გაირკვა, რომ იგი სახლში იყო, პოლიციის გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ.

გვიან ღამით კი მისი ორი მოადგილე დააპატიმრეს. როგორც ამბობენ, ისა გამზარს ოფიციალურად ჯერ იმუნიტეტი იცავს.

# სამლარიანი გაუგებრობა

პირველი გვერდიდან

ბექაური საკითხის გარკვევას მოახერხებდა. ის ერთადერთი ჩინოვნიკი, ვინც საფინანსო-საბიუჯეტო გაუგებრობაში მოჰყვა, საპენსიო ფონდის რეგიონალური მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ვანო მელიქიშვილი იყო. ბექაურის განცხადება სწორედ მისი მხრიდან წააწყდა შეუვალ წინააღმდეგობას იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პრეტენზიები მისთვის სრულიად გაუგებარი აღმოჩნდა. ბექაურის მტკიცებით, აგვისტოს თვის 17-ლარიანი პენსიების გაცემისთვის საჭირო თანხა – 400 ათასი ლარი საკრებულომ "ინტელექტბანკს", კარგა ხანია, გადაურიცხა, მაგრამ პენსიონერები მაინც 14 ლარს იღებენ. მელიქიშვილი კი დარწმუნებული იყო, რომ აგვისტოს თვის პენსიების გაცემა ყველგან დანაკლისის გარეშე, ანუ ისე მიმდინარეობს, როგორც საჭიროა. მისთვის "ძნელი წარმოსადგენი" აღმოჩნდა, თუ როგორ ახერხებენ ფოსტალიონები, რომ პენსიონერებს 17-ლარიან ქვითარზე მოაწერინონ ხელი და მხოლოდ 14 ლარი დაუტოვონ. **"ალბათ, თბილისის მთავრობა ხშირ შემთხვევაში თანხების გადმორიცხვას აგვიანებს,"** – ასე ახსნა მელიქიშვილმა სამლარიანი გაუგებრობა.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების კიდევ ერთი ასეული, რომელსაც მაიორი ტელმან მესხიძე უხელმძღვანელებს, 20 ოქტომბერს გერმანიაში გაემგზავრება. იქ ორკვირიანი მომზადების შემდეგ, ასეული პირდაპირ კოსოვოს ქალაქ პრიზრენში ჩავა და სამშვიდობო ოპერაციაში ჩაერთვება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქვეყნის ტერიტორიაზე 2003 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით მოქმედებს 324 ლიცენზიის მქონე ვალუტის გადამცვლელი პუნქტი, რომელთაგან 215 ფიზიკური, ხოლო 109 იურიდიული პირის საკუთრებაა. საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის სამმართველოში, მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების გახსნაზე 54 ლიცენზიის მაძიებლის განცხადება შევიდა. განაცხადების განხილვის შედეგად 49 ლიცენზია გაიცა. ამავე პერიოდში 35 ლიცენზია გაუქმდა, 22 გადამცვლელი პუნქტი ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული საზედამხედველო ღონისძიებების შედეგად გაუქმდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი** სახაზინო ვალდებულებებით, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შევსების მაჩვენებელმა 2003 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით 18.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2 მლნ ლარით აღემატება. მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 179 მლნ ლარის სახაზინო ვალდებულებები გამოუშვა. მოთხოვნამ 301 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო განთავსებამ 178 მლნ. ლარი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** - დეკემბერში სს. "თბილავიამშენში" აწყობილი ხუთადგილიანი, ბიზნესკლასის, "MAVERICK"-ის ტიპის ერთ-ერთი თვითმფრინავი დუბაიში გამართულ საერთაშორისო ავიაგამოფენაზე გაივლის ტესტირებას. ამის შესახებ განაცხადა საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ვაჟა თორდიამ. მისი თქმით, უკვე ამ თვეში თვითმფრინავებს გამოცდიან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვეტერინარიის დეპარტამენტის წლევანდელი პროგრამა, რომელიც ცხოველთა საშიში ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებისთვის არის გამიზნული, წლეულს დაუფინანსებელი დარჩა. "თუ დაფინანსების საკითხი არ გადაწყდება, ცხოველთა აცრები შეიძლება ჩაიშალოს და ქვეყანაში საშიში ინფექციური დაავადებების გავრცელების საფრთხე შეიქმნება," – აცხადებს დეპარტამენტი. **მედია-ნიუსი**

## ნინო ბურჯანაძე:
# ბაქო ჩვენთვის გაკვეთილი უნდა იყოს

პირველი გვერდიდან

**"ქართველებს გვაქვს გამოთქმა ნასახლარი, ნასოფლარი, ნაქალაქარი, მაგრამ ნაქვეყნარი - ასეთი სიტყვა არ გვქონია. დღეს, როდესაც ქალაქ-ქალაქ და სოფელ-სოფელ დავდივარ, ისეთ დანგრეულს საქართველოს ვხედავ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ უკვე ნაქვეყნარია. ამიტომაც ქვეყანას რადიკალური ცვლილებები სჭირდება. მე არ მინდა, რომ ჩემმა და თქვენმა შვილებმა ასეთ ქვეყანაში იცხოვრონ."**

ქუთაისში მყოფი ნინო ბურჯანაძე ასევე პირველად აკეთებს კომეტარს ბაქოში განვითარებული მოვლენების შესახებაც: **"მე ძალიან შეწუხებული ვარ იმით, რაც ხდება აზერბაიჯანში და ვუსამძიმრებ გარდაცვლილთა ოჯახებს. იმედი მაქვს, რომ ბაქოში მაქსიმალურად სწრაფად დალაგდება ვითარება... ის, რაც ბაქოში მოხდა, ჩვენთვის გაკვეთილი უნდა იყოს. ამიტომაც ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდეს."** ამის შემდეგ ქალბატონი ნინო პრეზიდენტის საყვედურსაც გამოეხმაურა, პარლამენტის სხდომების ჩაუტარებლობაში რომ დასდო ბრალი. **"ჩემი პენსიაზე გაშვება, როგორც სჩანს, ხელისუფლებაში ძალიან ბევრს უნდა. ვწუხვარ, რომ მათ პრეზიდენტიც მიემატა. რაც შეეხება იმ ბრალდებას, რომ თურმე პარლამენტის სხდომები არ ტარდება, უხერხულია, მაგრამ ამას რა კომენტარი უნდა გავუკეთო? ამბროლაურელმა გლეხმაც კი იცის, რომ არჩევნებამდე 40 დღით ადრე პარლამენტის სხდომები წყდება,"**-აცხადებს ბურჯანაძე და ჟურნალისტების თხოვნით პრეზიდენტის კიდევ ერთ ბრალდებას უკეთებს კომენტარს, რომელიც უკვე ანზორ ბურჯანაძის კუთვნილი საწარმოების საქმიანობას უკავშირდება.

**"12 წლის წინ გაცემული კრედიტი დღეს გაახსენდათ! რატომ თავის დროზე არ მოსთხოვეს იმ ადამიანებს პასუხი, თუნდაც ისინი ჩემი ოჯახის წევრები ყოფილიყვნენ? ამდენი ხანი რატომ იყვნენ გაჩუმებულნი?"**- ამბობს ნინო ბურჯანაძე.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მყოფი პარლამენტის თავმჯდომარე კი სტუდენტებსა და ლექტორ-მასწავლებლებს მათი სასწავლო და სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად ქმედითი ღონისძიებების გატარებას დაჰპირდა. ამავე დროს მან უნივერსიტეტში განათლების განვითარების საკუთარი პროგრამა წარადგინა და განათლების ამჟამინდელი მინისტრიც მკაცრად გააკრიტიკა. **"განათლების მინისტრი ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნამყოფიც არ არის, აღარაფერს ვამბობ სკოლებზე. ხშირ შემთხვევაში ხელისუფლებაში გვყავს ადამიანები, რომლებსაც გულიც კი არ შესტკივათ საქმეზე, რომელიც მათ აქვთ დავალებული. მინდა, რომ ეს რეალობა შეიცვალოს... განათლების მინისტრს მე და ჩემი მეგობრები ნამდვილად ვებრძოდით. პარლამენტში ორჯერ ჩავაგდეთ მისი კანდიდატურა, პრეზიდენტმა დასამტკიცებლად მესამედაც შემოიტანა. ამ არჩევნების შემდეგ დადგება დრო, როდესაც საქართველოს მთავრობაში გადახალისება დაიწყება,"**-განაცხადა ნინო ბურჯანაძემ და დღის მეორე ნახევარში ქუთაისიდან სამტრედიაში გაემგზავრა.







ერთი კვირის განმავლობაში მთელი იმერეთი - დიდი და პატარა - პარლამენტის თავმჯდომარეს გულთბილად ხვდებოდა.

# მაჟორიტარი კანდიდატები - ვინ საიდან იკვლევს გზას პარლამენტისკენ

## კახეთი

*ყველაზე მრავალრიცხოვანი არტილერიით კახეთის რეგიონს სახელისუფლებო ბლოკი და "აღორძინება" უტევენ. კახეთის რვა რაიონიდან მათ შვიდგან საკუთარი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი წარადგინეს. ყვარელი ერთადერთი რაიონია, სადაც ხელისუფლებას საკუთარი წარმომადგენელი არ მიუვლენია. კახეთის რეგიონში არც ერთი კანდიდატი არ წარუდგენიათ "მრეწველებს".*

სოფო ბუკია

### საგარეჯო

- *ჭაბუკა ჭანტურია, "ლეიბორისტული პარტია", იურისტი*
- *თენგიზ ოქროცვარიძე, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის", უმუშევარი ეკონომისტი*
- *გია ნაცვლიშვილი, "ნაციონალური მოძრაობა", შპს "ნეკის" ფინანსური დირექტორი*
- *ალექსი პაპუაშვილი, "აღორძინება", თსუ იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი*

1999 წლის საპარლამენტო არჩევნებზე საგარეჯოელთა უმრავლესობამ ხმა **სოლომონ პავლიაშვილს** მისცა. პავლიაშვილი პარლამენტიდან სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრობის გამო წავიდა. პავლიაშვილის შემდეგ საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატი ყოფილი გენერალური პროკურორი **ჯამლეტ ბაბილაშვილი** გახდა. წლევანდელ კანდიდატთაგან 1999 წელს მაჟორიტარობას "ლეიბორისტი" **ჭაბუკა ჭანტურია** ცდილობდა. ჭანტურია ოთხი წლის წინათაც ნათელაშვილის გუნდში იყო.

### გურჯაანი

- *ალექსანდრე გილიგაშვილი, "ლეიბორისტული პარტია", იურისტი*
- *როინ ქოჩორაშვილი, დამოუკიდებელი*
- *მაყვალა ჩახვაშვილი, დამოუკიდებელი*
- *ზაურ ნაცვლიშვილი, დამოუკიდებელი*
- *შოთა მინდიაშვილი, "ერთობა", სოფელ ახაშენის გამგებლის მოადგილე*
- *ნიკოლოზ კვეზერელი, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის", პარლამენტარი*
- *ზაზა კობიაშვილი, "ბურჯანაძე-დემოკრატები", სოფელ ახაშენის საკრებულოს წევრი*
- *გელა დალაქიშვილი, "აღორძინება"*

იუსტიციის აწ უკვე ყოფილი მინისტრი **როლანდ გილიგაშვილი** მინისტრობამდე გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატი გახლდათ. გილიგაშვილის იუსტიციის სამინისტროში გადაბარგების შემდეგ გურჯაანელთა გული სპეცდანიშნულების რაზმ "ომეგას" ხელმძღვანელმა **ნიკა კვეზერელმა** მოიგო. წელს პრეზიდენტის ტერაქტის მოწყობისთვის გასამართლებული და პრეზიდენტის მიერვე შეწყალებული კვეზერელი სახელისუფლებო ბლოკის ინტერესებს დაიცავს.

### სიღნაღი

- *ნუგზარ შოშიაშვილი, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის"*
- *დიმიტრი გონაშვილი, "ერთობა"*
- *ირინე ფხოველიშვილი, "ლეიბორისტული პარტია", უმუშევარი, კარტოგრაფი*
- *გიორგი ნიკვაშვილი, "ახალი მემარჯვენეები", სიღნაღის რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგე*
- *თამაზ მირიანაშვილი, არასახელისუფლებო ბლოკი "სამშობლო", ისტორიკოსი, პენსიონერი*

1999 წელს სიღნაღის მაჟორიტარი დეპუტატი "მოქკავშირელი" **რეზო ფირაშვილი** გახდა.

### დედოფლისწყარო

- *ლაერტ ზუბადალაშვილი, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის", სს "ცენტრალური სუპერმარკეტის" დირექტორი*
- *თემურ ლომაშვილი, დამოუკიდებელი*
- *ბაჩუკი გონაშვილი, დამოუკიდებელი*
- *სიმონ კობაიძე , დამოუკიდებელი*
- *დავით ალუღიშვილი, "ლეიბორისტული პარტია"*
- *იოსებ ბეჟანიშვილი, "ახალი მემარჯვენეები", მეღვინე*
- *ალექსი კობაიძე, "ნაციონალური მოძრაობა", ადამიანის უფლებების დამცველთა კავშირი "განსჯა"-ს თავმჯდომარე*
- *ნიკოლოზ გონაშვილი, "აღორძინება"*

სახელისუფლებო ბლოკის რჩეული **ლაერტ ზუბადალაშვილი** 1999 წელს "ლეიბორისტების" მიერ წარდგენილი მაჟორიტარი გახლდათ. ოთხი წლის წინ დედოფლისწყაროს მაჟორიტარობა **ბეჟან გონაშვილმა** მოიპოვა, რომელსაც მხარს "მოქალაქეთა კავშირი" უჭერდა. გონაშვილი აგრარულ საკითხთა საპარლამენტო კომისიას ხელმძღვანელობს და ფრაქცია "თანადგომის" წევრია.

### ლაგოდეხი

- *ისაკო ცქიფურიშვილი, დამოუკიდებელი*
- *ხახუტა ასანიძე, "ერთობა", შპს "იმედის" დირექტორი*
- *ვალერი ბაქრაძე, "ლეიბორისტული პარტია", ეკონომისტი*
- *ლაშა ნაცვლიშვილი, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის". იურისტი*
- *გია ჩუბინიძე, "ნაციონალური მოძრაობა", იურისტი*
- *ალექსანდრე ნოზაძე, "აღორძინება"*
- *ჯულიეტა მუხაძე, არასახელისუფლებო ბლოკი "სამშობლო", უნივერსიტეტ "ივერიას" რექტორი*

ლაგოდეხის ამჟამინდელი მაჟორიტარია **დავით კაპანაძე**. "ლეიბორისტების" წლევანდელი იმედი **ვალერი ბაქრაძე** 1999 წელს ლაგოდეხში "აღორძინების" სახელს იცავდა. საინტერესოა, რომ ოთხი წლის წინ ლაგოდეხის მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატი ქუთაისის ამჟამინდელი მერი **ნუგზარ ფალიანი** გახლდათ.

### ყვარელი

- *თამარ მოლაშვილი, დამოუკიდებელი*
- *ნანა პატარკაციშვილი, დამოუკიდებელი*
- *გივი ყვარელაშვილი, დამოუკიდებელი*
- *გიორგი აღნიაშვილი, "ლეიბორისტული პარტია" საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, ყვარლის რაიონის ნოტარიუსი*
- *მარიკა ვერულაშვილი, "ნაციონალური მოძრაობა", "ნაციონალური მოძრაობის" პრესისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი*
- *ელიზბარ ჯაველიძე, "აღორძინება", ფრაქცია "21-ე საუკუნის" თავმჯდომარე*

ყვარლელების დახმარებით პარლამენტარობას ცნობილი ბიზნესმენის, ბადრი პატარკაციშვილის და, **ნანა პატარკაციშვილი** ცდილობს. პატარკაციშვილის მილიონებს "აღორძინებამ" მწერალი **ელიზბარ ჯაველიძე** დაუპირისპირა. არც პატარკაციშვილი და არც ჯაველიძე ყვარლელები არ არიან. სააკაშვილის მიერ სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეობიდან გათავისუფლებული **გივი ყვარელაშვილი** ამჯერად პარლამენტში მოსახვედრად ემზადება. "ნაციონალების" კანდიდატი **მარიკა ვერულაშვილი** ყვარლელია, პროფესიით - სამართალმცოდნე. ყვარელის ამჟამინდელი მაჟორიტარია **იოსებ ხარატიშვილი**, რომელიც კანდიდატთა წლევანდელ სიაში არ ფიგურირებს.

### თელავი

- *ალექსანდრე ბასილაშვილი, " ერთობა", სამართალმცოდნე*
- *ნიკოლოზ ნინიკელაშვილი, "ლეიბორისტული პარტია", ქირურგი, შპს "პოლიკლინიკა "კახეთის" დირექტორი*
- *გიორგი გოცირიძე, "ახალი მემარჯვენეები", გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე*
- *გივი ბეციაშვილი, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" პარლამენტარი, საბიუჯეტო ქვეკომიტეტის თავმჯდომარე*
- *თამაზ ხიდეშელი, "ნაციონალური მოძრაობა", მეღვინე*
- *გელა კირვალიძე, "ბურჯანაძე-დემოკრატები", თელავის საკრებულოს წევრი*
- *ნოდარ მოდებაძე, "აღორძინება", პარლამენტარი*

თელავის ამჟამინდელი მაჟორიტარია **გივი ბეციაშვილი**. 1999 წელს მას "მოქალაქეთა კავშირი" დაეხმარა, წელსაც ბეციაშვილი სახელისუფლებო ბლოკის ფავორიტია. "ნაციონალების" ფავორიტი **თამაზ ხიდეშელი** თელავის გამგებელთან მედეა მეზვრიშვილთან დაპირისპირებით არის ცნობილი. წინანდლის ღვინის ქარხნის ყოფილმა დირექტორმა ხიდეშელმა აღნიშნულ საწარმოს პრივატიზება ორჯერ მოახდინა, თუმცა თელავის გამგებელი მას ქარხნის ტერიტორიაზე მაინც არ უშვებს. "აღორძინების" კანდიდატია მსოფლიო თასის მფლობელი, სპორტის საერთაშორისო კლასის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში **ნოდარ მოდებაძე**. მოდებაძისთვის პარლამენტის კედლები უკვე მშობლიურია, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში იგი ოთხი წლის წინ "აღორძინების" პარტიული სიით მოხვდა. 1999 წელს თელავის მაჟორიტარობას უშედეგოდ ცდილობდა "ახალი მემარჯვენეების" ცნობილი სახე **დავით საგანელიძე**.

### ახმეტა

- *ნონა ჯაფარიძე, "ერთობა", ექიმი, "კავკასიელ ქალთა უფლებების დაცვის ასოციაციის" პრეზიდენტი*
- *ნიკოლოზ ბართიაშვილი, "ლეიბორისტული პარტია", ეკონომისტი, შპს საფეხბურთო კლუბ "ერთობის" დირექტორი*
- *შოთა მამსიკაშვილი, "ახალი მემარჯვენეები" "*
- *პავლე ციძიკიძე, ბლოკი "ახალი საქართველოსთვის"*
- *ზურაბ ახმეტელი, "ნაციონალური მოძრაობა"*
- *შენგელი ფირცხელაური, "აღორძინება", თსუ იურიდიული ფაკულტეტის კრიმინალისტიკის კათედრის მასწავლებელი*

1999 წელს ახმეტელთა რჩეული "მოქკავშირელი" **რევაზ არველაძე** გახდა. წელს იგი კანდიდატთა სიაში არ ირიცხება. "აღორძინება" ახმეტაში თბილისის უშიშროების ყოფილ შეფს **შენგელი ფირცხელაურს** დაეხმარება. ოთხწლიანი პაუზის შემდეგ, კვლავ პარლამენტში დაბრუნებას შეეცდება "ნაციონალების" კანდიდატი **ზურაბ ახმეტელი**.

## მოკლედ

### აფხაზები 2 ნოემბრის არჩევნების გამო ნერვიულობენ

სოხუმის ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტ ვალერი არშბას წინასაარჩევნო პერიოდში "მეზობელ საქართველოში" არსებული ვითარება აშფოთებს. მისი პროგნოზით, 2 ნოემბრისათვის საქართველოში დანიშნული საპარლამენტო არჩევნები სამართლიანად არ ჩატარდება. აფხაზური მხარის შეშფოთებას საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის "არსებული დაპირისპირება" იწვევს. "ინტერ-პრესთან" საუბარში არშბამ საქართველოში დესტაბილიზაციის შესაძლებლობა არ გამორიცხა, რომელიც შემდგომ, შესაძლოა, აფხაზეთზეც ნეგატიურად აისახოს. არშბას თქმით, იგი შეძლებისდაგვარად გაეცნო არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს და 2 ნოემბრის არჩევნებზე ბლოკს "თავისუფალი საქართველოსათვის" უგულშემატკივრებს. **ინტერ-პრესი**

### აფხაზეთის სახალხო პარტიის ლიდერი, შესაძლოა, რუსეთის დუმის წევრი გახდეს

აფხაზეთის სახალხო პარტიის ლიდერი იაკობ ლაკობა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. რუსეთის ფედერაციის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, აფხაზეთის სახალხო პარტიის ლიდერი რუსეთის ფედერაციაში 7 დეკემბრისთვის დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში, რუსეთის სახალხო პარტიის სიით იყრის კენჭს. მიმდინარე წლის აგვისტოში აფხაზეთის "სახალხო პარტიის" თავმჯდომარემ იაკობ ლაკობამ და რუსეთის "სახალხო პარტიის" თავმჯდომარემ გენადი რაიკოვმა მოსკოვში ორ პარტიას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. **ინტერ-პრესი**

### საბურთალოს საოლქო კომისია ამომრჩეველთა სიებს კომპიუტერის უქონლობის გამო ვერ ადგენს

საბურთალოს რაიონის საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის ნუნუ შეყილაძის განცხადებით, ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით საბურთალოს რაიონში სრული ქაოსია. მისი თქმით, დღეს კომისია შს სამინისტროსგან ელის ამომრჩეველთა უკვე მეორეჯერ დაზუსტებულ სიებს. გარდა ამისა, ამომრჩეველთა სიების საკუთარი ვერსიები კომისიაში "ნაციონალებმა", "დემოკრატებმა" და "ახალმა მემარჯვენეებმა" უკვე მიიტანეს. კომისია "მრეწველებისა" და "აღორძინების" სიებსაც ელოდება. ნუნუ შეყილაძისთვის წარმოუდგენელია, როგორ უნდა შეძლოს კომპიუტერის გარეშე მომუშავე კომისიამ ყველა პარტიის ამომრჩეველთა სიები შს სამინისტროს მიერ წარმოდგენილ სიებთან შეაჯეროს. **ინტერ-პრესი**

### ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის უსაფრთხოებას ამერიკელი სამხედროები დაიცავენ

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის უსაფრთხოებას ამერიკელი სამხედროები დაიცავენ, - ეს განცხადება ევროპაში აშშ-ს ჯარების სარდლის მოადგილემ ჩაკ უოლდმა ამერიკული გაზეთისთვის „თავდაცვის სიახლენი" მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

მან აღნიშნა, რომ აზერბაიჯანში, შესაძლოა, ამერიკული სამხედრო ბაზა განთავსდეს და სამხედროების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა სწორედ სტრატეგიული ნავთობსადენის დაცვა იქნება. ამ მილსადენით აზერბაიჯანიდან თურქეთის ნავსადგურ ჯეიჰანამდე ტრანსპორტირებული ნავთობი ევროპას მიეწოდება, ამიტომაც მილსადენის დაცვა აშშ-სა და ნატო-ს ინტერესებში შედის, - აღნიშნა ჩაკ უოლდმა. აზერბაიჯანის სამთავრობო სტრუქტურები და სამხედრო ექსპერტები ქვეყანაში ამერიკული ბაზების შესაძლო განთავსების შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებენ და აცხადებენ, რომ ამაზე ორ ქვეყანას შორის არავითარი მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს. თუმცა, მილსადენების დაცვაში აშშ-სა და ნატო-ს მონაწილეობაზე უარის თქმას არ აპირებენ და აცხადებენ, რომ მათთვის ეს მომგებიანი და ხელსაყრელი იქნება. **მედია-ნიუსი.**

# მთაწმინდისა და ავლაბრის მოსახლეობა ბუნებრივ აირს მომავალ კვირას მიიღებს



*თბილისის გაზმომარაგების სამუშაოები უსახსრობის გამო ფერხდება.*

ნინო ნარჩემაშვილი

**"რატომ არ მიეწოდება მთაწმინდის მოსახლეობას ბუნებრივი აირი?"** - გუშინ ამ საკითხზე სასაუბროდ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაში გამართულ პრესკონფერენციაზე "თბილგაზისა" და "ინჟმშენის" ხელმძღვანელობა მიიწვია სემეკ-ში ახლად დანიშნულმა მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივმა დამცველმა დავით ებრალიძემ (თუმცა, ამ შემთხვევაში, მთაწმინდის მოსახლეობა გამონაკლისი არ გახლავთ) და განაცხადა, რომ **"რაიონის მოსახლეობა უმოკლეს ვადებში კატეგორიულად ითხოვს პასუხს."** პასუხის გაცემა კი "ინჟმშენის" დირექტორს ნიკოლოზ შარაბიძეს მოუწია. მისი განმარტებით, ბუნებრივი აირის მიწოდებასთან დაკავშირებული სარემონტო სამუშაოები ფინანსთა სამინისტროს გამო ფერხდება, რომელსაც "ინჟმშენისათვის" ტენდერში გამარჯვების შემდეგ 4,2 მილიონი ლარი უნდა გადაერიცხა, რაც არ გააკეთა. მისი განცხადებით, **"შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებლად ფინანსთა სამინისტროსგან "ინჟმშენს" ჯერ ერთი თეთრიც არ მიგვიღია. თბილისის გაზმომარაგების უზრუნველყოფისათვის საჭირო სამუშაოები კი ორგანიზაციის მიერ სხვა პროექტებზე მუშაობისას მიღებული მოგებით ხორციელდება."** ნიკოლოზ შარაბიძის ინფორმაციით, ს/ს "ინჟმშენი" თბილისის გაზგამანაწილებელი ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებს მომავალ კვირას დაასრულებს, რის შემდეგაც მთაწმინდის და ავლაბრის მოსახლეობა ბუნებრივ აირს შეუფერხებლად მიიღებს. დღეს ტექნიკური სამუშაოები ბაგებში დასრულდება, რაც მთაწმინდის და ავლაბრის ჩართვის გამო ვაკე-საბურთალოს რაიონისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტას გამორიცხავს.

მეორე საკითხი, რომელიც პრესკონფერენციაზე დავით ებრალიძემ განიხილა, სემეკ-ის სხდომაზე სააქციო საზოგადოება "ფეროს" ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული განცხადება იყო. კერძოდ, ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ მათი მრიცხველი არასწორად არის დაყენებული, რის გამოც 500 ათასი ლარის ოდენობის გადასახადი შეცდომით არის დარიცხული და ენერგოსისტემისაგან თანხის დაბრუნებას ითხოვს. დავით ებრალიძის შეფასებით, შესაძლებელია, ამ შემთხვევამ მავნე ტენდენციის გავრცელება გამოიწვიოს – ასეთ მეთოდს სხვა ორგანიზაციებმაც მიმართონ, რაც არაკანონიერი გარიგებებისათვის შექმნის ხელსაყრელ გარემოს.

უნდა ითქვას, რომ შესაძლებელია, სემეკ-ში მომხმარებელთა უფლებების ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი ნაადრევ დასკვნებს აკეთებს, რადგან "ფერო" ერთ-ერთ კეთილსინდისიერ გადამხდელად ითვლება.

# ევროკომისია საქართველოს ახალ საბაჟო კოდექსს სთავაზობს

ეთერ მამულაშვილი

*შესაძლოა, მალე ახალი საბაჟო კოდექსი გვქონდეს. ევროსაბაჟოს ექსპერტების ერთწლიანი მუშაობის შემდეგ სრულიად ახალი კოდექსი მომზადდა, რომელიც, მუშა ჯგუფის მტკიცებით, საერთაშორისო სტანდარტებს ზუსტად შეესაბამება. რამდენიმე რადიკალური სიახლე, გამარტივებული და იოლად გასაგები კანონის მუხლები, მეწარმეებისთვის და ექსპორტიორ-იმპორტიორებისთვის მნიშვნელოვანი შეღავათები და კონტრაბანდიტებისთვის კორუფციული ხვრელების ამოვსება, - ეს არის ის რითაც კოდექსის ავსტრიელი ავტორები თავს იწონებენ და იმედოვნებენ, რომ ქვეყნის ახალი მოწვევის საკანონმდებლო ორგანო კოდექსის ამ პროექტს ერთსულოვნად დაუჭერს მხარს. გუშინ სასტუმრო "მარიოტში" ამ საკითხთან დაკავშირებით ევროკომისიის მმართველი კომიტეტის სხდომა გაიმართა.*



*ევროსაბაჟოს ექსპერტებმა საქართველოს ახალი კოდექსი დაუწერეს.*

საქართველო საბაჟო კოდექსში, რომელიც საკუთარი არსებობის ექვსწლიან ისტორიას ითვლის, ცვლილებები და დამატებები ზუსტად ოცდაერთჯერ შევიდა. მიუხედავად ამისა, ევროკავშირმა ის მაინც დაიწუნა და საქართველოს ხელისუფლებას ახალი კოდექსის შემუშავება შესთავაზა. ძირითადი შენიშვნები არსებული კოდექსის მიმართ, ცალკეული ტერმინებისა და საბაჟო ორგანოების ფუნქციების ბუნდოვანებას ეხება. კიდევ ერთი წუნი, რაც ევროპელმა მებაჟეებმა ქართულ კანონმდებლობაში აღმოაჩინეს - იმპორტიორის უფლება-მოვალეობები კოდექსში გაურკვევლად არის ფორმულირებული.

სხვათა შორის, ამ მოსაზრებას ქართველ ექსპერტთა უმრავლესობა იზიარებს და მიიჩნევს, რომ საბაჟო სისტემაში გამეფებული კორუფციის ერთ-ერთი მიზეზი კოდექსში არსებული ხარვეზებია. **"კოდექსის ზოგიერთი მუხლის ორაზროვნება მებაჟეებს საკუთარი ინტერპრეტაციის საშუალებას თამამად აძლევდა. ბუნებრივია, ასეთ დროს მებაჟე ყოველთვის თავის სასარგებლოდ იძლევა განმარტებას",** - გვითხრა ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წევრმა თემურ მიმინოშვილმა.

850 ათასი ევროს ღირებულების პროექტს, რომელიც, პირველ რიგში, საქართველოს საბაჟო კოდექსის საერთაშორსო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას ითვალისწინებს, ხელი გასული წლის აპრილში მოეწერა. პროექტი მთლიანად ევროკავშირმა დააფინანსა. ევროსაბაჟოს ექსპერტთა რამდენიმეკაციანმა დელეგაციამ ახალ საბაჟო კოდექსზე მუშაობა 2002 წლის ნოემბერში დაიწყო.

ავსტრიელებთან ერთად, ახალ კოდექსზე მათ მიერ დაქირავებული ორი ქართველი ექსპერტიც მუშაობდა. მთავარი სიახლე ახალ კოდექსში, როგორც ავტორები ირწმუნებიან, გამარტივებული საბაჟო პროცედურები, ტვირთების გაფორმება, საბაჟო ორგანოების ფუნქციების, უფლებებისა და ტერმინების მკაფიო განსაზღვრებები და საბაჟო ვალის დაფარვის ახალი მექანიზმებია. ახალი კოდექსით იმპორტიორებს საბაჟო გადასახადისა და ვალის დაფარვა პროდუქციის განბაჟების რამდენიმე დღის შემდეგაც შეუძლიათ. **"კანონის ეს მუხლი, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი ხელშეწყობა და წახალისება იქნება ყველა იმპორტიორისა და მეწარმისათვის",** - გვითხრა პროგრამის მენეჯერმა ჯეინ ჰასანმა. ქალბატონ ჯეინის თქმით, ახალი კოდექსი ექსპორტ-იმპორტიორებს ძალიან დაეხმარება საერთაშორისო საზოგადოებასთან ნორმალურ ურთიერთობაში.

კოდექსის ქართველი ავტორების აზრით, ტერმინთა განმარტებებში ყველაზე მნიშვნელოვანი ტრანზიტის პროცედურის განსაზღვრებაა. თუკი დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ტრანზიტის პროცედურა გულისხმობს განუბაჟებელი საქონლის მოძრაობას ერთი საზღვრიდან მეორემდე, ახალი კოდექსის მიხედვით, ტერმინი საზღვარი საბაჟო პუნქტით არის შეცვლილი.

ამ ეტაპზე ახალი კოდექსის ქართული თარგმანის ორიგინალთან შედარება და მისი სტილისტური დახვეწა მიმდინარეობს. ახალი კოდექსი ფინანსთა სამინისტრომ, საბაჟო დეპარტამენტმა და ყველა სხვა შესაბამისმა ორგანომ 24 ოქტომბრამდე უნდა მიიღოს. ამ დროისთვის ყველა დაინტერესებულ პირს ახალი კოდექსის გაცნობის სრული უფლება ექნება.

ევროსაბაჟოს ხსენებული პროექტის ფარგლებში, კოდექსზე მუშაობის პარალელურად, საბაჟო დეპარტამენტის მართვის სისტემისა და მენეჯმენტის განვითარება მიმდინარეობდა. პროექტი 1 ნოემბერს სრულდება.

## მოკლედ

### ევროპის ცენტრალურ ბანკს ახალი მმართველი ჰყავს

ევროკავშირის ფინანსურ ბაზარზე ყველაზე გავლენიან თანამდებობას - ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის პოსტს დაიკავებს ბანკ "საფრანგეთის" თავმჯომარე ჟან-კლოდ კლიშე. ეს გადაწყვეტილება ბრიუსელში ამჟამად მიმდინარე ევროკავშირის ლიდერების ფორუმმა მიიღო. ფრანგი ბანკირი თავისი ახალი მოვალეობის შესრულებას 1 ნოემბრიდან შეუდგება და ევროს მოქმედების ზონის (სამას მილიონიანი მოსახლეობის) ფინანსებს მიიბარებს.

### "მაიკროსოფტი" და "ვოდაფონი" მობილური კავშირგაბმულობის სფეროში ითანამშრომლებენ

მსოფლიოს უდიდესი პროგრამული უზრუნველყოფის კომპანია "მაიკროსოფტი" მობილური კავშირგაბმულობის გიგანტ "ვოდაფონს" შეუთანხმდა, გააფართოონ კომპიუტერისა და მობილური ტელეფონების ერთდროული გამოყენების მომსახურებათა ნუსხა.

კომპანიები დაამუშავებენ მოწყობილობებს, რომელთა საშუალებითაც მობილურები კომპიუტერებს მიუერთდება და შესაძლებელი იქნება სატელეფონო საუბრების ფასის ინტერნეტ-ქსელის საშუალებით გადახდა. გარდა ამისა, მობილური ტელეფონების მომხმარებლები კომპიუტერის დახმარებით შეძლებენ სხვადასხვა ტიპის შეტყობინებების გაგზავნას, ობიექტების გეოგრაფიული მდებარეობის განსაზღვრასა და მომხმარებელთა იდენტიფიკაციას.

"ვოდაფონ"-"მაიკროსოფტის" თანამშრომლობა "მოტოროლას" ინიციატივის ერთგვარი გაგრძელებაა. ამ უკანასკნელმა სექტემბერში განაცხადა, რომ აპირებს "მაიკროსოფტის" პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი ახალი ტიპის მობილური ტელეფონების გამოშვებას.

### "სამსუნგის" მოგებებმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა

სამხრეთ კორეის ტექნოლოგიურმა გიგანტმა "სამსუნგმა" გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის მიხედვითაც მისი მოგებები ბოლო კვარტალში არნახულად გაიზარდა მეხსიერების მიკროსქემებზე (რომლებიც ციფრულ კამერებსა და მობილურ ტელეფონებში გამოიყენება) მოთხოვნილების ხარჯზე. კომპანიის მოგება 6,6 პროცენტით გაიზარდა და 1,6 მილიარდი დოლარი შეადგინა.

"სამსუნგის" ეს წარმატება იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ანალოგიური ანგარიშები გამოაქვეყნეს მიკროსქემების სხვა წამყვანმა მწარმოებლებმა - "ინტელმა" და "ეი-ემ-დიმ," რაც იმას მოასწავებს, რომ მაღალი ტექნოლოგიის სფერო კვლავ აღმავლობას განიცდის.

ცხადია, კორეული გიგანტის მოგებებში დიდი წვლილი შეაქვს მობილურების გაყიდვასაც. "სამსუნგის" საბაზრო წილმა 12 პროცენტს გადააჭარბა, რის შედეგადაც კომპანიამ უკან ჩამოიტოვა უახლოესი კონკურენტები ამ სფეროში - "სიმენსი," "ერიქსონი" და "ალკატელი." ახლა "სამსუნგი" მეორე-მესამე ადგილს "მოტოროლასთან" იყოფს.

# თოვლის მოსვლამდე ნავთობსადენმა ბორჯომის რაიონი უნდა გადაკვეთოს

გუშინ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებელმა კომპანიამ "ბრითიშ პეტროლიუმმა" წალკის რაიონში გაწეული სამუშაოების ანგარიში ჩააბარა ქართველ ჟურნალისტებს.

წალიკის რაიონის რამდენიმე სოფელს BP-ის დახმარებით მალე ახალი სკოლა, ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი და სასმელი წყალი ექნება. ამ რაიონის უმეტეს სოფლებში თხუთმეტი წელია, რაც სასმელი წყლის პრობლემაა. დღემდე სოფლელები თავის გატანას წვიმის წყლისა და ერთი-ორი ჭის წყალობით ახერხებენ. სოფლის ცენტრში მდებარე მატარებლის ძველ ვაგონებსა და რამდენიმე ხუხულაში კი გაკვეთილები ტარდება. სკოლა წალკის რაიონის უმეტეს სოფლებში არასდროს ყოფილა, სადაც იყო, დაინგრა და გაპარტახდა.

წალკის რაიონში ხსენებულ პროექტს BP-ის ფინანსური დახმარებით ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია "ქეარი". რაც შეეხება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობას, დღეს ის დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. ამჟამად მილსადენი წალკის რაიონამდეა მოსული. მალე ის სკანდალურად ცნობილ ბორჯომ-ხარაგაულის მონაკვეთს გაივლის. B.P. ჩქარობს - თოვლის მოსვლამდე ნავთობსადენმა ბორჯომის რაიონი უნდა გადაკვეთოს.

*24 საათი*

# აშშ-ს ელჩი სახელმწიფო მინისტრს კვლავ ენერგეტიკაზე ესაუბრა

მაშინ, როცა სასტუმრო "მარიოტში" რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ფორუმი გრძელდეობოდა და საქართველოში რუსული ინვესტიციების "მდინარეების" შემოსვლაზე იყო საუბარი, სახელმწიფო კანცელარიას აშშ-ს ელჩი მორიგი ამერიკული კომპანიის - "PI Consalting" პრობლემებზე სასაუბროდ სტუმრობდა.

აშშ-ს ელჩი გუშინ სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს შეხვდა და ერთი საათის განმავლობაში დახურულ კარს მიღმა (როგორც შემდგომ განმარტეს - ქვეყანაში შექმნილ ენერგეტიკულ პრობლემებზე) ესაუბრა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ელჩმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მან სახელმწიფო მინისტრთან ელექტროენერგიის სექტორში მიმდინარე პრობლემები განიხილა. ისიც თქვა, რომ საუბრები ენერგოსექტორში ამერიკული კომპანიის "PI Consalting"-ის მოღვაწეობას უკავშირდება. შეგახსენებთ: აღნიშნული კომპანია ბოლო პერიოდში (საქათველოდან "AES"-ის წასვლის შემდეგ) ქვეყნის ხელისუფლების თავდასხმების მთავარ სამიზნედ იქცა ცალკეული გუბერნატორებისა და სახელისუფლებო ბლოკის ლიდერების მხრიდან.

სწორედ აღნიშნული კომპანიის მოღვაწეობას და ოპოზიციური ძალების გავლენას უკავშირებს ხელისუფლება ქვეყანაში წინასაარჩევნოდ შექმნილ იმ ენერგოკრიზისს, რომლიდან გამოსავალი მთავრობამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ვერ თუ არ იპოვა.

ცხადია, გუშინ რიჩარდ მაილსს არ დაუკონკრეტებია საუბრის დეტალები, თუმცა თავად კომპანიის დაკონკრეტებამ ცხადყო, რომ აშშ-ს ელჩი ამჯერადაც აშშ-ს კომპანიაზე გამოცხადებული დევნის გამო შეხვდა ავთანდილ ჯორბენაძეს - როგორც სახელმწიფო მინისტრსა და სახელისუფლებო ბლოკის ლიდერს.

ელჩმა, დიპლომატიური ეტიკეტის შესაბამისად, განაცხადა, რომ შეხვედრით კმაყოფილია. მისი განცხადებით, სახელმწიფო მინისტრთან სასარგებლო საუბარი შედგა.

*24 საათი*

# თოფაძე რუსეთში უალკოჰოლო სასმელს გაიტანს

უალკოჰოლო სასმელების ქართველი და რუსი მწარმოებლები - ფირმა "ყაზბეგი" და "რუსეთის უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელთა კავშირი" შეთანხმდნენ, რომ საქართველოდან რუსეთში დაიწყება მატონიზირებელი სასმელებისა და ნატურალური წვენების მიწოდება. ხელშეკრულებას მიაღწიეს თბილისში გამართული რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში. როგორც პარასკევს "პრაიმ-ნიუსს""ყაზბეგის" ხელმძღვანელმა, პარლამენტარმა გოგი თოფაძემ უთხრა: ცივი ჩაის გარდა, რუსეთის ქარხნებში ლიმონათის წარმოებისათვის გაიგზავნება ხილის ნატურალური წვენები.

მისი თქმით, კონტრაქტს ამ დღეებში მოეწერება ხელი, ხოლო პირველი მიწოდება უკვე ერთი თვის შემდეგ დაიწყება. თავის მხრივ, "რუსეთის უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელთა კავშირის" პრეზიდენტმა ანატოლი ბელიჩენკომ "პრაიმ-ნიუსს" განუცხადა, რომ კურსკის ბიოფაბრიკის ბაზაზე უკვე შემუშავებულია რეცეპტები და ტექნოლოგიები "ყაზბეგის" ფირმის პროდუქციის წარმოებისათვის.

როგორც ანატოლი ბელიჩენკომ თქვა, რუსი მწარმოებლები ინტერესს იჩენენ ლუდის პროდუქციისადმი, თუმცა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემების გათვალისწინებით, ჯერჯერობით, საქართველოდან რუსეთში ლუდის სერიოზული პარტიების მოწოდებებზე საუბარი არაა.

*პრაიმ-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი**. რამდენიმე თვეში საბაჟო დეპარტამენტში მაღალკვალიფიციური კადრების შესარჩევად გამოცდები ჩატარდება. გამოცდებს ევროსაბაჟოს წარმომადგენლები ჩაიბარებენ. როგორც საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით თარხანმოურავმა დღეს ჟურნალისტებს განუცხადა, საკვალიფიკაციო გამოცდებს, რომლებიც საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტრული რეფორმით არის გათვალისწინებული, უკლებლივ ყველა თანამშრომელი გაივლის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ საეთერო საერთო რადიომაუწყებლობაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული გამოავლინა. როგორც "ინტერ-პრესს" კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში განუცხადეს, 10-წლიანი ლიცენზია შ.პ.ს. "ელ-სი კომპანიამ" მიიღო, რომელიც რუსთავის, საგარეჯოს, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, თეთრიწყაროსა და დმანისის რაიონებში რადიომაუწყებლობას განახორციელებს. აღნიშნული ტენდერი 8 აგვისტოს გამოცხადდა. ტენდერით მხოლოდ "ელ-სი კომპანია" დაინტერესდა. 10-წლიან ლიცენზიაზე კომპანია 8100 ლარს ეტაპობრივად გადაიხდის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გარი კუპალბამ პარასკევს განაცხადა, რომ აუცილებელია, კონფლიქტის ზონაში დსთ-ს ეგიდით დისლოცირებული, მშვიდობის მხარდამჭერი შერეული კონტინგენტის ჩართვა რუს სპეციალისტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რომლებიც "ენგურჰესზე" სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას ახლო მომავალში დაიწყებენ. **პრაიმ-ნიუსი**

## გასწორება

ათ. ლარებში

| N | | სულ დავალიანება | ძირითადი | საურავი |
|---|---|---|---|---|
| 1 | რუსთავის მეტალურგიული კომბინატი | 92415,1 | 26570,7 | 65844,4 |
| 2 | [illegible] | 91075,6 | 26907,8 | 64167,8 |
| 3 | [illegible] | 88898,7 | 30301,4 | 58597,3 |
| 4 | [illegible] | 65239,9 | 18946,6 | 46293,3 |
| 5 | [illegible] | 56073,5 | 13864,6 | 42208,9 |
| 6 | [illegible] | 34221,0 | 18257,5 | 15963,5 |
| 7 | [illegible] | 30933,9 | 10052,3 | 20881,6 |
| 8 | [illegible] | 23928,1 | 18340,5 | 5587,6 |
| 9 | [illegible] | 17780,2 | 7477,6 | 10302,6 |
| 10 | [illegible] | 15238,1 | 4318,8 | 10919,3 |

*მსხვილი საწარმოების დავალიანება ბიუჯეტის წინაშე.*



## ბუშმა აზიური ტურნე იაპონიიდან დაიწყო

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა თავისი ცხრადღიანი აზიური ტურნე იაპონიის მონახულებით დაიწყო. ბუში ტოკიოში ჩაფრინდა, სადაც მხოლოდ რამდენიმე საათი დაჰყო. იაპონიის შემდეგ თეთრი სახლის მეთაური სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ექვს ქვეყანაში გეგმავს ვიზიტს.

იაპონიის პრემიერ-მინისტრთან ძუნიჩირო კოიძუმისთან შეხვედრის მთავარი თემა ჩრდილოეთ კორეის ირგვლივ შექმნილი საერთაშორისო კრიზისი იყო.

**"ჩვენ განვიხილავთ ჩვენი კოალიციის გამყარების გზებსა და საშუალებებს, რათა კოალიციის ხმა ერთიანი და კიდევ უფრო მეტად ძლიერი იყოს,"** - განაცხადა ჯორჯ ბუშმა გამგზავრებამდე. მან თავის იაპონელ კოლეგას ამერიკის ნამდვილი მეგობარი უწოდა.

ტოკიოდან ბუში ფილიპინებზე, ტაილანდში, სინგაპურში, ინდონეზიასა და ავსტრალიაში ჩავა.

ტაილანდში ვიზიტის დროს დაგეგმილია მისი მონაწილეობა აპეკის სამიტში. სააგენტო "ბიბისის" ცნობით, აშშ-ს პრეზიდენტი სამიტის მონაწილეების წინაშე საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების გააქტიურების საკითხს საკმაოდ კატეგორიულად დააყენებს.

თუმცა, ბუშის აზიური ტურნეს ერთადერთ თემას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არ წარმოადგენს. თეთრი სახლის ლიდერის მიზანი აზიაში ამერიკელი ექსპორტიორებისათვის სავაჭრო პირობების გაუმჯობესებაა.

ამერიკული კომპანიები შეშფოთებულნი არიან იმ გარემოებით, რომ იაპონია და ჩინეთი განზრახ ახდენენ საკუთარი ვალუტების დევალვირებას დოლართან მიმართებაში, რაც ამერიკელი მეწარმეების პოზიციებს ასუსტებს.

დამკვირვებლები ვარაუდობენ, რომ აზიური ტურნეს დროს ჯორჯ ბუში შეეცდება, დაარწმუნოს ჩინეთის და იაპონიის ლიდერები, რათა ამ ქვეყნების ვალუტების კურსი საერთაშორისო ბაზართან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი.

# სამართლიანი არჩევნების სამართლიანი შეფასებები

შოთა უტიაშვილი

თუ ბაქოდან გადმოცემულ კადრებს არ ნახავთ და აზერბაიჯანის არჩევნების შესახებ მხოლოდ საერთაშორისო დამკვირვებელთა შეფასებით იმსჯელებთ, დარწმუნებით თქმა შეიძლება, რომ ილჰამ ალიევის არჩევნები თუ მთლად დემოკრატიის ნიმუში არა, მაგრამ მეტ-ნაკლებად ნორმალური მაინც იყო.

"ჩვენ ვეთანხმებით ეუთო-ს შეფასებას, რომელშიც ნათქვამია, რომ ხმის მიცემის პროცესი აზერბაიჯანში ნორმალურად წარიმართა, თუმცა არჩევნები მთლიანად არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. ამერიკელმა დამკვირვებლებმა შენიშნეს საარჩევნო სიებთან დაკავშირებული პრობლემები, ამომრჩევლებზე ზეწოლის ფაქტები და რიგი სხვა დარღვევები...

ისევე, როგორც ადრე, ჩვენ მოვუწოდებთ აზერბაიჯანს, შეასრულოს ეუთო-ს წინაშე ნაკისრი ვალდებულებები... ჩვენ ასევე მოვუწოდებთ ოპოზიციურ პარტიებს, იმოქმედონ მხოლოდ მშვიდობიანად და კანონის ფარგლებში."

საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც 15 ოქტომბრამდე ხელისუფლებას დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისაკენ მოუწოდებდნენ, სწრაფადვე მიხვდნენ, რომ რაც მოხდა, იმას უკვე ალარაფერი ეშველება და მეტ-ნაკლებად ნეიტრალური განცხადებებით და ოპოზიციის სიმშვიდისაკენ მოწოდებით დაკმაყოფილდნენ.

"ჩვენ შეშფოთებული ვართ საზოგადოებაში არსებული უნდობლობის დონით. ყველა მხარეს თავშეკავებისაკენ მოვუწოდებთ. ეს არჩევნები მიუთითებს აზერბაიჯანში სისხლსავსე პოლიტიკურ ცხოვრებაზე და ქვეყნის სწრაფვაზე დემოკრატიისაკენ," – განაცხადა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელმა ჯოვანი კესლერმა.

დაახლოებით მსგავსი განცხადება გააკეთა ევროსაბჭოს წარმომადგენელმაც: "ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს არჩევნები აზერბაიჯანში ახალი ერის დასაწყისი იქნება, რომელშიც ურთიერნდობისა და თანამშრომლობის გზით პროგრესი იქნება მიღწეული," – თქვა გილერმო მარტინეს კასანმა.



საპროტესტო აქციები ბაქოს ქუჩებში.

შედარებით უფრო მკაცრი იყო ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელის, პიტერ აიხერის შეფასება: "ეს არჩევნები ხელიდან გაშვებული შანსია. ჩვენ განსაკუთრებით შეშფოთებული ვართ დაშინების დონითა და წინასაარჩევნო კამპანიის დროს კანდიდატების არათანაბარ პირობებში ჩაყენებით. შემდგომი პროგრესი დემოკრატიისაკენ, პირველ რიგში, ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე იქნება დამოკიდებული".

ყველაზე მკაცრი შეფასება საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია ჰიუმენ რაითს უოჩს ეკუთვნის: "მეტისმეტი მანიპულაცია, მეტისმეტად ბევრი დაპატიმრებები და ოპოზიციის წინააღმდეგ მეტისმეტი ძალადობა არ გვაძლევს საშუალებას, არჩევნები დემოკრატიულად ჩავთვალოთ," – ჯერ კიდევ არჩევნებამდე აცხადებდა ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი პიტერ ბუკჰერტი. იგი მოითხოვს მთავრობისაგან, სრულად იქნას გამოძიებული არჩევნების შემდეგ მიტინგების დარბევის ფაქტები და დაისაჯონ დამნაშავეები.

სომხეთის არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ისინი, ვინც ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებაში ეხმარება, არათუ ისჯება, პირიქით, ახალ თანამდებობებს და ახალ პრივილეგიებს იღებს. რაც უფრო მეტადაა არჩევნები გაყალბებული, მით უფრო მეტად ჯილდოვდებიან გამყალბებლები. ამგვარად, ვინმეს დასჯა აზერბაიჯანში, პრაქტიკულად, გამორიცხულია.

მიუხედავად ნელ-თბილი პოლიტიკური შეფასებებისა, უცხოელმა დამკვირვებლებმა გაყალბებისა და დარღვევების ფაქტები მართლაც, სკრუპულოზურად აღწერეს. ეუთო-ს აზერბაიჯანში ძალიან დიდი, 600-კაციანი მისია ჰყავდა გაგზავნილი.

მეთვალყურეთა აზრით, ბიულეტენების ჩაყრას, ოქმების გაყალბებას, წინასწარ შემოხაზული ბიულეტენების დარიგებას მასობრივი ხასიათი ჰქონდა. არჩევნების დასრულებისთანავე ბევრ უბანში ჩაქრა შუქი, რის შემდეგაც, ერთბაშად რამდენჯერე "გაიზარდა" არჩევნებზე მოსულ მოქალაქეთა რიცხვი. იყო შემთხვევები, როდესაც რეგიონულ საარჩევნო კომისიებში ხელმოწერილი და ბეჭედდასმული, მაგრამ ფანქრით შევსებული ოქმები იგზავნებოდა, რომლებიც წინასწარ ადგილობრივი მილიციის განყოფილებებში მოწმდებოდა.

თითქმის ყველა დამკვირვებელი აღნიშნავდა იმას, რომ კანდიდატები უკიდურესად არათანაბარ პირობებში იყვნენ ჩაყენებული. პოლიცია პირდაპირ ბლოკავდა ოპოზიციის მიტინგებს, მაშინ, როდესაც ალიევის მომხრეთა მიტინგების დროს, სკოლებში მეცადინეობას წყვეტდნენ. უზომოდ ტენდენციური იყო როგორც სახელმწიფო, ისე კერძო მედია, რომელიც ილჰამ ალიევის კამპანიას, განსაკუთრებით, მის მხარდასაჭერად გამართულ აზერბაიჯანული ესტრადის ვარსკვლავების კონცერტებს, საათობით აშუქებდა, ოპოზიციას კი სულ რამდენიმე წამს უთმობდა.

არ გამოქვეყნებულა საარჩევნო სიები, რის გამოც, ათასობით ადამიანმა ხმის მიცემა ვერ შეძლო, სამაგიეროდ სხვებმა რამდენიმე უბანზე მისცეს ხმა.

მასობრივმა გაყალბებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ საღამოს, როდესაც არჩევნების წინასწარი შედეგები ცნობილი გახდა, ალიევის მომხრეები ნახევრად ხუმრობით ილჰამის მიერ მიღებული ხმების რაოდენობის შემცირების საჭიროებაზე საუბრობდნენ.

ეს ყველაფერი საერთაშორისო დამკვირვებლებმა ნახეს და დააფიქსირეს, მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ, როდესაც მათი მოხსენება ქვეყნდება, უკვე ძალიან გვიანაა ხოლმე.

# ერაყის შესახებ რეზოლუცია საბოლოოდ მიღებულია



გერმანიის და საფრანგეთის წარმომადგენლები ხმას აძლევენ რეზოლუციის პროექტს.

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

16 ოქტომბერს გაერო-ს უშიშროების საბჭომ ერაყის მომავალი განვითარების საკითხზე რეზოლუციის პროექტი ერთხმად დაამტკიცა.

კენჭისყრას წინ უსწრებდა ინტენსიური დიპლომატიური ჭიდილი, რომელიც ბოლო მომენტამდე გრძელდებოდა. ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს, რეზოლუციის პროექტის ბოლო ვარიანტისადმი მხარდაჭერის გადაწყვეტილება ჩინეთმა და რუსეთმა მიიღეს და გერმანიასა და საფრანგეთზე ზემოქმედებას შეუდგნენ, რათა რეზოლუციისათვის მათაც მიეცათ ხმა და სირიის მაგალითისათვის არ მიებაძათ.

კენჭისყრა ოთხშაბათს უნდა შემდგარიყო, მაგრამ ვაშინგტონი დათანხმდა, რომ ხმის მიცემა მეორე დღისათვის გადაეტანათ და ამით რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინისათვის, საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის და გერმანიის კანცლერის გერჰარდ შრიოდერის "დამუშავების" შესაძლებლობა მიეცა. როგორც ცხადი გახდა, "დამუშავებამ" წარმატებით ჩაიარა, თუმცა პუტინი უკვე მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში მუსულმანური სახელმწიფოების სამიტზე დასასწრებად მიემგზავრებოდა. უკვე გამზადებულ პროექტში შევიდა სამი შესწორება, რომელთაგან ორი გაერო-ს გენერალურ მდივანს კოფი ანანს ახალი ერაყის პოლიტიკური აღმშენებლობის საკითხებში მონაწილეობის დიდ უფლებამოსილებას ანიჭებს.

გაერო-ს წესდების თანახმად, უშიშროების საბჭოს რეზოლუცია დამტკიცებულად ითვლება, თუკი მას ხმას მისცემს საბჭოს, მინიმუმ, ცხრა წევრი და მუდმივი წევრებიდან არც ერთი არ გამოიყენებს ვეტოს უფლებას. უკვე ოთხშაბათს, ეს ორივე პირობა სახეზე იყო. თუმცა, საბჭოს ზოგიერთი წევრი და, მათ შორის, გერმანია და საფრანგეთი თავის შეკავებას აპირებდნენ. იმ სახელმწიფოთა რაოდენობა, რომლებიც თავის შეკავებას აპირებდნენ, ხუთიდან ექვსამდე მერყეობდა.

მოვლენები კინემატოგრაფიული სისწრაფით განვითარდა. ჩინეთმა არა მხოლოდ თანხმობა განაცხადა ხმის მიცემაზე, არამედ აქტიურად დაიწყო რეზოლუციის ლობირება მოჭოჭმანე ქვეყნებს შორის. ჩინეთის ელჩმა გაერო-ში და სხვა ჩინელმა დიპლომატებმა აქტიურად დაიწყეს მოლაპარაკებები თავიანთ უცხოელ კოლეგებთან. ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა რეზოლუციის ავტორების – აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის უარი ერაყელებისათვის ხელისუფლების გადაცემის ზუსტი გრაფიკის შემუშავებაზე. პროექტში ნათქვამია, რომ ხელისუფლების გადაცემა მხოლოდ კონსტიტუციის მიღების, არჩევნების ჩატარების და "სტაბილური ხელისუფლების" შექმნის შემდეგ უნდა მოხდეს. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ რამდენი ხანია ამისათვის საჭირო? – კითხულობდნენ საბჭოს სხვა წევრები.

ჩინეთი და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები უფრო მეტად ფრანკო-გერმანულ პოზიციას ემხრობოდნენ, მაგრამ, ამასთანავე, ისინი გრძნობდნენ პასუხისმგებლობას მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე.

რუსეთმა, საფრანგეთმა და გერმანიამ ჯერ კიდევ სამშაბათს, 14 ოქტომბერს, უარი თქვეს საკუთარ მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, გაერო-ს კონტროლის ქვეშ ერაყის დროებით მთავრობას ხელისუფლება სწრაფად უნდა გადასცემოდა. ვაშინგტონმა ეს მოთხოვნა თავიდანვე უარყო, თუმცა გარკვეულ დათმობაზე თავადაც წავიდა.

ბევრი რამ პუტინისა და შირაკის მოლაპარაკებაზე იყო დამოკიდებული. როგორც გაერო-ში რუსეთის წარმომადგენელი სერგეი ლავროვი აცხადებდა, ის რეზოლუციას ხმას არ მისცემდა მანამ, ვიდრე სამი პრეზიდენტი არ შეთანხმდებოდა.

ლავროვის პარალელურად მოქმედებდა ჩინეთის ელჩი ვაიგიც. "ნიუ-იორკ ტაიმსისათვის" მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა: **"მე ვესაუბრე ლავროვს. შემდეგ მე ველაპარაკე აშშ-ს ელჩს ნეგროპონტეს. მან მკითხა: შესაძლებელი იყო თუ არა შეთანხმების მიღწევა. მე ვუპასუხე, რომ თუკი მოახერხებდნენ რუსეთის დაკმაყოფილებას, ჩინეთთან პრობლემა არ იქნებოდა."**

16 ოქტომბერს მთელი უშიშროების საბჭო შეიკრიბა. რუსეთის ელჩმა ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთი ხმას აძლევს რეზოლუციის პროექტს, **"რადგანაც მისი პლუსები აჭარბებს მინუსებს."** ამდენად, რეზოლუცია ერაყის საკითხზე მიღებულია. თუმცა, გერმანელებმა და ფრანგებმა უკვე განაცხადეს, რომ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს ერაყში არ გააგზავნიან. ალბათ, ასევე მოიქცევა მოსკოვიც.

რეზოლუციის მიღებით აშშ-ს და გაერო-ს ურთიერთობა ერაყში ახალ ფაზაში შედის. ამ ურთულეს თამაშში ორივე მხარეს თავისი კოზირები გააჩნია. რომლის უფრო ძლიერი აღმოჩნდება, ამას დრო გვიჩვენებს.


# აირჩიე და მოიგებ!




2 ნოემბრის არჩევნებამდე ყოველი კვირის გამოსვლებში პრესაში გამოქვეყნდება 6 კითხვა საარჩევნო თემებზე ოთხი სავარაუდო პასუხით. თითოეულ კითხვასა და პასუხს მინიჭებული ექნება თავისი ნომერი (1,2,3,4). ვიქტორინაში მონაწილეობის მსურველმა გამოქვეყნებულ შეკითხვებზე უნდა გასცეს სწორი პასუხები. ვიქტორინის მონაწილემ ექვსივე შეკითხვაზე გაცემული პასუხების ნომრებით უნდა შეადგინოს საკუთარი ექვსციფრიანი ვარიანტი. ეს ვარიანტი სატელეფონო კომპანიის კოდთან (8-05-32) ერთად წარმოადგენს სატელეფონო ნომერს, რომელზეც უნდა დარეკოს ვიქტორინაში მონაწილეობის მსურველმა.

ვიქტორინაში მონაწილეობას ადასტურებს ავტომოპასუხე
1 სატელეფონო ზარის ღირებულებაა 30 თეთრი

2 ნოემბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღება აუცილებელია ქვეყნისათვის. თქვენი მონაწილეობითა და აქტიურობით საქართველო მოიგებს, მოიგებს მისი თითოეული მოქალაქე. ამიტომ „დამოუკიდებელი პრესის განვითარების ჯგუფი" ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" დაფინანსებითა და ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის თანადგომით მართავს სატელეფონო ვიქტორინას.



## მაგალითი

დასმული შეკითხვების ნომრები ⇨ 1 2 3 4 5 6

8 0 5 3 2 - - - - - -

სატელეფონო კომპანიის კოდი

თქვენი მიერ შერჩეული პასუხების ნომრები შესაბამისი თანმიმდევრობით

## აირჩიე და მოიგებ!

ვიქტორინის პირველი ეტაპის შეკითხვები:

1. როდემდე შეიძლება საარჩევნო სიებში აღმოჩენილი უზუსტობების საუბნო საარჩევნო კომისიაში გასაჩივრება?
   1. 16 ოქტომბრის ჩათვლით
   2. 22 ოქტომბრის ჩათვლით
   3. 30 ოქტომბრის ჩათვლით
   4. 2 ნოემბრის ჩათვლით

2. სად შეიძლება გადამოწმდეთ, ხართ თუ არა ამომრჩეველთა სიაში?
   1. ინტერნეტის საშუალებით
   2. ცენტრალურ და საოლქო საარჩევნო კომისიაში
   3. საუბნო საარჩევნო კომისიაში
   4. ყველა მათგანში

3. ვის შესახებ შეტყობინებით შეიძლება სიებში ცვლილების შეტანა?
   1. მხოლოდ საკუთარი თავის შესახებ
   2. ნებისმიერი პირის შესახებ
   3. საკუთარი თავის და ოჯახის წევრების შესახებ
   4. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

4. გასაჩივრებიდან რამდენი დღის განმავლობაში უნდა შევიდეს ცვლილება სიებში?
   1. 3 დღის ვადაში
   2. 5 დღის ვადაში
   3. 2 ნოემბრამდე
   4. 30 ოქტომბრის ჩათვლით

5. სად აძლევს ის ამომრჩეველი ხმას, რომელიც არჩევნების დღეს არ აღმოჩნდება შეყვანილი ამომრჩეველთა სიაში?
   1. ვერსად
   2. ხელმა ამომრჩევლის ადგილზე დარეგისტრირება
   3. საოლქო საარჩევნო კომისიაში
   4. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

6. რომელ უბანში აძლევენ დევნილები ხმას?
   1. დევნილებისათვის იქმნება ცალკე საარჩევნო უბანი
   2. საოლქო საარჩევნო კომისიაში
   3. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში
   4. იქ, სადაც ფაქტობრივად ცხოვრობენ

## აკრიფეთ 11-ციფრიანი სწორი ნომერი, აირჩიეთ და მოიგეთ!!!

2 ნოემბრის არჩევნებამდე ყოველ კვირა საღამოს „რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში მოხდება ვიქტორინაში გამარჯვებულთა გამოვლენა ლოტერეის საშუალებით. [illegible] ვიქტორინის ყოველ ეტაპზე გამარჯვებულებს გადაეცემათ შემდეგი პრიზები:

1. ტელევიზორი
2. მუსიკალური ცენტრი
3. სარეცხი მანქანა
4. მტვერსასრუტი
5. მობილური ტელეფონი
6. მიკროტალღური ღუმელი
7. პირის საპარსი აპარატი





ხოლო არჩევნების დღეს — 2 ნოემბერს იგივე წესებით ჩატარებულ ვიქტორინაში გამარჯვებული მიიღებს სუპერ-პრიზს — ავტომობილი „რენო სიმბოლი".

[illegible]

კითხვები ვიქტორინისათვის მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნების" მიერ.



ვიქტორინის პირველი ეტაპის გათამაშება შედგება 19 ოქტომბერს „რუსთავი 2"-ის საღამოს პირდაპირ ეთერში. სატელეფონო ზარები მიიღება 14 ოქტომბრიდან - 19 ოქტომბრის 18:00 საათამდე.

[illegible]

[illegible] „სამართლიანი არჩევნების" ტელეფონზე: 95-45-59 (ზარი უფასოა).


# აშშ თურქი ჯარისკაცების საკითხს განიხილავს

გაერო-ს უშიშროების საბჭომ, როგორც იქნა, მიიღო ერაყთან დაკავშირებული რეზოლუცია, რომელიც ამერიკელების ხელმძღვანელობით მომზადდა. ამგვარად, სამართლებრივი თვალსაზრისით, თურქეთს უფლება აქვს, ერაყში ჯარი გააგზავნოს.

თუმცა, აშშ ადმინისტრაცია ამ საკითხში წინდახედულობას იჩენს. აშშ-ის თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის განცხადებით, იმისათვის, რომ თურქი ჯარისკაცები ერაყში გაიგზავნოს, საჭიროა ერაყის მმართველი დროებითი საბჭოს თანხმობა.

ერაყის ქურთების დემოკრატიული პარტიის ლიდერი მესუდ ბარზანი, რომელიც ამავე დროს ერაყის მმართველი დროებითი საბჭოს წევრია, აცხადებს, რომ საბჭოს წევრობაზე უარს იტყვის იმ შემთხვევაში, თუ საბჭო გასცემს სანქციას ერაყში თურქი ჯარისკაცების შესვლაზე. ერაყის გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ბარზანი აცხადებს, რომ ერაყში თურქი ჯარისკაცების შესვლას ძალიან ცუდი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. "თურქი ჯარისკაცების წინააღმდეგ მხოლოდ ქურთები არ გამოდიან. ერაყელების წინააღმდეგობის მიუხედავად თუ თურქი ჯარისკაცები მაინც შევლენ ერაყში, მაშინ მთელი პასუხისმგებლობა თურქებს ეკისრებათ," - თქვა ბარზანიმ.

ამიტომაც, ადმინისტრაცია იძულებულია, ხელახლა განიხილოს თურქ ჯარისკაცებთან დაკავშირებული საკითხები. ინგლისურ გაზეთ "გარდიან"-ში გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ ერაყში მყოფი კოალიციის ძალების თურქი სამხედროებით გაძლიერების გეგმას პრობლემები შეექმნა. "თურქი სამხედროების გაგზავნის გადაწყვეტილებამ ერაყში დიდი უსიამოვნება გამოიწვია. ვაშინგტონი და ლონდონი იძულებული არიან, თავიდან განიხილონ ეს საკითხი," -იტყობინება ინგლისური გაზეთი.

გაზეთის ინფორმაციით, განიხილება რამდენიმე ვარიანტი, რომელთა თანახმადაც თურქი ჯარისკაცები ერაყში იმსახურებენ სამხედრო ფორმების გარეშე, ისინი მოამზადებენ ერაყის ჯარს ან იმსახურებენ საზღვრის დამცველებად.

შესაძლებელია, აგრეთვე თურქეთმა ერაყში 10 ათასი ჯარისკაცის ნაცვლად 5 ათასი ჯარისკაცი გააგზავნოს.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე პაულ ვოლფოვიცი მიიჩნევს, რომ თურქმა სამხედროებმა მაქსიმალურად უნდა მიიღონ მონაწილეობა ერაყში დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში. ***"იმედი", ანკარა***

# ტაში ამერიკიდან

*სასტუმრო "მეტეხის" დიდ საკონფერენციო დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა აშშ – საქართველოს რიგით მეორე ერთობლივი სიმპოზიუმი ბიომედიცინის დარგში (პირველი სიმპოზიუმი 1996 წელს ინფექციურ დაავადებებს ეხებოდა), რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ ფაქტმაც მიანიჭა, რომ მასში სომხეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ.*

ზაზა ფაჩუაშვილი

**"ჩვენმა ერთობლივმა პროგრამამ ფანტასტიკურ დონეს მიაღწია, მაგრამ ახლა სხვა რამეც მინდა ვთქვა. მე იმდენად კარგად ვგრძნობ ამ ქვეყანაში თავს და ისეთი მადლობელი ვარ, რომ გვარიც კი გამოვიცვალე და კეშენაძე გავხდი,"** – განაცხადა თავის მისასალმებელ სიტყვაში აშშ-ს ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტების დირექტორმა საერთაშორისო კვლევების დარგში, ფოგარტის საერთაშორისო ცენტრის დირექტორმა ჯერალდ კეშმა.

აშშ-ს ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტების მსოფლიო მნიშვნელობაზე სათანადო წარმოდგენის შესაქმნელად მისი წლიური ბიუჯეტის დასახელებაც იკმარებდა – 11 მილიარდი დოლარი. ეს ორგანიზაცია სპეციფიკური სამეცნიერო კვლევების წარმოებაში მსოფლიოს მრავალ ქვეყანას ეხმარება და ჯანდაცვის განვითარების საქმეში თავისი გლობალური წვლილიც შეაქვს. ამ ფონზე, ალბათ, განსაკუთრებით დამაიმედებლად ჟღერს, რომ მის სტრატეგიულ პარტნიორთა სიაში გამორჩეულად სტაბილური ადგილი საქართველოსაც უკავია. ასეთმა სანიმუშო თანამშრომლობამ უპრეცედენტო შედეგიც გამოიღო, როცა აშშ-ს კონგრესში მოხსენებით გამოვიდა ქართველი მეცნიერი, შიდსისა და ინფექციური პათოლოგიების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი თენგიზ ცერცვაძე.

ამ ფაქტზე საგანგებო ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ: **"უპრეცედენტო სწორედ ის არის, რომ ამერიკელ გადასახადების გადამხდელთა ფინანსები ხმარდება სხვა ქვეყნის მეცნიერებას და შემდეგ მისი შეფასება ამერიკის კონგრესის დონეზე ხდება."**

ჯორბენაძემ იქვე გაიხსენა სამაგალითო თანამშრომლობის დასაწყისი და ის, რაც ამერიკელებისგან დღემდე გვისწავლია: დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება, კონკურენტიან გარემოში ცხოვრება, საბოლოო პროდუქტზე და ხარისხზე ზრუნვა.

სიამაყით აღინიშნა ისიც, რომ ახალგაზრდა ქართველ სპეციალისტებს ნახავთ აშშ-ს წამყვან სამეცნიეროკვლევით ცენტრებში.

სახელმწიფო მინისტრმა აშშ-სთან თანამშრომლობის ფარგლებში ამიერკავკასიის პერსპექტივაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ერთად შექმნიან დაავადებათა კონტროლის სივრცეს და იზრუნებენ ჯანსაღი გარემოსათვის. ამ ყველაფრისთვის კი დიდი მადლობა გადაუხადა აშშ-ს.

თუმცა, ვალში არც ჯერალდ კეში დარჩენილა, რომელმაც უბრალო მოკვდავის ყურისათვის მიუჩვეველი ფრაზა წარმოთქვა: **"საქართველოს სახელმწიფო არამარტო სხვისგან ელოდება დახმარებას, არამედ თავადაც ძალიან ბევრს აკეთებს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის განვითარებისთვის და მე ტაშს ვუკრავ მას ამისათვის."**

ამ ფრაზამ იმაზე მეტი ტაში დაიმსახურა, ვიდრე შევარდნაძის მისასალმებელმა წერილმა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, ჩვენი სამედიცინო ელიტა ემოციებს ორივე შემთხვევაში ფრიად მოკრძალებულად გამოხატავდა.

სიმპოზიუმი მუშაობას 18 ოქტომბრამდე გააგრძელებს. ამ ხნის განმავლობაში გასვლითი სემინარები კახეთშიც ჩატარდება. ჯერალდ კეშის შეფასებით, ბიომედიცინა მხოლოდ მედიცინა არ არის. იგი მთელი ჯანდაცვის განვითარებას ემსახურება.

# ეს იყო პეტერბურგში...

*ოქტომბრის დასაწყისში პეტერბურგში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა ეგიდით - "გავცვალოთ საუკეთესო გამოცდილებები განათლებაში". კონფერენციას ორგანიზება რუსეთში არსებულმა ბრიტანეთის საბჭომ გაუწია, რუსეთის განათლების სამინისტროსა და დიდი ბრიტანეთის განათლებისა და უნარ-ჩვევების დეპარტამენტის ხელშეწყობით. კონფერენციაში ქართული მხარეც იღებდა მონაწილეობას.*

ნინო ცინცაძე

პეტერბურგში დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განათლების დარგში მომუშავე წამყვანი სპეციალისტები შეიკრიბნენ. მათ შორის: დიდი ბრიტანეთის განათლების მინისტრი ალენ ჯონსონი, OECD-ის ქვეყნების განათლების პროგრამების დირექტორი ანდრეას შლაიხერი, მსოფლიო ბანკის განათლების სექტორის წამყვანი სპეციალისტი მერი კენინგი, ბრიტანეთის საბჭოს გენერალური დირექტორი დევიდ გრინი, რუსეთის განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ვიქტორ ბოლოტოვი და სხვები. მათი მიზანი იყო, ბოლო ორი წლის განმავლობაში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმებისა და სიახლეების შესახებ ემსჯელათ. განიხილავდნენ პროექტებს, რომლებსაც ბრიტანეთის საბჭო, მსოფლიო ბანკი და სხვა მსხვილი დონორი ორგანიზაციები აფინანსებენ.

## ყველაზე კორუმპირებული უმაღლესი განათლების სისტემა სასომხეთსა და საქართველოშია

სხვადასხვა ქვეყნების განათლების სისტემებსა და იქ მიმდინარე რეფორმებზე მსჯელობისას მთავარი ყურადღება განათლების ხარისხსა და მისი მიღების თანაბარუფლებიანობაზე მახვილდებოდა. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ქვეყნები, რომლებიც ყველა თავისი მოქალაქისათვის თანაბარი განათლების მიღების შესაძლებლობას იძლევა, ეკონომიკისა და სოციალური დონის განვითარებაში ყველაზე პროგრესულ ნაბიჯებს დგამენ. ამგვარი განათლების სისტემის მქონე საუკეთესო მაგალითად ფინეთი დასახელდა. როგორც განათლების ექსპერტები ამბობენ, ამ მიზნის მისაღწევად ყველაზე ეფექტური ნაბიჯი სკოლისა და უმაღლესის გამოცდების სტანდარტიზაციაა. ეს კი სკოლის დამამთავრებელი და უმაღლესის მისაღები გამოცდების შერწყმას ნიშნავს. ასეთი გამოცდები მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთ დღეს ტარდება. მას სკოლა ან უმაღლესი კი არ ახორციელებს, არამედ დამოუკიდებელი ორგანიზაცია. სტანდარტული გამოცდების ჩაბარების შემდეგ აბიტურიენტები უმაღლესებში მათ მიერ მიღებული შედეგების მიხედვით ხვდებიან.

ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ამგვარი რეფორმა 8 წლის წინ დაიწყო. თავიანთ მიზანს მათ უკვე დიდი ხანია წარმატებით მიაღწიეს. რუსეთში ამ თემაზე რეალური საუბარი სამი წლის წინ წამოიწყეს, თუმცა იდეას დიდი წინააღმდეგობები შეხვდა. რუსეთის განათლების მინისტრმა განაცხადა, - ვთვლიდით, რომ ჩვენი უმაღლესი განათლების სისტემა იმდენად კარგია, მას რეფორმა არ სჭირდება, მაგრამ ვცდებოდითო. ამ თემაზე დებატებს წერტილი რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა დაუსვა. მან განაცხადა, რომ ამგვარი რეფორმა უნდა განხორციელდეს. კამათი შეწყდა და საქმე გაკეთდა... დღეს სურათი ასეთია: ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მისაღები გამოცდების სტანდარტიზაცია მხოლოდ სასომხეთსა და საქართველოში არ განხორციელებულა. მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა მერი კენინიგმა კერძო საუბარში განაცხადა, რომ მხოლოდ საქართველოსა და სასომხეთში რჩება ისეთი უმაღლესი განათლების სისტემა, რომელიც კორუფციისათვის ბევრ ადგილს ტოვებს.

## ბოლონიის პროცესი

1998 წელს პარიზში იტალიის, გერმანიისა, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის განათლების მინისტრები შეიკრიბნენ, რათა ევროპის ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემების დაახლოების პერსპექტივებზე ესაუბრათ. ამის შედეგად 1999 წელს იტალიის ქალაქ ბოლონიაში 29 ევროპული ქვეყნის განათლების მინისტრმა ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომელიც 2010 წლისათვის უმაღლესი განათლების საერთო ევროპული სივრცის შექმნას ითვალისწინებს. ამ დეკლარაციის მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ მოქალაქეებს საერთო ევროპული სტანდარტებისათვის დამახასიათებელ განათლებას მისცემენ. ამის შედეგად, დეკლარაციის წევრი ქვეყნების მოქალაქეთა უმაღლესი განათლებისა და დოქტორის დიპლომი საერთაშორისო სტატუსს შეიძენს. ამისათვის ყველა ამ ქვეყანაში უმაღლესი განათლება ორსაფეხუროვან (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) სისტემაზე უნდა გადავიდეს და შეფასების საერთო საკრედიტო სისტემა ჩამოყალიბდეს. 1999 წელს ბოლონიის დეკლარაციას ყველა წამყვან ევროპულ ქვეყანასთან ერთად ხელი ბულგარეთის, ესტონეთის, თურქეთის, ლატვიისა და რუმინეთის განათლების მინისტრებმაც მოაწერეს. წელს, სექტემბერში დეკლარაციას რუსეთი, ლიტვა და ალბანეთიც შეუერთდნენ.

ამ პროცესში მონაწილეობაზე საუბარი საქართველოში რამდენიმე წლის წინ მიმდინარეობდა, მაგრამ შეჩერდა... "ბოლონიის ჯგუფის" შეხვედრების ორგანიზატორმა პაველ ზგაგამ განაცხადა, საქართველოსათვის ამ პროცესში ჩართვა შესაძლებელია, რადგან ევროპული კულტურული კონვენციის წევრებიც ვართ და ჩვენთან ტასისისა და იუნესკოს პროგრამებიც ხორციელდება. მთავარია სურვილი და ვალდებულებების აღებისა და - მისი შესრულების უნარი...

## ყველაფერი ცუდად არ არის

საქართველოს მხრიდან კონფერენციაში ბრიტანეთის საბჭოს ინგლისური ენის პროექტების მენეჯერი ქალბატონი რუსუდან ტყემალაძე იღებდა მონაწილეობას. კონფერენციაზე მან ბრიტანეთის საბჭოს მიერ განხორციელებული ინგლისური ენის ეროვნული ასოციაციების განვითარების 4-წლიანი პროექტი წარადგინა, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში უკვე ორი წელია წარმატებით მუშაობს. პროგრამა გულისხმობს - ინგლისური ენის მასწავლებელთა ცენტრების დაარსებასა და მათ ინტერნეტულ ქსელში ჩართვას; ინგლისური ენის ბიბლიოთეკების გაკეთებას; მასწავლებელთა მენეჯერული უნარების განვითარებაზე მუშაობასა და გადამზადების სქემის შექმნას. ქალბატონი რუსუდანის გამოსვლას ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი, ლონდონის უნივერსიტეტის ლექტორი, ქეთრინ უოლტერი ესწრებოდა. მისი შეფასებით, ბრიტანეთის საბჭოს მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტი სამაგალითოა მთელი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ასოციაციებისათვის.

# ნეტავ როგორია, შენით რომ დადიხარ...

*არასამთავრობო ორგანიზაცია "საფეხურების" პროექტი, "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", აგრძელებს "ნამდვილი ამბავის" სერიის გამოქვეყნებას. ისტორიებს ქმნიან ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები. ისინი საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით, შესაძლებელია, მოვუსმინოთ და დავეხმაროთ მათ.*



*დედა-შვილი.*

შორენა რეხვიაშვილი 13 წლისაა. ის მთლიანად დედაზეა დამოკიდებული, რადგან ინვალიდია - დაბადებიდან ცერებრალური დამბლა აქვს და ვერ დადის. მისი შველა შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ პირობებს შეუქმნიან. მას არც სახლი აქვს და არც იმის საშუალება, რომ იმკურნალოს. უსახსრობის გამო კი, მისი მდგომარეობა უფრო უარესდება.

შორენას უკვე ოთხი ოპერაცია ჩაუტარდა. ექიმებმა მშობლებს საზღვარგარეთ სარეაბილიტაციო კურსის ჩატარება ურჩიეს. შორენას დედამ – ქალბატონმა ვენერამ, მატერიალური დახმარების თხოვნით, სახელმწიფოს მიმართა, მაგრამ არც სახელმწიფოს აღმოაჩნდა ამის საშუალება. ქ-ნი ვენერა იძულებული გახდა, ორი საცხოვრებელი ბინა გაეყიდა. ვიზებისთვის და ბილეთებისთვის საჭირო თანხა ფირმა "თამუნიაში" შეიტანა, საიდანაც მას არც ბილეთები და არც ვიზები არ მიუღია. საქმე სასამართლომდეც მივიდა, მაგრამ რეხვიაშვილების ოჯახისთვის უკვე ოთხი წელია 3500 დოლარი არ დაუბრუნებიათ.

ამასობაში შორენას მამამ ოჯახი დატოვა და სხვა ქალი შეირთო ცოლად; თან ის ფულიც გაიყოლა, რომელსაც დედა შორენას რეაბილიტაციისთვის აგროვებდა. ბავშვის მამა რამდენიმე წელია არ გამოჩენილა. ასე დარჩა ქალბატონი ვენერა ორ ვაჟთან და ინვალიდ შორენასთან ერთად ქუჩაში უკაპიკოდ.

ვიდრე ოჯახს ეს ტრაგედია დაატყდებოდა თავს, შორენა, ჩატარებული ოპერაციების წყალობით, ცამეტ ნაბიჯს დამოუკიდებლად დგამდა. მას რეაბილიტაცია და ხელშეწყობა სჭირდებოდა, რომ მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო და მთლიანად დამოუკიდებლად გაევლო.

შორენა მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის სამკურნალო პედაგოგიურ სკოლაში სწავლობდა.

"ერთადერთი ადგილი, სადაც შორენა ისე გრძნობს თავს, როგორც საკუთარ სახლში, სკოლაა", - ამბობს მისი დედა, მაგრამ მან, უსახსრობის გამო, შვილებთან ერთად სოფელში, თავის დედასთან გადაწყვიტა ცხოვრება. ასე მოსწყდა შორენა თავის სამყაროს, სკოლას.

"შორენას იმდენად ენატრებოდა თავისი სკოლა, რომ ველარ ძლებდა - სულ ტიროდა, ცხოვრების ხალისი გაუქრა და მდგომარეობაც, შესაბამისად, გაუუარესდა,"- ამბობს დედა.

ქ-ნი ვენერა, ბავშვისთვის ცხოვრების აზრი რომ დაებრუნებინა, იძულებული გახდა, თბილისში ჩამოსულიყო. ისინი თითო კვირით სხვადასხვა ოჯახში ცხოვრობენ და, ნაცნობების წრე რომ დაელევათ, ალბათ, მალე ქუჩაში მოუწევთ ცხოვრება.

შორენა ძალიან კარგი მოსწავლეა და, პედაგოგების თქმით, ნიჭიერია. ის ლექსებს წერს და ერთი წაკითხვით ყველაფერს ითვისებს; კარგად იცის ისტორია და ქართული. შორენა, ასევე, კარგად მღერის და თამრიკო ჭოხონელიძის სტუდიაში გაკვეთილებს უსასყიდლოდ ესწრება; მასწავლებლებს ძალიან უყვართ.

"შორენა განსაკუთრებული ბავშვია. მასთან რომ დაჯდები, სულს აგიფორიაქებს, თითქოს, კიდევ სხვა ხედვა აქვსო, - ისე იყურება, ისეთ კითხვას დასვამს, ან ისეთ რამეზე გაამახვილებს ყურადღებას, სხვა ბავშვები ვერც კი მოიფიქრებენ",- ამბობს შორენას მასწავლებელი ლალი ცერცვაძე. სამკურნალო პედაგოგიური სკოლის ხელმძღვანელის თქმით, პედაგოგიურ კოლეგიას არაერთხელ უცდია შორენას ოჯახური მდგომარეობის შეცვლა. მათ მხოლოდ წიგნებით, რვეულებით და სწავლისთვის საჭირო ყველა აღჭურვილობით ბავშვის უზრუნველყოფა მოახერხეს. ქ-ნი მარინა ამბობს, რომ ბავშვისთვის აუცილებელია, თუნდაც, ძალიან პატარა თავშესაფარი:

"სკოლა რომ მთავრდება, ყველა სახლში ბრუნდება, შორენას კი წასასვლელი არსად აქვს - ეს ნამდვილი ტრაგედიაა". ექიმების თქმით, შორენასთვის აქტივობა აუცილებელია; აუცილებელია ყოველდღიური საქმიანობაც, მაგალითად, ჭურჭლის რეცხვა, ლაგება. გოგონას კი ამის საშუალება არ აქვს.

ქ-ნი მარინას აზრით, სხვა პრობლემების გარდა, არ არის გამორიცხული, რომ შორენას ფსიქიური მოშლის საშიშროებაც დაუდგეს და საკუთარ თავს რაიმე ავნოს. (მას გოგონა უსამართლობის მსხვერპლად მიაჩნია).

შორენა აპრილში 14 წლის გახდება და მას რიგით მეხუთე სავარაუდო ოპერაცია უწევს. შორენას დედის თქმით, წინა ოპერაციებში 700 დოლარზე ნაკლები არ გადაუხდიათ; რეაბილიტაციაზე ისინი არც კი ოცნებობენ. ახლა ბავშვისთვის უმთავრესი თავშესაფარია.

### ვედრება

ასე ხელით დედიკომ
როდემდე უნდა მატაროს?
ღმერთო, ფეხზე გამატარე,
დედა რომ არ ვაწვალო.
სულ ასეთი ვერ იქნება,
დაბერდება დედა,
პატრონი არ მეყოლება,
ვინ მომივლის ნეტა?
ნეტა როდემდე მექნება
ინვალიდის ეტლი?
მალე ფეხზე გამატარებს,
გადმომხედავს ღმერთი.
ნეტა როგორია, შენით რომ დადიხარ,
შენით რომ დარბიხარ, როცა არავისზე
დამოკიდებული არ ხარ?
მომანიჭე მეც ეს სიხარული,
გადმომხედე ღმერთო, სად ხარ?

### იმედი

მინდა გავშალო სიხარულის
დიდი აფრები.
ფეხზე გავივლი,
მაშ, ასე ხომ არ დავრჩები?
არ დამიკარგავს არასოდეს
ამის იმედი.
მე ამ ზომამდე
ძლიერ ბევრჯერ, ბევრჯერ მივედი.
მე იმედი მაქვს, ამიხდება
ჩემი ოცნება,
მე ჩემით ვირბენ
ესეც მალე, მალე მოხდება.

**(შორენას ლექსებიდან)**

***P.S.*** *თუ ვინმეს დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტის - "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით" კოორდინატორს ირინა სიგუას. მობ: 899555113 ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე:* ***stagesngo@hotmail.com***

ასოციაცია საფეხურები

# სასარგებლო საჩუქრები „პიკოვიტისგან"

*ვიტამინებსა და მინერალებზე უკვე ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ საქართველოში ეს თემა, რატომღაც, არც ისე აქტუალური და პოპულარულია. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი კარგი კვებით ვიტამინების საკმაო დოზას იღებს, პრაქტიკულად, თითქმის გამორიცხულია, ორგანიზმმა ყოველ დღე იმ რაოდენობის ვიტამინი მიიღოს, რაც აუცილებელი და საჭიროა.*

ირინე სანებლიძე



*"ჩვენ "პიკოვიტი" გვესტუმრა"...*

ვიტამინები და მინერალები მონაწილეობენ ნივთიერებათა ცვლის პროცესში, სისხლისა და უჯრედების მემბრანების წარმოქმნაში, გულის კუნთის მუშაობასა და თავის ტვინის განვითარებაში, აგრეთვე, აძლიერებენ იმუნიტეტს. მრავალრიცხოვან ენზიმებთან ერთად ვიტამინები ორგანიზმის გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ. ვიტამინების ნაკლებობა ამცირებს ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებს, ასევე, ინფექციების წინააღმდეგ ბრძოლის უნარს და, შესაძლოა, ბავშვის განვითარებაც კი შეაფერხოს.

კარგად დაბალანსებული კვების რეჟიმი, რომელიც საკმარისი რაოდენობით ხილს, ბოსტნეულსა და რძის პროდუქტს შეიცავს, ვიტამინებისა და მინერალების კარგი წყაროა, მაგრამ ზოგიერთი, განსაკუთრებით ჭირვეული ბავშვი ვიტამინებით მდიდარ საკვებზე ხშირად უარს ამბობს.

ვიტამინების აუცილებლობის, გარკვეულწილად, პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად სლოვენიური ფარმაკოლოგიური კომპანია "კრკას" გუშინდელი ღონისძიება. "კრკამ", რომელსაც 50-წლიანი ტრადიცია აქვს, გუშინ თბილისის ორ საბავშვო ბაღს სიურპრიზი მოუწყო. "ბასტი ბუბუს" და "საპოვნელას" ბავშვებს ღონისძიების ორგანიზატორებმა "პიკოვიტის" ვიტამინები, ფერადი კეპები და მაისურები დაურიგეს.

პატარა მასპინძლებმა ზუსტად არც იცოდნენ, რისთვის ეწვივნენ მათ სტუმრები - ზოგი დაბნეული იყურებოდა, ზოგიც ატირდა და დედას უხმობდა, ზოგმა წაიტრაბახა კიდეც, - დედაჩემი "პიკოვიტს" ყოველ დღე მასმევსო. მალე ბავშვები გაუშინაურდნენ სტუმრებს და ტრადიციული, მისასალმებელი საკონცერტო პროგრამა წარუდგინეს მათ. "ბასტი ბუბუში" პატარებმა ექიმის ფორმაში გამოწყობილ თოჯინა "არდისთან" ერთად იმღერეს "ABCD ვიტამინები".

"საპოვნელაში" სტუმრებს უფრო დიდი საკონცერტო პროგრამა და სპეციალურად "პიკოვიტისთვის" დაწერილი სიმღერაც დაახვედრეს; წარმოითქვა ბევრი ლექსი საქართველოზე, მის ლამაზ მხარეებზე და ჩვენს წინაპრებზე.

"ბასტი ბუბუშიც" და "საპოვნელაშიც" პატარების მისასალმებელი სიტყვის შემდეგ სტუმრების წინ ბავშვების "ცოცხალი" რიგი დადგა - ბუნებრივია, არავის სურდა საჩუქრის გარეშე დარჩენა.

# ავსტრიელმა ინვესტორმა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის რეაბილიტაცია ენერგიულად დაიწყო

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას, ქვეყანას რომ თავი დავანებოთ, თავად ზესტაფონისთვის, მისი მომიჯნავე რაიონებისა და მათი მოსახლეობისთვის, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. გიორგი ნიკოლაძის ინიციატივით, 70 წლის წინად აშენებული საწარმო, იმთავითვე "სამ ვეშაპზე" იდგა - ჭიათურის მანგანუმის მადანი, ტყიბულის ქვანახშირი და რიონჰესის იაფი ჰიდროელექტროენერგია. გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც ქვეყანას შინააშლილობის, სამოქალაქო ომებისა და საყოველთაო ნგრევის ტალღამ გადაუარა, შეიძლება ითქვას, სწორედ ეს "ვეშაპები" გამოეცალა ქარხანას. სამივე საწარმოს სერიოზული რეაბილიტაცია დასჭირდა, მრავალი ასეულ მილიონიანი ინვესტიცია, ინვესტიცია, რომელსაც "სეკვესტრირებული" ბიუჯეტის გადამკიდე ქვეყანა, ნამდვილად ვერ გასწევდა (ვერც დღეს გასწევს). რჩებოდა ერთადერთი გზა - ინვესტორის მოზიდვა, მაგრამ არც ეს გახლდათ იოლი საქმე. ინვესტორები მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იჩენდნენ საწარმოსადმი. ზოგს საწარმოს დღევანდელი მდგომარეობა და ჩვენთან არსებული სამეწარმეო გარემო არ მოსდიოდა თვალში, ზოგი ჩვენ არ მოგვწონდა - სუსტი სარეაბილიტაციო პროგრამისა და არასაკმარისი ფინანსური პირობების გამო. თუმცა, ნათქვამია: "ვინც ეძებს, ის ყოველთვის პოულობსო" და მოულოდნელად იმერეთში ავსტრიელებმა უხშირეს სიარულს.

2003 წლის ივნისში, ავსტრიულმა კომპანიამ DCM DECOmetal International Trading GmbH-ემ გამოთქვა არა მარტო სურვილი - შეეძინა სააქციო საზოგადოება "ზესტაფონის გიორგი ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის აქციათა საკონტროლო პაკეტი (51 პროცენტი), არამედ, 2003 წლის 24 ივნისს საქართველოს მთავრობას საწარმოს რეაბილიტაციის ბიზნეს-გეგმა და ცნობილი შვეიცარული ფირმის - "DK Ferro"-ს კოოპერატული გარანტიაც წარუდგინა.

არც ქართველებმა შეირცხვინეს თავი პასიურობით და ხუთი დღის შემდეგ, 2003 წლის 29 ივნისს საქართველოს პრეზიდენტი საკუთარ თავზე იღებს ინიციატივას და გამოსცემს ბრძანებულებას: სააქციო საზოგადოება "ზესტაფონის გიორგი ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის აქციათა საკონტროლო პაკეტის (51 პროცენტი) კომპანია DCM DECOmetal International Trading GmbH-სათვის (ავსტრია) პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ".

ამავე ბრძანებულებით, ახლად შექმნილ "საწარმოთა მართვის სააგენტოს" დაევალა განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები ზესტაფონის ფეროსთვის, სააქციო საზოგადოება "ჭიათურმანგანუმიდან" საჭირო რაოდენობის მადნის შეუფერხებლად, თავისუფალი ფასწარმოების პრინციპით მისაწოდებლად.

ანალოგიური დავალება მიიღო საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომაც, რომელსაც დაევალა საწარმოს ელექტროენერგიით უწყვეტი მომარაგება წინასწარი გადახდის პრინციპით. ამავე დროს, პრეზიდენტი სთხოვს საქართველოს ელექტროენერგიის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, განიხილოს ქარხნისთვის (ფაქტობრივად ინვესტორისთვის) გარკვეული შეღავათების გაწევის ანუ სხვათა მიერ დაგროვებული ვალების არსებული ტარიფებით გასტუმრების 2008 წლამდე გადავადების შესაძლებლობა.

თუმცა რეალურად სხვა სურათია.ქარხანას დიდი შეფერხებებით მიეწოდება ელექტროენერგია, რაც მას და აქედან გამომდინარე საქართველოს ეკონომიკას ასეული ათასობით დოლარის ზარალს აყენებს. ავსტრიელ ინვესტორთან დადებულ ხელშეკრულებაში მთავარი მოთხოვნა იყო დენის უწყვეტი მიწოდება, რაც დღეისათვის არ სრულდება.

ზესტაფონის ფეროს აქციების 51 პროცენტის სანაცვლოდ გადახდილი 7 მილიონი ამერიკული დოლარი, მავანს შესაძლოა არც თუ ისე დიდ საფასურად მოეჩვენოს, მაგრამ, ჯერ ეს ერთი, იგი ერთადერთი პრივატიზებული ქარხანაა, რომელიც ნომინალურ ფასად გაიყიდა, აქამდე ამის პრეცენდენტი არ გვქონია და მეორეც, ინვესტორის მიერ დროულად გადახდილი თანხა, დიდად გამოადგა, როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივ ბიუჯეტებს. მიუხედავად ამისა, ქვეყნისთვის ბიუჯეტში შესულ თანხებზე უფრო მნიშვნელოვანი მაინც ის პირობები, ის ვალდებულებებია, რომლებიც ავსტრიელებმა იკისრეს.

უპირველეს ყოვლისა ავსტრიელელი ინვესტორები გვპირდებიან, რომ გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას, გააუმჯობესებენ წარმოების პირობებს, შექმნიან თანამშრომლების ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს, დანერგავენ მათი სოციალური დაცვის მექანიზმებს, გაზრდიან მუშა მოსამსახურეთა ხელფასებს, შეკეთებული ღუმელების მწყობრში ჩადგომის შემდეგ (არადა თითოეული ღუმელის შეკეთება, რომელიც 5 წელიწადში ერთხელ მაინც უნდა განხორციელდეს, სულ ცოტა 2 მილიონი აშშ დოლარი ჯდება) შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, დამატებით დასაქმდება ასეულობით ადამიანი, შეჩერდება საქართველოდან არასასურველი მიგრაციის პროცესი.

შეიძლება მკითხველს გაუჩნდეს კითხვა - ერთი საქმეა პირობების მიცემა და სულ სხვაა მათი რეალურად განხორციელება. მაგრამ არსებობს დამცავი მექანიზმი - თუ ინვესტორი არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, იგი ჯერ გაფრთხილებას მიიღებს, შემდეგ კი შეიძლება შეძენილი ქონებაც ჩამოერთვას. ასე, რომ ავსტრიელების მიერ ოფიციალურად დადებული პირობები ლიტონი სიტყვა არ გახლავთ, მათი შესრულება თავად ინვესტორის ინტერესებში შედის.

რა შეიძლება ითქვას? ავსტრიელებმა ძალზე ენერგიულად დაიწყეს ქარხნის რეაბილიტაცია, ამაში ზესტაფონელებიც დაგვეთანხმებიან, რაც იმედს გვაძლევს, რომ ზესტაფონი ისევ გახდება საქართველოს ერთ-ერთი მძლავრი სამრეწველო ცენტრი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონში 19 წინასაარჩევნო სარეკლამო ბილბორდი დამონტაჟდა, თუმცა ჭავჭავაძის №16-ში მდებარე მაღაზია „ავრორას" მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული ბილბორდი დაუდგენელმა პირებმა უკვე დააზიანეს. 40-მდე ბილბორდის დამონტაჟება კვლავ გაგრძელდება მელიქიშვილის ქუჩაზე, ვერის ბაღსა და რუსთაველის გამზირზე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** როგორც საგზაო პოლიციის თბილისის სამმართველო აცხადებს, რუსთაველის გამზირზე და მერაბ კოსტავას ქუჩაზე საგზაო ნიშნებს მოაწესრიგებენ. ამ ქუჩებზე ბევრი საგზაო ნიშანი მოპარულია, ზოგი დაზიანებულია, ზოგზე კი წინასაარჩევნო პლაკატებია დაკრული. "შესაბამისი საგზაო ნიშნების არარსებობის შედეგია დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებში უკანონოდ დაყენებული მანქანები, რომლებიც ამცირებენ სავალ ნაწილს და ხელს უშლიან ავტოტრანსპორტის მოძრაობას," – აცხადებს საგზაო პოლიცია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილისობისადმი" მიძღვნილი ფართომასშტაბიანი ღონისძიების ჩატარებას დედაქალაქის არც რაიონული მოსწავლეთა სახლები და არც სამინისტრო არ აპირებენ, რასაც მოახლოებული საპარლამენტო არჩევნებით ხსნიან. „ქვეყანაში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიებისა და პოლიტიკურ პარტიათა შორის ღია თუ ფარული დაპირისპირების ფონზე მიზანშეუწონილად მიგვაჩნია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოსწავლეთა შეკრებები", - აცხადებენ მოსწავლეთა სახლების ხელმძღვანელები. ღონისძიებები მხოლოდ სკოლების დაბალ კლასებსა და ბაგა-ბაღებში ჩატარდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის წარმომადგენლობაში გუშინ ტაო-კლარჯეთში არსებული ისტორიული ძეგლების გადარჩენის საკითხებზე იმსჯელეს. დისკუსიაში ისტორიკოსები, ფილოლოგები და მეცნიერები მონაწილეობდნენ. შეხვედრა ქართველ მეცნიერთა ექსპედიციას მიეძღვნა, რომელიც ოქტომბრის დასაწყისში მოეწყო. როგორც ექსპედიციის წევრებმა აღნიშნეს, თურქეთის ხელისუფლება და ადგილობრივი მოსახლეობა კეთილგანწყობით შეხვდნენ ექსპედიციის წევრებს. სწორედ მათი დახმარებით გახდა შესაძლებელი ამ ექსპედიციის მოწყობა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის დასაწყისში, სახელმწიფო არქივის შენობის წინ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მინი-ბაზრობა გაიხსნა. ასეთ ვაჭრობას ბიომეურნეობათა ასოციაცია „ელკანა" პერიოდულად დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში მართავს. თბილისის ვეტერინარიული გაერთიანების ცნობით, „ელკანას" პროდუქცია ლაბორატორიულად შემოწმებული და ნებადართულია. სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ამ ასოციაციის მიერ წარმოებული ხილბოსტნეული და ხორცეული ეკოლოგიურად სუფთაა. ვაჟა-ფშაველას გამზირზე „ელკანას" ბაზრობა ორ დღეს გაგრძელდება. ანალოგიურ ბაზრობებს ბიომეურნეობები თბილისობაზეც მოაწყობენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** გუშინ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში საერთო საეთერო რადიომაუწყებლობაზე კონკურსი დასრულდა. კონკურსში გამარჯვებულად რუსთავის შპს „ელ-სი კომპანია" გამოცხადდა. მას ერთი გადამცემის მეშვეობით მეხუთე სამაუწყებლო ზონაში მუშაობის შესაძლებლობა ექნება. ახალი რადიოკომპანიის გადაცემები რუსთავზე, გარდაბნის, საგარეჯოს, მარნეულის, ბოლნისის, თეთრი წყაროს და დმანისის რაიონებზე გავრცელდება. ლიცენზიის მისაღებად „ელ-სი-კომპანიამ" უნდა გადაიხადოს საწყისი ღირებულების (8100 ლარის) 30 პროცენტი, დანარჩენი თანხა კი ვალდებულია მომავალი 10 წლის განმავლობაში დაფაროს. **მედია-ნიუსი**

მოკლედ

### დააკავეს გამტაცებელთა ლიდერი

პოლიციამ გამტაცებელთა ჯგუფის ლიდერი დააკავა. გიგა ინანიშვილს წელს, აგვისტოში, ონის რაიონიდან 11 წლის გიორგი ქიქავას გატაცების ორგანიზება ბრალდება.

როგორც ცნობილია, ბავშვი სოფელ ჟაქეში, ბაბუასთან ისვენებდა. თვითმხილველები ირწმუნებოდნენ, ბავშვი გამტაცებლებს ავტომანქანა "ნივაში" საკუთარი ნებით ჩაჯდა. მას შემდეგ რამდენიმე დღის მანძილზე იგი არავის უნახავს. სამართალდამცველები მაშინ ვარაუდობდნენ, რომ გატაცება ქიქავას მშობლების ბიზნესს უკავშირდებოდა. გატაცებიდან რამდენიმე დღეში ბავშვი გაათავისუფლეს. პოლიციის მტკიცებით, ყოველგვარი გამოსასყიდის გადახდის გარეშე. სამართალდამცველებმა დააკავეს რამდენიმე გამტაცებელი, თუმცა დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელის - გიგა ინანიშვილის დაკავება მხოლოდ გუშინწინ მოახერხეს.

### ავტომანქანის გამტაცებლები ავარიამ იმსხვერპლა

გუშინ გორი-ცხინვალის საავტომობილო გზაზე მომხდარმა ავტოავარიამ ორი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. გორიდან გატაცებული, დიდი სისწრაფით მოძრავი "BMW"-ს მარკის ავტომანქანა სოფელ ძევერასთან "გაზელის" მარკის სატვირთო მანქანას შეეჯახა. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა რამდენჯერმე ნასამართლევი, ბოლო დროს ავტომანქანების გატაცებისა და პოლიციის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის ძებნილი [illegible]. მისი თანმხლები დავით გოზალიშვილი კი (მეტსახელად "თოკა") გორის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

გატაცებულ ავტომანქანაში პოლიციამ "მაკაროვისა" და "ბაიკალის" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩინა. ამჟამად მოწმდება, ხომ არ არის ამ იარაღით ჩადენილი სხვა დანაშაული.

შიდა ქართლის კრიმინალური პოლიციის უფროსის არჩილ იმერლიშვილის განცხადებით, სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ [illegible] და გოზალიშვილი გატაცებულ ავტომანქანას [illegible].

*ინტერ-პრესი*

### ქართული მართლმსაჯულება შუა აზიური გზით

ვარშავაში მიმდინარე ეუთო-ს კონფერენციაზე გამოსულმა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა [illegible]

ორი სიტყვით

**თბილისი.** პოლიციელებმა დააკავეს 24 წლის ვახტანგ კვირკველია, რომელიც ავტომანქანების გატაცებაში ბრალდებულია. [illegible] 15 ოქტომბერს [illegible] "ვაზ 21-06" მარკის ავტომანქანა [illegible]. *მედია-ნიუსი*

■ ■ ■

**თბილისი.** შოთა რუსთაველის გამზირზე [illegible]. *მედია-ნიუსი*

■ ■ ■

**ქუთაისი.** [illegible]. *ინტერ-პრესი*

# გრიგოლ ხურცილავას კიდევ მოუწევს ჩვენების მიცემა

პირველი გვერდიდან

გუშინ მოსამართლეთა კოლეგია, პროკურორი, დაზარალებულისა და მსჯავრდებულ გრიგოლ ხურცილავას ადვოკატები დიდი ხნის განმავლობაში მსჯელობდნენ, საჭიროა თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლოში უკვე დაკითხულ მოწმეთა ხელახალი დაკითხვა. იმის გასარკვევად, დასაბრუნებელია თუ არა გიორგი სანაიას მკვლელობის საქმე დამატებით გამოძიებაში (ამას დაზარალებული მხარე ითხოვს), სასამართლო კოლეგიამ მთელი საქმის ხელახლა, არსებითად განხილვა გადაწყვიტა.

თუკი დაზარალებული მკვლელობის მოტივის დასადგენად საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნებას ითხოვს, მსჯავრდებულის ადვოკატი თავისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის ხელახალი ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების საკითხს სვამს.

**"ხურცილავასთვის ჩატარებული ექსპერტიზა აბსურდია. ფსიქოლოგ-ფსიქიატრებმა, ექსპერტებმა ვერ ჩამოაყალიბეს და დაუსაბუთებელი დასკვნა გასცეს",** - აცხადებს დავით დადიანი და დარწმუნებულია, რომ, ხელახალი ექსპერტიზის დასკვნით, ხურცილავა მკვლელობის მომენტში აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა.

**"ჩვენ გვინდა ჭეშმარიტების დადგენა, არ ვითხოვთ იმას, რომ მაინცდამაინც ხურცილავა უნდა დაისაჯოს, ან უვადო პატიმრობა მიესაჯოს. ჩვენ ვითხოვთ მკვლელობის ჭეშმარიტი მოტივის დადგენას. ეს კი შეუძლებელია საქმის დამატებით ძიებაში დაბრუნების გარეშე. ვერც სააპელაციო სასამართლო შეავსებს იმ ხარვეზებს, რაც გამოძიებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუშვეს",** - ასეთი პოზიცია აქვს დაზარალებულის უფლებამონაცვლე ადვოკატს ვლადიმერ გაბრიჩიძეს.


გოჩიტა ბახაიძის ფოტო
ყველაფერი თავიდან იწყება.

რატომ არ დაინტერესდა გამოძიება სანაიას ბინის გასაღების დაკარგვით, როგორ აღმოაჩინა გამოძიებამ ხურცილავას მიერ მიწაში ჩაფლული მასრა და სანაიების გასაღები მიწის ზედაპირზე, როდესაც აღნიშნულ ნივთებს ვერ მიაგნო ლითონმძებნმა მოწყობილობამ? - ეს მხოლოდ ნაწილია იმ კითხვებისა, რომელზე პასუხსაც დაზარალებული მხარე მოითხოვს.

**"აბსურდულად მიგვაჩნია სასამართლოს მტკიცება ხურცილავას მიერ დანაშაულის ყოველგვარი მოტივის გარეშე ჩადენის შესახებ, როდესაც არც ერთი განზრახ დანაშაული მოტივის გარეშე არ ხდება. საქმეში არსებული დარღვევები და უკანონობა ცალსახად ადასტურებენ, რომ გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის გამოძიების, სასამართლო განხილვისა და განაჩენის დადგენის დროს უხეშად დაირღვა კონსტიტუცია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და კანონმდებლობის სხვა მოთხოვნები. წინასწარი და სასამართლო გამოძიება ჩატარდა არასრულად და ცალმხრივად. სიმართლე არ გაირკვევა, გამოტანილია უკანონო, დაუსაბუთებელი და უსამართლო განაჩენი. გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს განაჩენი უნდა გაუქმდეს და დამატებითი გამოძიებისთვის საქმე პროკურატურას დაუბრუნდეს"** , - აცხადებს დაზარალებულის ადვოკატი.

ერთი სიტყვით, მსჯავრდებულისა და დაზარალებულის ადვოკატები გუშინ ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ დანაშაული მოტივის გარეშე არ ხდება და გიორგი სანაიას მკვლელობის ნამდვილი მოტივის დადგენას ცალ-ცალკე ითხოვდნენ.

მოწმეთა საოლქო სასამართლოში ხელახლა დაკითხვის შემდეგ ხურცილავას ისევ მოუწევს ჩვენების მიცემა.

რა გაირკვევა ახალი გიორგი სანაიას მკვლელობის შესახებ საოლქო სასამართლოში, ან გაირკვევა თუ არა რამე - წინასწარ ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ არც დაზარალებული და არც მსჯავრდებული ხურცილავა პოზიციებს არ თმობენ და ჭეშმარიტების დადგენას ითხოვენ.

# ევროკავშირი იუსტიციის სამინისტროს ახალ პროექტებს სთავაზობს

*საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ევროკავშირის TACIS-ის 6-თვიანი პროექტის ფარგლებში 200 ათას ევროს მიიღებს. ევროკავშირის დახმარება სულ ცოტა ხნის წინ შექმნილი ახალი დეპარტამენტის - არასაპატიმრო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის - განვითარებისთვაა გამიზნული.*

პროექტის პრეზენტაციაზე, რომელიც იუსტიციის სამინისტროში გაიმართა, საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ელჩმა ტორბენ ჰოლცემ განაცხადა, რომ საქართველოში პრობაციის სფეროს დასახმარებლად შემუშავებულ პროექტს ამ სფეროს საერთაშორისო ექსპერტი, ინგლისელი მარტინ სედონი უხელმძღვანელებს, რომელიც პრობაციის სისტემის ჩამოყალიბებაში ბევრ ევროპულ ქვეყანას დაეხმარა.

მარტინ სედონის სახელთანაა დაკავშირებული რუმინეთის პრობაციის სისტემის ჩამოყალიბება. სხვათა შორის, რუმინული პრობაციის სისტემა ევროპაში სამაგალითოდ მიაჩნიათ.

საქართველოში განსახორციელებელი პროექტის ინგლისელი კოორდინატორი მარტინ სედონი საქართველოს ათდღიანი ვიზიტით 11 ოქტომბერს ეწვია. იგი იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის მუშაობას გაეცნობა და სამუშაო გეგმას შეადგენს. ნოემბრის დასაწყისში საქართველოს, სედონთან ერთად, სხვა ექსპერტებიც ეწვევიან და პროექტის ტექნიკური მხარის განხორციელებას დაიწყებენ.

არასაპატიმრო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტი იუსტიციის სამინისტროში სამი თვის წინათ შეიქმნა.

მანამდე არასაპატიმრო სასჯელთა (პირობითი მსჯავრი, ვადაზე ადრე გათავისუფლება, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და ა.შ.) აღსრულება იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის ფუნქცია იყო, რომელიც სათანადო ბაზის უქონლობისა და სხვა მიზეზების გამო ვერ ხორციელდებოდა.

პრობაციის პროექტის კოორდინატორის მარტინ სედონის განცხადებით, პროექტი 6 თვეს მოიცავს და მასში გათვალისწინებულია აღნიშნული დეპარტამენტის სოციალური და ფსიქოლოგიური სფეროების დაფინანსება. აგრეთვე, შეიქმნება კომპიუტერული ბანკი, სადაც ყველა მსჯავრდებულის საფუძვლიანი მონაცემები შევა. მისი თქმით, ისინი დაეხმარებიან არასაპატიმრო სანქციით მსჯავრდებულ პირებს თავიანთი პრობლემების მოგვარებაში. პროექტის ძირითადი მიზანი მსჯავრდებულებთან სოციალური და ფსიქოლოგიური პროგრამების განხორციელება იქნება. დოქტორი სედონი საქართველოში პრობაციის სისტემის ჩამოყალიბებაში ევროპული გამოცდილების გამოიყენებას აპირებს.

პროექტის დასრულების შემდეგ ევროკავშირი სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ახალი, ერთი მილიონი ევროს ღირებულების პროექტის განხორციელე-


ლევან ხერხეულიძის ფოტო
ევროკავშირი იუსტიციის სამინისტროს დაეხმარება.

ბას დაიწყებს.

ახალი პროექტი სასჯელაღსრულების ინსტიტუციონალურ რეფორმასა და მატერიალური ბაზის განვითარებას შეუწყობს ხელს.

**"საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ძალზე მძიმე მემკვიდრეობა ერგო, როდესაც სასჯელაღსრულების სისტემა და, განსაკუთრებით, საპატიმროები მის დაქვემდებარებაში გადავიდა. ჩვენი აზრით, იუსტიციის სამინისტრომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ძალზე დიდი ძალისხმევა მოანდომა ადამიანის უფლებების სფეროში საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას და შეიმუშავა პენიტენციალური სისტემის რეფორმების მართებული სტრატეგია.**

**ევროკავშირი ამზადებს პენიტენციალური სისტემის რეფორმის პროექტს იუსტიციის სამინისტროსთვის და იმედი მაქვს, ცოტა ხანში შესაძლებლობა მექნება, უფრო დეტალურად წარმოგიდგინოთ ეს პროექტი,"** – განაცხადა საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ელჩმა ტორბენ ჰოლცემ.

*24 საათი*

# პოლონეთის ელჩის დამყაჩაღებელი დააკავეს

გუშინწინ საგარეჯოელმა პოლიციელებმა პოლონეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის დაყაჩაღებაში ეჭვმიტანილი დააკავეს.

როგორც ცნობილია, ყაჩაღობა დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის მახლობლად, სოფელ უდაბნოს მიდამოებში მოხდა. ღირშესანიშნაობების დასათვალიერებლად ქალაქიდან გასული მარეკ მარკინეკი და მისი თანმხლებნი თავდამსხმელებმა ავტომანქანის, მობილური ტელეფონის, პირადობის დამადასტურებელი ყოველგვარი საბუთისა და ფულის გარეშე, მაისურების ამარა დატოვეს.

თავად მარკინეკის ნაამბობის თანახმად, თავდამსხმელები ორნი იყვნენ. ნიღბებით სახედაფარული შეიარაღებული ბოროტმოქმედები მათ მანქანას გზაზე გადაუდგნენ, მგზავრები მანქანიდან გადმოსხეს. გადმოსულებს შესაშინებლად ფეხებში ესროდნენ. მერე მიწაზე გართხმულები გაჩხრიკეს, ყველაფერი წაართვეს და აიძულეს, გარკვეული პერიოდი, სანამ ისინი შემთხვევის ადგილს არ მოშორდებოდნენ, არ ამდგარიყვნენ. დაზარალებულები თბილისში ერთ-ერთი ტურისტული კომპანიის წარმომადგენლებმა ჩამოიყვანეს. მალე გამოჩნდა გატაცებული მანქანაც – დიპლომატიური ნომრების მქონე "ჯიპი" ყაჩაღობიდან მეორე დღესვე საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალასთან იპოვეს მიტოვებული.

ერთ-ერთი იმ ბოროტმოქმედთაგან, რომლებიც დაზარალებულთ ასე გაეცნენ – "ჩვენ ქართველები ვართ", თბილისელი, 19 წლის ბაკურ ტვილდიანია.

ტვილდიანი ხუთშაბათს, საგარეჯოში, მასთან ერთად მყოფ ორ პიროვნებასთან ერთად დააკავეს.

**"ტვილდიანს რამდენიმე დღეა, ვადევნებთ თვალს,** - გვიამბო საგარაჯოს რაიონის პოლიციის უფროსმა მამუკა ზირაქიშვილმა, - **იგი, მეგობრებთან ერთად, ისევ საგარეჯოში დავაკავეთ. თბილისიდან მომავალ სამარშრუტო მიკროავტობუსში ისხდნენ. საგარეჯოდან კვლავ უდაბნოსკენ აპირებდნენ გეზის აღებას".**

პოლიციის მონაცემებით, ბაკურ ტვილდიანი დანაშაულის ადგილისკენ ნაყაჩაღარი ნივთებით მიემართებოდა. ჩხრეკისას სამართალდამცველებმა მას პოლონეთის ელჩისთვის წართმეული საათი და ორი ცალი ბეჭედი უპოვეს.

უკვე თბილისში კი, მისი ბინის ჩხრეკისას, ელჩის ოჯახის კუთვნილი ფოტოაპარატები და მობილური ტელეფონი ამოიღეს.

სამართალდამცველთა ცნობით, ნივთმტკიცებების მიგნება მათ ეჭვებს ადასტურებს და ბაკურ ტვილდიანის ბრალეულობა თითქმის უეჭველია, რასაც ვერ ვიტყვით მასთან ერთად დაკავებულ ორ პირზე. ჯერჯერობით, მათ ვინაობას პოლიცია არ ასახელებს. მამუკა ზირაქიშვილის თქმით, ორივე შეიარაღებული იყო, თუმცა დაკავებისას წინააღმდეგობის გაწევა ვერც კი მოასწრეს. ამჟამად დგინდება, აქვთ თუ არა მათ კავშირი მომხდარ ყაჩაღობასთან.

**24 საათი**

# სვანური ანტიკრიმინალური ოპერაციის შედეგი

### ამოღებული 22 ავტომატი და ერთი დაპატიმრებულია

*ერთი თვის წინ დიდი აჟიოტაჟით დაწყებული სვანური ანტიკრიმინალური ოპერაცია და მესტიაში მიმდინარე მოვლენები თითქმის უკვე ყველას გადაავიწყდა. რას აკეთებს სვანეთში ამ ხნის განმავლობაში პოლიცია და რა შედეგები აქვს ანტიკრიმინალურ ოპერაციას? სამართალდამცველები ამ კითხვებს კვლავ ორი სიტყვით პასუხობენ – "მიდის მუშაობა".*

ხათუნა ჯანგირაშვილი

მუშაობაში კი, ძირითადად, კვლავ პროფილაქტიკურ, ახსნა-განმარტებით სამუშაოებს გულისხმობენ და აცხადებენ, რომ ანტიკრიმინალური ოპერაცია სვანეთში კიდევ კარგა ხანს, არჩევნების შემდეგაც გაგრძელდება.

მოსახლეობისგან ამოღებული 22 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და ერთი დაკავებული ძებნილი კრიმინალი - ეს გახლავთ თბილისიდან სვანეთში გადასროლილ სამართალდამცველთა ერთთვიანი მუშაობის შედეგი, რომლითაც პოლიცია ამაყობს.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ანტიკრიმინალური ოპერაციის პირველი მსხვერპლი მესტიელი "კრიმინალი", მკვლელობისთვის წლების განმავლობაში ძებნილად გამოცხადებული უსუპ დადვანია. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, ძებნილი დადვანი ამ ხნის განმავლობაში მშვიდად, უპრობლემოდ ცხოვრობდა საკუთარ სახლში, სოფელ კალაში.

როგორ ჩანს, სართალდამცველები, დადვანის დაკავებას კარგა ხნის განმავლობაში შეგნებულად არიდებდნენ თავს. ამის მიზეზი დადვანების ოჯახსა და მესტიის პოლიციის თანამშრომლებს შორის სამი წლის წინ მომხდარი სისხლიანი შეტაკება გახლავთ. მართალია, ამ შეტაკების დროს პოლიციელებმა შეძლეს დადვანის დაკავება, თუმცა მაშინვე გაათავისუფლეს კიდეც.

ჩვენი ინფორმაციით, მაშინ ალყაშემორტყმულმა დადვანის ოჯახის წევრებმა თავად მოაქციეს ალყაში პოლიციელები. უსუპ დადვანის ახლობლებმა პოლიციას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. საუბარია მათი მხრიდან ხელყუმბარებისა და ტყვიამფრქვევების გამოყენებაზე. სისხლისღვრა რომ თავიდან აეცილებინათ, პოლიციელებს დაკავებულის სასწრაფოდ გათავისუფლება გადაუწყვეტიათ. როგორც ამბობენ, ეს რომ ასე არ მომხდარიყო, დადვანების საგვარეულო სერიოზულ პრობლემებს შექმნიდა სვანეთში.

სამი წლის წინ მომხდარი ინციდენტის დროს დაიჭრა რამდენიმე პოლიციელი. დადვანებმა სამართალდამცველთა ავტომანქანებიც გამოიყვანეს მწყობრიდან.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, პოლიციასთან მომხდარი შეტაკებიდან ცოტა ხანში უსუპ დადვანმა მეზობელ პოლიციელს - კაკრიაშვილს "ჩაშვების" ბრალდება წაუყენა და დაჭრა კიდეც.

უსუპ დადვანი ანტიკრიმინალური ოპერაციის მონაწილეებმა ორი დღის წინ, საკუთარ სახლში დააკავეს. ჩვენი ინფორმაციით, ამჯერად მის დაკავებას სისხლიანი შეტაკება არ მოჰყოლია. უსუპ დადვანი, რომელსაც, "სერიოზულ კრიმინალურ ელემენტს" უწოდებენ, უკვე მესტიის წინასწარი დაკავების საკანშია. ნარკოტიკების შენახვა, პოლიციისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა – ეს ის ბრალდებებია, რომლებიც მის ადრინდელ ბრალდებას – ლენტეხში ჩადენილ მკვლელობას დაემატება.

მოკლედ

### გატაცებული მარიამ გოგინაშვილის მამას ფულს პროფესიონალი თაღლითი სძალავდა

თბილისის პროკურატურამ დააკავა თაღლითობაში ბრალდებული 64 წლის ზაირა ფოცხვერია. მან წელიწადნახევრის წინათ წყნეთიდან გატაცებულ 13 წლის მარიამ გოგინაშვილის მამას - თამაზ გოგინაშვილს წლეულს, მაისში - 3 ათას 500 დოლარი, ხოლო 15 ოქტომბერს 1500 დოლარი გამოსძალა.

თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის ვალერი გრიგალაშვილის თქმით, ზაირა ფოცხვერია რამდენიმე თვის განმავლობაში ტელეფონით უკავშირდებოდა თამაზ გოგინაშვილს, ეუბნებოდა, რომ იცოდა მისი შვილის ადგილსამყოფელის შესახებ და გამტაცებლებს ბავშვს იმ შემთხვევაში გამოაჩენინებდა, თუ ფულს გადაუხდიდნენ.

თამაზ გოგინაშვილმა ფოცხვერიას 3 ათას 500 დოლარი წლეულს მაისში გადაუხადა, თუმცა ინფორმაცია მისი შვილის ადგილსამყოფელის შესახებ არ მიუღია. ზაირა ფოცხვერია მოგვიანებით, 15 ოქტომბერს, ისევ დაუკავშირდა გატაცებულის ოჯახს და ამჯერად საიდუმლო ინფორმაციაში 1500 დოლარი მოითხოვა.

სწორედ ამის შემდეგ მიმართა თამაზ გოგინაშვილმა სამართალდამცველებს. კანონდამცველებმა ფოცხვერიასათვის გადასაცემი კუპიურები სპეციალური ხსნარით დაამუშავეს. თანხის გადაცემის შემდეგ ზაირა ფოცხვერია დააკავეს. როგორც აღმოჩნდა, იგი მარიამ გოგინაშვილის ადგილსამყოფელის თაობაზე არავითარ ინფორმაციას არ ფლობდა; უბრალოდ, ფულს სძალავდა ოჯახს.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, ზაიარა ფოცხვერია წარსულში სამჯერაა ნასამართლევი და სამივეჯერვე თაღლითობის ბრალდებით. მისი მეოთხე მსხვერპლი 13 წლის მარიამ გოგინაშვილის მამა აღმოჩნდა.

შეგახსენებთ, რომ 13 წლის მარიამ გოგინაშვილი წყნეთიდან შარშან, მაისში გაიტაცეს. მომხდარ ფაქტს თბილისის პროკურატურა იძიებს და საქმე დღემდე გაუხსნელია. ჯერჯერობით, უცნობია გატაცებული ბავშვის ადგილსამყოფელიც.

*მედია-ნიუსი*

### გიგა გელაშვილი ციხიდან ბიზნესს დაუბრუნდა

"მხედრიონის" ერთ-ერთმა ყოფილმა ლიდერმა გიგა გელაშვილმა ორთაჭალის საპყრობილე გუშინ, დილით დატოვა. იგი სასჯელის ვადის ამოწურვის გამო პატიმრობიდან გაათავისუფლეს. მან ისრაელში ჩადენილი დანაშაულისათვის თელ-ავივის სასამართლოს მიერ მისჯილი 4 საპატიმრო თვე ბოლომდე მოიხადა.

გიგა გელაშვილის თბილისში ექსტრადირების შემდეგ ქართულ მართლმსაჯულებას თელ-ავივის სასამართლოს განაჩენი ქართულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში უნდა მოეყვანა; თუმცა პროცესი, რომელიც ვაკე-საბურთალოს სასამართლოში უნდა ჩატარებულიყო, გაურკვეველი მიზეზით დაუდგენელ დრომდე გადაიდო. მეტიც, 3 ოქტომბერს თბილისის ვაკე-საბურთალოს სასამართლომ, ფაქტობრივად, ძალაში დატოვა თელ-ავივის სასამართლოს გადაწყვეტილება. სხვათა შორის, ქართული კანონმდებლობა საზღვრის უკანონო გადაკვეთისა და ყალბი საბუთების შეძენა-დამზადება-გამოყენებისთვის თითქმის იმავე სასჯელს ითვალისწინებს, რასაც ისრაელის კანონმდებლობა.

არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" წარმომადგენელი ნანა კაკაბაძე აცხადებს, რომ გიგა გელაშვილი პოლიტიკაში ჩაბმას არ აპირებს და სამომავლოდ ისევ ბიზნესში გააგრძელებს საქმიანობას.

"არც არჩევნებში და არც პოლიტიკაში ჩაბმას არ ვაპირებ, ეს ჩემი საქმე არ არის," – ამბობს თავად გიგა გელაშვილი, რომელიც ჟურნალისტებთან შეხვედრას კვირას გეგმავს.

შეგახსენებთ, რომ თელ-ავივის პოლიციამ გიგა გელაშვილი 20 ივნისს დააკავა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის, საბუთების გაყალბებისა და საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით.

ისრაელის სასამართლომ მას აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის 8 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ეს ვადა მსჯავრდებულს ისრაელშივე გაუნახევრეს სანიმუშო ყოფაქცევისათვის. გიგა გელაშვილი ისრაელიდან თბილისში 15 სექტემბერს ჩამოიყვანეს.

გიგა გელაშვილი 1995 წლის 29 აგვისტოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტის ბრალდებით იყო გასამართლებული და იგი გასულ წელს პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

*24 საათი*

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ [illegible]
■ [illegible] – MS Word,
■ [illegible] – MS Excel,
■ [illegible]
■ [illegible] Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

# დსთ-ს ერთიანი ეკონომიკური სივრცე - ორიენტაცია ევროს ზონაზე



*პრესკონფერენციაზე ხრისტენკოს თავი მხიარულად ეჭირა.*

პირველი გვერდიდან

– 60 მლრდ დოლარი, რაც ცოტაა, თანაც, თურმე, მოსკოვს ხელს უშლის თავისუფალი სავაჭრო ზონის სამართლებრივი საკითხების მოუგვარებლობა.

ხრისტენკოს ინფორმაციით, თავისი მიზნების განსახორციელებლად, 1 დეკემბრამდე მოსკოვი შექმნის დსთ-ს ზენაციონალურ ორგანოს ნორმატიული დოკუმენტების მოსამზადებლად, რაც საბოლოოდ რუსეთის ევროპაში გარღვევისათვისაა გამიზნული. მანამდე რუსეთს სამი მთავარი პრიორიტეტი აქვს: 2020 წლამდე რუსეთის ელექტროენერგეტიკის სტრატეგიაში წერია, რომ რუსეთი აღმოსავლეთით, ჩრდილოეთითა და დასავლეთით დალაშქრავს ენერგოსისტემებს, მაქსიმალურად გამოიყენებს საკუთარ გეოგრაფიულ შესაძლებლობებს. ამასობაში ბელორუსთან პოლიტიკურ უთანხმოებებს ერთიანი ვალუტის შემოღებით მოხსნის და ნელნელა ბალტიის რესპუბლიკებამდე გაფართოვდება. ჩუბაისსა და მილერს ველარაფერი გააჩერებს, - ამაყობს რუსეთის ვიცე-პრემიერი.

"რია ნოვოსტის" დარბაზში, ხრისტენკოს პრესკონფერენციაზე, მოსკოვში მომუშავე უკრაინელი ჟურნალისტები აქტიურობენ, ისინი აბეზარ შეკითხვებს სვამენ. ხრისტენკო მათ ამშვიდებს, რომ უკრაინის გაზის კონსორციუმის შექმნა ერთიანი სავალუტო სივრცისათვის მომგებიანი მოედნის მომზადებაა. უკრაინელები ამტკიცებენ, რომ ამ პროექტებში პოლიტიკა ჯაბნის ეკნომიკას. ვიცე-პრემიერი კი, რუსებისთვის ამ ბოლო დროს ჩვეულებად ქცეული მიამიტობით პასუხობს: **"მე ამისი არ მჯერა".** იგი აცხადებს, რომ ევროპის კავშირთან ინტეგრაციაში წინააღმდეგობებს ვერ ხედავს. მითუმეტეს, რომ ერთიანი ეკონომიკური სივრცის მონაწილე რესპუბლიკები მიიღებენ უფლებას, სივრცის ტერიტორიებზე არ იხადონ საბაჟოები და ტვირთის გადატანის სატრანსპორტო ხარჯები. პირველ რიგში, ამ პროექტში ყველაზე არსებითია ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის – ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ტრანსპორტის თავისუფალი მოძრაობის დახვეწა. აქ დსთ-ში ერთიანი ტარიფები გვექნება, - ამბობს ვიცე-პრემიერი. ასეთ დათმობებზე წასვლა რუსეთს ნამდვილად ულირს, თუკი ევროპის ერთიანი ვალუტა რუსეთს საინვესტიციო კონტრაქტების უსაფრთხოების გარანტიებსაც მისცემს.

# ხელისუფლების კორუმპირებულობა და უუნარობა - ყველაზე დიდი საფრთხე

პირველი გვერდიდან

**"სამხრეთ კავკასიაში შაჰდენიზის გაზსადენს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე რეგიონის სხვა ენერგო-პროექტებს,** - განაცხადა ნიქსონის ცენტრის საერთაშორისო უშიშროებისა და ენერგოპროგრამების დირექტორმა ზეინო ბარანმა, - **საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის ურთიერთობაზე შაჰდენიზის პროექტმა დადებითი გავლენა იქონია, რამაც ასევე ხელი შეუწყო საქართველო-თურქეთის სამხედრო, ეკონომიკურ და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის განვითარებას. ეს ამერიკის პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმატება იყო, მაგრამ, ამერიკის მხრიდან ყურადღების მოდუნებასთან ერთად, თურქეთიც პასიურობს, როგორც პოლიტიკური, ასევე ფინანსური თანადგომის თვალსაზრისით. საქართველო-ამერიკის ურთიერთობა ენერგეტიკის სფეროში უფრო და უფრო რთულდება, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ამერიკა და რუსეთი პარტნიორობაზე შეთანხმდნენ ისეთ საკითხებში, როგორიცაა ირანი, ერაყი, ჩრდილოეთ კორეა და ა.შ."**

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის აქტიური მცდელობა კავკასიის ენერგორესურსებზე მონოპოლიური კონტროლის დასამყარებლად, ამერიკელი ექსპერტებისთვის სიურპრიზი არ ყოფილა და ეს ამ შეხვედრაზეც კარგად გამოჩნდა.

რუსული ენერგოკონპანია "რაო ეეს"-ის შემოსვლა საქართველოში მოსალოდნელი გაგრძელება იყო ამ ზაფხულს საქართველოს მთავრობასა და რუსულ კომპანია "გაზპრომს" შორის დადებული ხელშეკრულებისა, რომელიც ორი ქვეყნის სტრატეგიულ თანამშრომლობას გულისხმობდა. როგორც ზეინო ბარანმა აღნიშნა, "რაო ეეს" -ის შემოსვლა რუსეთის მხრიდან გათვლილი სტრატეგიის შედეგი იყო.

რუსეთი თურქეთის ბაზრითაა დაინტერესებული და მისი მიზანი სწორედ თურქეთის გავლით საკუთარი და მეზობელი ქვეყნების ენერგორესურსების (გაზი და ელექტროენერგია) ევროპაში გატანაა.

რუსეთის ნავთობის თურქეთში გადატანის (ნოვოროსიისკ-სუფსაჯეიჰანის ნავთობსადენი) "კეთილი განზრახვა," ადვილი შესაძლებელია, რუსეთის ნავთობის ჯეიჰანამდე ჩატანას სულაც არ ისახავდეს მიზნად. **"რუსეთს თავისუფლად შეუძლია, ნავთობი აფხაზეთში შეაჩეროს და აფხაზეთის პორტებიდან მოახდინოს მისი დისტრიბუცია ევროპულ ბაზარზე,"** - განაცხადა ზეინო ბარანმა. რუსული კომპანიების მიერ ამ მიზნის მიღწევა სერიოზული საფრთხის ქვეშ აყენებს საქართველოს გავლით კასპიის ენერგორესურსების ევროპულ ბაზარზე გატანის პერსპექტივას, რაც, თავისთავად, საქართველოს ინტერესების უგულებელყოფას გულისხმობს.

ამერიკელი ექსპერტები ენერგეტიკული სიტუაციის ასეთ შეცვლას რუსეთის მხრიდან საქართველოსთვის ორი მუშტის დარტყმას ადარებენ, "გაზპრომის" და "რაო ეეს"–ის სახით." ისინი აცხადებენ, რომ ენერგეტიკა რუსეთისთვის სტრატეგიული იარაღი ხდება და რუსული სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი გიგანტური კომპანიები, წმინდა ფინანსურ ინტერესთან ერთად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ფორმირებითაც არიან დაინტერესებულები.

ამას არც თავად რუსები უარყოფენ. "რაო ეეს"– ის აღმასრულებელი დირექტორი, რუსული პრივატიზაციის მამა ანატოლი ჩუბაისი დაუფარავად აცხადებს, რომ თავისი კომპანიის საშუალებით რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების გატარებას ცდილობს.

გავლენიანი ანალიტიკური ცენტრის - ბრუკინგსის ინსტიტუტის წამყვანმა ექსპერტმა ფიონა ჰილმა დისკუსიაზე ყურადღება სწორედ ჩუბაისის ინტერვიუზე გაამახვილა, რომელიც გაზეთ "ვედომოსტში" 17 სექტემბერს დაიბეჭდა და სადაც "რაო"-ს აღმასრულებელმა დირექტორმა "გაზპრომისა" და მისი კომპანიის თანამშრომლობის გრძელვადიან გეგმებზე ისაუბრა.

**"რაო" და "გაზპრომი" გაერთიანებული ძალებით ცდილობენ დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობის (დსთ) ენერგოსექტორის პრივატიზებას. ამ პროცესში საქართველო პირველი ქვეყანა იყო, თუმცა ეს გეგმა მარტო საქართველოზე მონოპოლიით არ მთავრდება. სომხეთის თერმული და ატომური ელექტროსადგურების აღდგენის შემდეგ, ჩუბაისისთვის კიდევ უფრო დიდი პერსპექტივა გამოიკვეთა... მისი თქმით, "რაო"–ს საშუალება მიეცემა, ელექტროენერგიას საქართველოდან არა მარტო თურქეთში გაუკეთოს დისტრიბუცია, არამედ სომხეთიდან საქართველოშიც,"** - აღნიშნა ფიონა ჰილმა.

**"საგულისხმოა, რომ საქართველოში არ არის სტაბილური ბიზნესგარემო, თუმცა ჩუბაისი სწორედ ამას უწოდებს "მიმზიდველ ბიზნესკლიმატს. ეს კი საქართველოსა და აღმოსავლეთ-დასავლეთ ენერგოდერეფნის პროექტის წარმატებაში დაინტერესებული ქვეყნების შეშფოთებას იწვევს,"** – დასძინა ჰილმა.

ამერიკა-საქართველოს ბიზნესსაბჭოს აღმასრულებელმა დირექტორმა მამუკა წერეთელმა ფორუმზე გამოსვლისას აღნიშნა, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა, სადაც სტრუქტურები, რომლებიც ენერგოსისტემას მართავენ, კერძო სექტორის მფლობელობაში გადავიდა. **"ამ პრივატიზების შედეგებს მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დავინახავთ. ამჟამად კი სახელმწიფოს არასრულფასოვანი დამოკიდებულება უცხოური კომპანიების მიმართ (ენერგეტიკის სფეროში) ისევე, როგორც ოპოზიციის გამოსვლები ტარიფების შემცირების მოთხოვნით, უარყოფით გავლენას ახდენს საერთო სურათზე,"** - განაცხადა წერეთელმა. მისი თქმით, ამერიკული კომპანია AES-ის "დამარცხება" საქართველოში რამდენიმე ობიექტურმა ფაქტორმა გამოიწვია. ამის მიზეზი, მენეჯმენტის ნაკლოვანებებთან ერთად, ქვეყანაში არსებული კორუფციული გარემო იყო. მამუკა წერეთელმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ დონორებიდან მიღებული ფინანსური დახმარების დიდი ნაწილი ენერგოსისტემაზე იხარჯება, მაგრამ საქართველოში კორუფციის ყველაზე დიდი პროცენტიც სწორედ ამ სფეროზე მოდის.

ამერიკელ ექსპერტებს მიჩნიათ, რომ ამ ეტაპზე ყველაზე დიდი საშიშროება არა იმდენად უკვე შექმნილი რეალობაა, როცა რუსეთი საქართველოს სტრატეგიულ ენერგოობიექტებს ფლობს, არამედ - საქართველოს ხელისუფლების კორუმპირებულობა და უუნარობა და ამ სისუსტეს მოსკოვი აუცილებლად გამოიყენებს თავის სასარგებლოდ.

ერთადერთი, რითაც ამ შემთხვევაში მოსალოდნელი გრძელვადიანი საფრთხის თავიდან აცილება გახდება შესაძლებელი, ეს ენერგეტიკის სფეროში გადასახადების ამოღების მოწესრიგება და დავალიანებების დროულად გასტუმრებაა, რათა რუსეთმა შემდეგ ვალებში ყველა სტრატეგიული ობიექტის მითვისება არ მოინდომოს.

მოახერხებს თუ არა ამას ეს ხელისუფლება, რომელსაც აქამდე ამ პრობლემების მოსაგვარებლად ელემენტარული ნაბიჯებიც კი არ გადაუდგამს? - ამ კითხვაზე უკვე ამერიკელ ექსპერტებს პასუხი არ აქვთ.

# რუსი ბიზნესმენები დაბეჯითებით გვეპატიჟებიან ერთიან ეკონომიკურ სივრცეში

*ორი დღეა, თბილისში საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ფორუმი მიმდინარეობს და ორი დღეა, მისი ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ ამ თავყრილობას პოლიტიკური სარჩული არ უდევს და მასში რუსეთისადმი კაპიტულაციის ნიშნები არ უნდა ვეძებოთ, თუმცა...*
*გუშინ, სახელმწიფო კანცელარიიდან სასტუმრო "მარიოტში" გადანაცვლებულ ფორუმზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ რუსული მხარისთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დღეს რუსეთის, ბელორუსის, უკრაინისა და ყაზახეთის "ოთხეულის" ეკონომიკურ კავშირში საქართველოს გაერთიანების საკითხია.*

თამარ ხორბალაძე

აღნიშნული საკითხი გუშინ "მარიოტში" რამდენიმეჯერ წამოიჭრა. შეხვედრაზე ვახტანგ რჩეულიშვილის და გოგი თოფაძის გარდა (რომელმაც, სხვათა შორის, გუშინ საკმაოდ მომგებიან გარიგებასაც მიაღწია რუსულ საქმიან წრეებთან), სხვა დიდი პოლიტიკური ფიგურები აღარ იყვნენ წარმოდგენილნი. თუმცა, როგორც "როსაგროსნაბის" ხელმძღვანელის პირველმა მოადგილემ ნიკოლაი ვასილევმა განაცხადა, ამ კავშირში საქართველოს შესვლის საკითხი ორივე მხარემ დასვა. მისი თქმით, პოლიტიკოსთა სურვილის შემთხვევაში, აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია. ასევე მან თქვა, რომ "ოთხეულთან" მიერთების ინიციატივა საქართველოს ხელისუფლებიდან უნდა მოდიოდეს და ეკონომიკური თვალსაზრისით, ასეთი ნაბიჯი ყველასათვის მომგებიანი იქნებოდა.

ამის სანაცვლოდ, რუსული საქმიანი წრეების წარმომადგენლები საქართველოს სავიზო რეჟიმის გაუქმებასაც ჰპირდებიან.

საგულისხმოა, რომ ხსენებულ კავშირში საქართველოს გაერთიანების შესაძლებლობას საინტერესოს უწოდებს ფორუმის ერთ-ერთი ორგანიზატორი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი, რომელმაც რუს ბიზნესმენებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ თბილისში ყურადღებით ეკიდებიან ამ თემას.

მისი თქმით, საქართველო მზადაა ნებისმიერ ინტეგრაციაზე დათანხმდეს, თუ ეს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი, მათ შორის - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისადმი, სახელმწიფოს ადრე ნაკისრ ვალდებულებებს არ ეწინააღმდეგება.

თავის მხრივ, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ლიდერმა, პარლამენტარმა გოგი თოფაძემ განაცხადა, რომ ეს საკითხი პოლიტიკოსებმა უნდა გადაჭრან, თუმცა **"რუსეთთან საბაჟო შეზღუდვებისა და სავიზო რეჟიმის გარეშე თანამშრომლობა საქართველოსათვის ხელსაყრელი იქნებოდა".**




მესამედ საქართველოში B2

შუშაკი "დინამოდან" წასვლას არ აპირებს B4

TV - პროგრამა B7






## რუბრიკის პრემიერა

# გულახდილად

ქეთევან იგნატოვა



მე მივიღე, ერთი შეხედვით, ადვილი და, ამავე დროს, რთული დავალება: დამეწერა მოკლედ ჩემს შესახებ და იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება მინდა, რას ვაპირებ.

დავიწყებ ბანალური ავტობიოგრაფიული მონაცემებით: დავიბადე თბილისში (დაბადების წელს არ გეტყვით). მქვია ქეთევან ნიკოლოზის ასული იგნატოვა. მყავს მეუღლე და სამი შვილი. მამაჩემი იყო მხატვარი კოკა იგნატოვი, დედა არქიტექტორია - ნინა ალექსი-მესხიშვილი. საშუალოდ ვსწავლობდი 55-ე საშუალო სკოლაში. დავამთავრე თბილისის სამხატვრო აკადემია, გრაფიკის ფაკულტეტი. დღესაც ვხატავ, მაგრამ არავითარი პრეტენზია მხატვრობაზე არ გამაჩნია. ვხატავ მხოლოდ ჩემთვის და ისიც იშვიათად. ბოლო წლებში ვმუშაობდი საქართველოს სხვადასხვა ტელევიზიაში. მქონდა ჩემი საავტორო გადაცემა.

ჩემს ნათესავებში ძალიან ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელსაც რაიმე კავშირი არ ექნება ხელოვნებასთან. ჰოდა, მეც შესაბამისად მზრდიდნენ. მამაჩემი ცდილობდა, ჩემთვის ყველა, მისი აზრით, საინტერესო პიროვნება გაეცნო. დავყავდი გამოფენებზე, თეატრში, ჩემთან ერთად ათვალიერებდა წიგნებს ხელოვნებაზე და მიხსნიდა, სულ მიხსნიდა და მელაპარაკებოდა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, მყავს სამი შვილი და მეც მინდა ჩემი შვილების ამავე გზით აღზრდა. აი, აქ შევეჯახე პრობლემას. ჩემს შვილებს არ გაუგიათ ძალიან ბევრი ისეთი რამ, რაც, მიმაჩნია, უნდა იცოდეს ყველა ელემენტარულად კულტურულმა ქართველმა. მაგრამ ეს არ არის შვილების თაობის ბრალი. დღევანდელი მასმედიის უმეტესი ნაწილი ეთმობა პოლიტიკას, პოლიტიკოსებს და იმ "ვარსკვლავებს", რომლებიც ნამდვილად არ წარმოადგენენ ქართული კულტურის ერთადერთ, საუკეთესო ნაწილს. სად არის ის ხალხი, რომელიც ქმნის ჭეშმარიტ ხელოვნებას? სად არის ოდითგან ცნობილი ქართული გემოვნება? სად დაიკარგა სიღრმე, ღირებულება, სულიერება?



არსად. ეს ყველაფერი ისევ ახასიათებს ქართველებს. და სწორედ ამის დამტკიცებას შევეცდები.

გაზეთ "24 საათის" რედაქციამ შემომთავაზა ახალი რუბრიკის წაყვანა, რომელშიც ასახული იქნება ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების სხვადასხვა მხარე. ჩვენი, საკმაოდ ჭრელი საზოგადოების, ცხოვრება, პრობლემები, მანკიერებანი, ჩაცმულობა და ა.შ.

თუ შეიძლება, არსებობდეს "ელიტარული" უბნები, სახლები, ბინები, აბაზანები, ე.ი. უნდა არსებობდეს "ელიტარული" ქრონიკაც - ნეგატიურით, პოზიტიურით, დახვეწილობითა და უგემოვნობით.

სწორედ ამ ყველაფრის ჩვენება შედის ჩემს მოვალეობაში. ეს კი ძალიან საპასუხისმგებლო და დასაფიქრებელია. თბილისი დიდი და, ამავე დროს, პატარა ქალაქია. ყველა ერთმანეთს იცნობს. ბევრიც შენ გიცნობს და შეიძლება განაწყენდეს.

მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, შემოთავაზება მაინც მივიღე და ვეცდები, სათქმელი ვთქვა. დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით, რომ ქართულ საზოგადოებაში, კულტურულ "ელიტაში" არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა და დროა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. ჩვენი შვილების ჩამოყალიბება, მათი გემოვნება, მენტალიტეტი საფრთხეშია და ეს ხომ ყველას პრობლემაა. ამიტომაც ვიმედოვნებ, რომ მკითხველი მხარში ამომიდგება და ერთად გავაკეთებთ იმას, რისი გაკეთებაც დღეს არის აუცილებელი. ხვალ შეიძლება დაგვიანებულიც კი იყოს.

მომავალ შაბათამდე!

## ასტროფიზიკოსები ხმას აძლევენ გენერალ კლარკს

B7



## ქართველი "ოქროს მაძიებლები" თურქეთში

B6




B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ძეგლები B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

## ცნობიერების კულტურა




ნოდარ მალაზონია

*წინ, საფლავების
გვერდის ავლით*
*გოეთე*

### საქართველო ხაროში

მარტვილის მონასტრის ფასადის რელიეფზე, სწორედ ის ბიბლიური სიუჟეტია გამოსახული, თუ 120 დაბოლმილმა მაზრაპეტმა (მაზრის უფროსი), როგორ ჩააგდო დანიელ წინასწარმეტყველი ხაროში ლომებთან, იმისათვის, რომ მეფე დარიოს მიდიელმა, სწორედ დანიელს მიანდო თავაშვებული მაზრაპეტების ზედამხედველობა. "რადგან დანიელი, სულით მათზე მაღალი და უბრძნესი იყო".

ლომებმა კი, ამ უბედურ კაცში, მისი სიდიადე ამოიცნეს და აღარ შეჭამეს. ხოლო როდესაც მეფემ ეს შეიტყო, დანიელი იხსნა, ხაროში კი, ის ავისმქმნელი მაზრაპეტები ჩაყარა, რომლებიც, თურმე ლომებმა ჯერ ნაფლეთებად აქციეს და შემდგომ შეჭამეს.

კი, მაგრამ ვინ დაგვწყევლა ასე?!.

კარგით! ეს ღირსეული ტრიუმფატორები, სტრატეგოსები, სენატორები, კონსულები და მაზრაპეტები არ გვყავს, მაგრამ ერთი დანიელ წინასწარმეტყველი ან ერთი დემოსთენეს მაგვარი სახალხო ტრიბუნი მაინც გაემეტებინა ჩვენთვის უფალს! იქნებ მაშინ ერთიან საქართველოს გულისცემას მათკენ მაინც მიეპყრო ყურადღება.

ერთხელ, როცა საომრად გადიდგულებულმა ერეტრიელმა, თემისტოკლეს გადაბირება სცადა, თემისტოკლემ უპასუხა: - "ნუთუ თქვენც მსჯელობთ ომზე, თქვენ, ვისაც ტევთიდებივით, (ზღვის მცირე ზომის თევზები, ხმალივით წაგრძელებული ცხვირებით) ხმალი გაქვთ და გული კი არა?!".

ბატონებო, ამ ტევთიდებს, "ხმალი" მაინც ჰქონიათ, ჩვენ კი, არც ხმალი გვაქვს და არც ერთიანი, მგზნებარე გული.

საქართველო კი ხაროშია!

და იცით რატომ?! დღეს ჩვენს სამშობლოში ერთობ მომრავლდა თამაშობანი გარგანტუასი!

ჰოდა ქართველი გარგანტუებიც, ერთობ სიამტკბილობენ, გასართობ კოჭებითა: "თულფობანას, ორმობანას, პირველობანას, ქურდობანას, გამარჯვებულობანას, გარჭობანას, ეკლობანას, პატიოსნობანას, ტყუილობანას, დოყლაპიობანას, გრძელ და მრგვალ ვირობანას, ჩალიჩს, ანაკუაბანაკუობანას, ყურთბალიშობანას, აპრუწუწუნს, წაკუილობანას, ვირღალატობანას, ქუხილობანას, ყაჩაღობანას, ილირღილოსა, ტოროლობანასა..."

ახლა ჩვენ რა ვქნათ, ვიტიროთ თუ ვიცინოთ? იქნებ დემოსთენეს მოუსმინოთ:

- "ძვირის თქმა ადვილია, იტყვის ვინმე – და ყველასათვის იოლი.

შექნილ ვითარებაში გარკვევა კი, არის მხოლოდ ღირსეულთა საქმე.

თუ ეს საქმე საიმედოდ აღსრულდა, მერმესღა ვიფიქროთ იმაზე, ვინ ვის დასჯის და როგორ, მაგრამ ეგრე მგონია, სანამ კეთილი დასაწყისი არ გვიპოვია, კეთილ ბოლოზე ფიქრი ნაადრევია, რადგან აწინდელი ჟამი უწინდელზე მეტად სიბეჯითესა და განსჯას საჭიროებს.

ჩემი დაკვირვებით, ასევე სხვათა მონათხრობით, უკვე ვუწყი, რომ მრავალი საშური საქმე იმიტომ კი არ წაგივიდათ ხელიდან, რომ სწორედ არ იყო განხილული, არამედ მისი აღსრულების სურვილი არ გამოგიჩენიათ."

### ნეტა, როგორი მომავლისათვის?!

ასეა დასათაურებული, ცნობილი ამერიკელი სოციოლოგების: სენდიჯის, ფრაიბურგერის და როტცოლის ნაშრომის ერთი ქვეთავი, რომლის ამონაწერს მთლიანად გაგაცნობთ.

"- მე კარგი ამბავიც ვიცი და ცუდიც, – თქვა ღმერთმა.

მითხარი ჯერ კარგი, – სთხოვა მოსემ.

მე გადავწყვიტე შუაზედ გავაპო წითელი ზღვა, რათა შენ და შენმა ხალხმა შესძლოთ მასზედ ისე გავლა, როგორც მშრალზედ, რომ თავი იოლად დააღწიოთ ეგვიპტეს, – უთხრა ღმერთმა. ხოლო როცა ეგვიპტელი ჯარისკაცები დაგედევნებიან, მე ისევ შევკრავ გაპობილ ნაპირებს და ზღვაში ჩავახრჩობ მათ.

შესანიშნავია, - უთხრა მოსემ. – კი, მაგრამ ცუდი ამბავი რომელიღაა?

შენ უნდა დაწერო ახსნა-განმარტებითი ბარათი იმის შესახებ, თუ რა ზიანი შეიძლება მიადგეს ამის შემდეგ გარესამყაროს, – უთხრა ღმერთმა მოსეს".

ჩვენ დღეს, ცუდი ამბები მეტად გვესმის, ვიდრე კარგი, მაგრამ კარგსაც ხომ გვპირდებიან, "ცუდნიც" და "კარგნიც"?!. რომელთა შორის ერთერთს მართლაც მოუწევს ერთ მშვენიერ დღეს ახსნა-განმარტების ბარათის დაწერა, მაგრამ ამჯერად ჩვენ როგორღა ამოვირჩიოთ ამ დაპირებათა ნიაღვარში, მჯობნის-მჯობნი?!. მითუმეტეს მაშინ, როცა ეს პლაგიატი მამულიშვილები, დღენიადაგ ლოზუნგებს რომ პარავენ თურმე ერთმანეთს?!

არადა ეს ბაბაჯანას ქოშებივით გაცვეთილი ლოზუნგები, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, თავის საქმეს, მაინც აკეთებს, იმ ფენომენის წყალობით, რასაც გულუბრყვილობა ჰქვია, რომელზედაც მეტწილად "უნიფხვოთა" ლაშქარი, რომ ეგება ხოლმე. ხოლო კიდევ უფრო საოცარი ის გახლავთ, დღევანდელ "უნიფხვოებს", გუშინდელი "უნიფხვონი" რომ უგებენ ხაფანგს, რომლებიც ბედისა თუ უბედობის წყალობით ეს-ესაა, რომ აღზევდნენ.

### ვისი სული გსურთ?!.

გახსოვთ, ალბათ, ბავშვობაში ხელიხელჩაკიდებულები და ორად გაყოფილნი ერთმანეთს რომ რიგ-რიგობით გავძახებდით: - ვისი სული გსურს?!.

შემდეგ ერთ-ერთი ჩვენთაგანი მთელი ძალით მოწინააღმდეგისაკენ გაქანდებოდა და თუ "ჯაჭვს" გაგლეჯდა, თავის რჩეულს წამოიყვანდა, თუ არადა, მასაც იქვე იტოვებდნენ მძევლად.

და ასე, მანამდე, სანამ ერთი მხარე არ გადაქაჩავდა მეორეს თავისკენ.

ასეა დღესაც! ახლა ასეთ თამაშებს, ჩვენი ქვეყნის გაუსაძლისი ბედოვლათებით დალხინებული, ეგრეთ წოდებული პოლიტიკოსები თამაშობენ.

თუ ენციკლოპედიაში ჩავიხედავთ, ოპოზიცია ასეა განმარტებული: **opposition** (ლათ.) და სიტყვასიტყვით **დაპირისპირებას** ნიშნავს.

ესე იგი დღეს ჩვენ წინაშეა არა ო, პოზიცია და პოზიცია, არამედ დაპირისპირებული ადამიანები.

ხოლო, ამ დაპირისპირებათა გამო, ხომ შესაძლოა, ბუნტმაც იფეთქოს; ამაზედ არაფერია თქმული აღნიშნულ განმარტებებში, რაც გარდაუვალიც კია სწორედ მაშინ, როდესაც ეს კლასიკური ქარგა უტიფრად ირღვევა და მშიერ-მაძღართა ტრადიციული ანტაგონიზმი (მდაბიურად - სიძულვილი) მკაფიოდ იკვეთება.

აი, სწორედ ასეთ შემთხვევაშია ბრბო უმეტესწილად დეზორიენტირებული და ბრმად, სწორედ იმ მხარეს აეკიდება, რომელთა "ატამანმა", მათი გადაბირება შეძლო.

აქ ერთი იგავი მახსენდება.

გლეხმა ვირს საპალნე აკიდა და დილაადრიან ბაზრისკენ გასწია. შარაგზას ორღობე ამჯობინა და მოკლეზედ ჩაუხვია, სადაც ვირი ყელამდე ტალახში ჩაეფლო. ძლივძლივობით ამოათრია გლეხმა ვირი ტალახიდან და სახლში მიბრუნდა.

მეორე დილით ისევ აკიდა ვირს საპალნე და შარაგზას ისევ ორღობე ამჯობინა.

იცნო თუ არა ვირმა ორღობე, რომ დაერჭო იქვე, ვერაფრით ფეხი ვერ მოაცვლევინა გლეხმა ვირს, მანამ სანამ, შარაგზისკენ არ წაუძღვა წინ.

იგავის მორალი ნათელია.

ერთხელ წამხდარ გზაზედ, მეორედ ვირიც კი აღარ გაივლის და ადამიანმა ეს რატომღა უნდა გააკეთოს?!

### თქვენ ვისი სული გსურთ, ბატონებო?!

ნუ შეიცხადებთ, გარწმუნებთ, ამისათვის მხოლოდ ადამიანური ცნობიერების კულტურაა საკმარისი, რისთვისაც სრულებით არ არის საჭირო პროფესორ-აკადემიკოსობა, რადგან, ეს ჭეშმარიტი თვისება ყოველ თქვენთაგანშია, მთავარია, იპოვოთ იგი!

# მესამედ საქართველოში

## ვიქტორ ბეილი Jazz Break-ის ყველაზე ავტორიტეტული სტუმარი

*ეს მუსიკოსი ორჯერ იყო თბილისში, მაგრამ ხვალინდელი კონცერტი ყველაზე მნიშვნელოვანია. პირველად ვიქტორ ბეილი საქართველოში სამი წლის წინათ ჯო ზავინულს ჩამოჰყვა. არაჩვეულებრივი მუსიკოსი თბილისურმა აუდიტორიამ იმითაც დაიმახსოვრა, რომ კონცერტებზე ამერიკელი გიტარისტი ფეხმოტეხილი გამოდიოდა; შემდეგ ბეილი ბილ ევანსს ახლდა თბილისში. ამჯერად კი ის საკუთარ ბენდთთან ერთად ჯაზ-ფიუჟენ პროექტს წარმოადგენს. ამ მუსიკოსის მონაწილეობით, კლუბ "ნოა-ნოას" Jazz Break-ის დასაწყისი სერიოზულ მნიშვნელობას იძენს.*

ვერა ნეფარიძე



როგორც ცნობილია, გუშინ "ნოა-ნოაში" სამდღიანი Jazz Break ადგილობრივი ჯაზმენების კონცერტით დაიწყო. დღევანდელ საღამოს შეგვიძლია სომხეთის დღეც (მუსიკასთან ერთად წარმოდგენილი იქნება სომეხი მხატვრების ვიზუალური ხელოვნების ნიმუშები) ვუწოდოთ; ხვალ კი ამიერკავასიელ ჯაზმენებს საკუთარ ჯგუფთან ერთად ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ავტორიტეტული ბას-გიტარისტი ვიქტორ ბეილი გაუწევს პარტნიორობას. სამდღიანი ღონისძიება მისი მონაწილეობით, რომელიც, ძირითადად, ჯაზის ამიერკავკასიელ შემსრულებლებს გაგვაცნობს, ალბათ, გაცილებით გადააჭარბებს კავკასიური ჯაზის განვითარებით დაინტერესებულთა რიცხვს.

### ბას-გიტარისტი, კომპოზიტორი, ტექსტების ავტორი და არანჟირების ოსტატი

-ვიქტორ ბეილი მელომანების სიმპათიებს, პირველ რიგში, თავისი მრავალმხრივობით იმსახურებს. ამერიკელი გიტარისტის მუსიკალურ მრავალფეროვნებასა და შემოქმედებით პოტენციალს საზღვარი არ აქვს - ბევრი გეგულებათ, ვისაც ძალუძს, დააკმაყოფილოს მადონას მუსიკალური ახირებები და საკადრისი კომპანიონობა გაუწიოს ჯო ზავინულს, ბილ ევანსს... ითანამშრომლოს ბილი კობემთან და მერი ჯი ბლაიჯთან? ალბათ - არა.

სწორედ ამიტომ განეკუთვნება შავკანიანი ამერიკელი ვიქტორ ბეილი ყველაზე პატივსაცემი და "მოთხოვნადი" სტუდიური ბას-გიტარისტების რიცხვს. მუშაობის პროცესში მისთვის მნიშვნელობა არ აქვს ჟანრს: ჯაზ-როკი, ფანკი, ფიუჟენი და პოპ-მუსიკა - ბეილს ელექტრონული მუსიკის, თითქმის, ყველა განშტოება აინტერესებს; თუმცა, საჭიროებისამებრ, მათ შორის უმჯობესისთვის უპირატესობის მინიჭებაც შეუძლია. სწორედ ამის გამო, მუსიკოსმა წელს ჩამოაყალიბა ბენდი, რომლის მოსმენის საშუალებაც ხვალ ჩვენც მოგვეცემა. მაგრამ, ბეილი არც მანამდე სჯერდებოდა სხვადასხვა მუსიკალურ პროექტებში ბას-გიტარისტის უპრეტენზიო როლს. საკუთარი იდეების რეალიზაციას ვიქტორ ბეილი სოლო-ალბომებში ახდენს. ასეთი ჩანაწერების რაოდენობა დღეისათვის სამია - Bottom's Up (1990), Lowblow (1999) და That's Right! (2001. სხვათა შორის, კრიტიკოსების აზრით, ბეილის დისკოგრაფიაში ეს უკანასკნელი საუკეთესოა).

"ყოველთვის ვცდილობ, საკუთარი ჩანაწერებით ვაჩვენო, რომ მხოლოდ ბას-გიტარისტი არ ვარ. მე ვასრულებ მუსიკას. უბრალოდ, ისე გამოვიდა, რომ ამ შემთხვევაში ეს ინსტრუმენტი ბას-გიტარაა. მინდა, ადამიანებს მოვასმენინო მუსიკა, რომელიც ჩემში ჟღერს; დავანახო, რომ ბას-გიტარისტის გარდა, კომპოზიტორიც ვარ, ტექსტების ავტორიცა და არანჟირების სპეციალისტიც", - ამბობს ამერიკელი მუსიკოსი, რომელიც საავტორო ნამუშევრებში უპირატესობას თანამედროვე სტილს (ჯაზის, ფიუჟენისა და პოპ-მუსიკის სინთეზი) ანიჭებს.

### შთამომავლობით ჯაზმენი

ვიქტორ ბეილი ფილადელფიაში დაიბადა ცნობილი საქსოფონისტის, კომპოზიტორისა და არანჟირების სპეციალისტის, მორის ბეილის ოჯახში. სკოლიდან დაბრუნებულ ვიქტორს, თითქმის, ყოველდღე ხვდებოდა სახლში რომელიმე პოპულარული მუსიკოსი, რომელთანაც მამა რეპეტიციებს გადიოდა.

ჯაზის სიყვარული ვიქტორ ბეილის შთამომავლობით გადაეცა, მუსიკალური განათლება კი ფილადელფიის იმ მრავალრიცხოვან კლუბებში მიიღო, სადაც იგი არამარტო უსმენდა არაჩვეულებრივ ჯაზმენებს, არამედ მათთან ერთად ჯემ-სეიშენებშიც მონაწილეობდა; თავიდან უპირატესობა დასარტყამ ინსტრუმენტს მიანიჭა, მაგრამ არჩევანი მას შემდეგ შეცვალა, რაც ლარი გრემისა და მისი Graham Central Station-ის კონცერტს დაესწრო. ბას-გიტარაზე ბეილი საკუთარ ბენდში უკრავდა, რომელიც Kool & The Gang-ის, Earth, Wind & Fire-სა და ბუთსი კოლინზის კომპოზიციების ქავერ-ვერსიებს ასრულებდა.

ვიქტორ ბეილის მუსიკალური განვითარების მომდევნო ეტაპი იყო ბერკლის კოლეჯში სწავლა, რის შემდეგაც ნიუ-იორკის მუსიკალურ სცენებზე პროფესიონალის სტატუსით დაიწყო მოღვაწეობა. გიტარისტ ბობი ბრაუნთან პირველ სტუდიურ ჩანაწერზე მუშაობისას ბეილი შეხვდა დრამერ ომარ ჰაკიმს, რომელსაც ხანგრძლივი შემოქმედებითი ურთიერთობები დაუკავშირა. "ეს იყო ის, რაზეც ოცნებობს ყოველი ბას-გიტარისტი და დრამერი. ომართან მუშაობისას არც ვფიქრობდი, რა განზომილებაში ვუკრავდი, სად უნდა გამეკეთებინა აქცენტი, როგორი გრძნობით უნდა შემესრულებინა ესა თუ ის კომპოზიცია. ჩვენ, უბრალოდ, ვასრულებდით და ჩვენს შორის მუდმივად არსებობდა კავშირი", - იხსენებს ვიქტორ ბეილი. მომღერალ მირიამ მაკებასთან ერთად გამართული ორი კონცერტის შემდეგ, 1982 წელს ბეილი-ჰაკიმის ტანდემი სუპერ ჯაზ-როკ ჯგუფს Weather Report-ს შეუერთდა. ამ კოლექტივში, სადაც მუსიკოსის წინამორბედი ჯაკო პასტორიუსი იყო, ბეილი მონაწილეობდა ოთხი ალბომის (Procession, Domino Theory, Sportin' Life, This is This) ჩაწერაში.

პარალელურად, ბეილი და ჰაკიმი მადონას საკონცერტო ჯგუფში გამოჩნდნენ. დასაწყისში ეს იყო მხოლოდ Saturday Night Live-ის ჩანაწერში მონაწილეობა, მაგრამ თანამშრომლობა იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ რიტმ-სექციამ მომღერლის ტურნეში მონაწილეობის წინადადება მიიღო. მადონას ერთადერთი პირობა ბეილის მიმართ ასეთი იყო: "ყველა სიმღერა უოზეროპორტული სისულელით არ დაესრულებინა". ისევ და ისევ ჯაზის სიყვარულმა ვიქტორ ბეილი ფიუჟენ-პროექტში Zawinul Syndicate-ში მიიყვანა, რომლის მამამთავარიც იყო უკვე დაშლილი Weather Report-ის წევრი ჯო ზავინული. "საბედნიეროდ, ჩემთვის ესაა მედლის ორი მხარე - მადონას ჯგუფშიც და ჯოსთანაც მე ერთნაირი გატაცებით ვუკრავდი". პარალელურად, ბეილი ახერხებდა, მონაწილეობა მიეღო სხვა შემსრულებლების ჩანაწერებშიც (გიტარისტის ან პრდიუსერის, თუ არანჟირების სპეციალისტის სტატუსით). მუსიკოსს დატვირთული საგასტროლო-სტუდიური მუშაობა ხელს არასდროს უშლიდა, საკუთარი შემოქმედებისთვისაც მოეცალა. ამჟამად ბეილი უდიდეს დროს უთმობს საკუთარ ფიუჟენპროექტს; საკუთარი თავი ჯაკო პასტორიუსისა და სტენლი კლარკის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებლად მიაჩნია და ცდილობს, ახალი აუდიტორიის მთელი ყურადღება ამ ჟანრს მიაპყროს. ეს მას საკმაოდ წარმატებულად გამოსდის. ბეილის კონცერტებზე ვერ ნახავთ გარკვეული ასაკობრივი ჯგუფის აუდიტორიას, რაც მისი პროფესიონალი პარტნიორების დამსახურებაცაა. ესენი არიან: პეტერ ჰორვატი (ქიბორდი), ბენი მაუპინი (საქსოფონი), სკოტ პიკერი (დასარტყამი ინსტრუმენტი). "ნოა-ნოაში" გამართული კონცერტის შემდეგ სწორედ ეს შემადგენლობა ვენაში გააგრძელებს ტურნეს.

# დავიწყოთ, ჰო?

## ლიტერატორები ლიტერატურის შესახებ

ანა კორძაია-სამადაშვილი

"დავიწყოთ, ჰო?" – ამ სიტყვებით გახსნა დრამატურგმა ლაშა ბუღაძემ გუშინდელი საღამო, რომლის მიზანიც მსოფლიო ლიტერატურის უახლესი ნიმუშების წარდგენა გახლდათ. ეს საპატიო მისია სამ ქართველ ლიტერატორს დაეკისრა: ზემოხსენებულ ლაშა ბუღაძეს, მწერალ დათო ტურაშვილს და პოეტ რატი ამაღლობელს. ისინი "წიგნის სახლში", ზოლიან დივანზე იყვნენ მოკალათებულები და რამდენიმე, უფრო სწორედ, ბევრი წიგნის შესახებ ჰყვებოდნენ. მსმენელიც მშვენივრად მოთავსდა, მე კი კუთხეში აღმოვჩნდი, სამუელ ფიშერი და ვირჯინია ვულფი შემომცქეროდნენ, და ღრუბლიანი დღის გასამართლებლად მშვენიერი ყავაც მერგო...

ჩანაფიქრის თანახმად, ასეთი საღამოები "წიგნის სახლში" ყოველ პარასკევს გაიმართება. გუშინდელი შეკრება პირველი იყო, და ლაშას "დავიწყოთ" ცოტა გაგარინის **поехали**-ს ჰგავდა. დასაწყისმა აშკარად გაამართლა: გუშინდელ თავყრილობაზე უამრავი ახალგაზრდა იყო მობრძანებული და, მათ ფონზე, ჩვენს ლიტერატორებს მთლად ნორჩებად ველარ მოვიხსენიებთ. სტუმრები სტუდენტები იყვნენ და, როგორც თბილისის წესი და რიგია, მეტწილად - გოგონები. ფრიად სასიამოვნო საზოგადოება შეიკრიბა. საერთოდ, დამეთანხმებით, ახალი სახეების დანახვა ყოველთვის სასიამოვნოა ხოლმე, განსაკუთრებით, იმის ფონზე, რომ ჩვენს კარგ ქალაქში ყველგან – ვერნისაჟებსა თუ გასვენებებზე – ერთი და იგივე წრე დაიარება. მაგრამ, ამ თემაზე უკვე მრავალგზის გვიმსჯელია, ამიტომ ისევ ლიტერატორებსა და ლიტერატურას მივუბრუნდეთ.

დათო ტურაშვილი "დაიჩაგრა" –



*ლაშა ბუღაძე, დათო ტურაშვილი, რატი ამაღლობელი*

მაშინ, როცა ლაშასა და რატის თავად შეეძლოთ მათთვის სასურველი წიგნების შერჩევა, მას "წიგნის სახლის" დიასახლისმა ნინო ჟვანიამ ჰარუკი მურაკამისა და არტურო პერეს რევერტეს წარდგენა სთხოვა. "წიგნის სახლში" ამ ორი ავტორის სამ-სამი წიგნი იყიდება: ესპანელი მწერლის "ტყავი დოლისთვის ანუ სევილიური ზიარება", "კამანჩების ტერიტორია" და "ფლამანდიური დაფა", ხოლო მურაკამისა – "საოცრებათა სამყარო მუხრუჭების გარეშე და სამყაროს დასასრული", "ლექსინგტონის მოჩვენებები" და "ნორვეგიული ტყე" (რუსულ ენაზე). დათომ, ძირითადად, თავად ავტორების შესახებ ილაპარაკა, მათი ცხოვრების ამბებს მოჰყვა, რამდენიმე საინტერესო დეტალს ხაზი გაუსვა – მოკლედ, ეს ორი მწერალი საუკეთესოდ წარადგინა. როგორც ჩანს, თავად დათო მურაკამის დიდი ტრფიალია და თავისი სიმპათიების იმდენად დამაჯერებლად ახსნა შეძლო, რომ შეიძლება მეც კი გავბრიყვდე და "ნორვეგიულ ტყეს" მივეძალო, მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ეგზომ პოპულარული იაპონელის ტალანტის თაყვანისმცემელთა რიცხვს აშკარად არ მივეკუთვნები.

წიგნი, რომლის შესახებაც რატი ამაღლობელმა ილაპარაკა, დიდი ხნის განმავლობაში თბილისური ბესტსელერების სიაში პირველ ადგილზე იდგა (ალბათ, ახლაც ასეა) და, მე მგონი, უკვე ყველას აქვს ნაყიდი. "აღმოსავლურ-დასავლური დივანი" – არა გოეთესი, არამედ ვახუშტი კოტეტიშვილისა – ბოლო დროს ქართველ გამომცემელთა, ამ შემთხვევაში "დიოგენეს," დიდ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. ძალიან მაინტერესებდა, რაღა ეთქმოდა რატის მის შესახებ – ბატონ ვახუშტიზე საუბარს აპირებდა, თუ რილკეს პოეზიის განხილვას.

რატი ამაღლობელმა, საერთოდ, თარგმანის მნიშვნელობასა და მთარგმნელობით ხელოვნებაზე საუბარი არჩია და ძალიან კარგადაც მოიქცა. დარბაზი აშკარად დაინტერესებული უსმენდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მან ბატონი ვახუშტის მიერ თარგმნილ იოსიფ ბროდსკის "ორი საათი რეზერვუარშის" შესახებ დაიწყო ლაპარაკი. ეს ლექსი, რატის ღრმა რწმენით - შედევრი (რომელსაც ბატონმა ვახუშტიმ ერთხელ, კერძო საუბრისას **высший пилотаж** უწოდა), თარგმანშიც ასეთივე უნაკლო გახლავთ. სიტყვას აღარ გავაგრძელებთ – თავად გადახედეთ, მით უმეტეს, რომ "წიგნის სახლში" ორიგინალიც და თარგმანიც მოიპოვება; შეგიძლიათ იქვე ჩამოჯდეთ და გადაიკითხოთ.

ყველაფერ იმას კი, რის შესახებაც საუბარი ლაშა ბუღაძემ იტვირთა, ასე იოლად ვერ გადაიკითხავთ: თარგმანების კრებულით, "ახალი დროებით" დაწყებული და სლავომირ მროჟეკით დამთავრებული, გზად "მარტოობის ასი წელიწადი" – საშინელი ამბავია! მაგრამ, ლაშას სადიდებლად უნდა აღინიშნოს, რომ ის ამ ამოცანას ჩინებულად გაუმკლავდა და მსმენელს ყურადღება წამითაც არ გაფანტვია – ბოლოს და ბოლოს, ლაშა დრამატურგია და ასეთები არ ეშლება ხოლმე, თან, როგორც ჩანს, არც გემოვნებას უჩივის, და მშვენიერი წიგნები ჰქონდა არჩეული.

ლიტერატორების მიმართ ყურადღება მხოლოდ ორჯერ მოდუნდა: პირველად, როცა დარბაზში ყველასთვის ნაცნობმა შადიმან შამანაძემ შემოაბიჯა – მას ტაშით შეხვდნენ, და მეორედ – როცა რატი ამაღლობელმა მსმენელთა შორის მთარგმნელი დათო აკრიანი აღმოაჩინა. ვერ დავიმალეთ, - შეწუხდა დათო.

# მარგერიტ იურსენარის საღამო

ნათია ვადაჭკორია

კითხვის ზეიმისადმი მიძღვნილი ოთხი ღონისძიება, რომელიც თბილისის დიუმას სახელობის კულტურის ცენტრში მიმდინარეობდა, მწერალ მარგერიტ იურსენარის საღამოთი დასრულდა. პირველი მწერალი ქალბატონი, რომელიც საფრანგეთის აკადემიის წევრად აირჩიეს, ქართველი ლიტერატორის, ფრანგული ენის სპეციალისტის და მთარგმნელის – მზია ბაქრაძის ინტერესთა სფეროში ჯერ კიდევ კომუნისტების დროს აღმოჩნდა. მზია ბაქრაძემ და მანანა გიგინეიშვილმა მარგერიტ იურსენარის ნოველების თარგმანი სახელწოდებით – "აღმოსავლური ნოველები" რამდენიმე წლის წინ წარუდგინეს ქართველ მკითხველს.

დიუმას ცენტრში მოწყობილ გუშინდელ საღამოზე კი, მარგერიტ იურსენარის, როგორც დიდი ჰუმანისტი მწერლის, რომანების, ესეების და ნოველების ავტორზე, მთარგმნელმა მზია ბაქრაძემ ისაუბრა.

"ჩემი აზრით, ნამდვილი ლიტერატურა კლასიკური ლიტერატურაა. მარგერიტ იურსენარი ძალიან მომწონს, იგი დიდი მწერალია, მას დიდი ერუდიცია, მდიდარი წარმოსახვითი სამყარო და გემოვნება აქვს. ეს ყველაფერი ერთად რომ ავიღოთ, საოცარი მწერალი გამოვა. მას კონკრეტული ადამიანი კი არ აინტერესებს, არამედ, მითი, ანუ ის, რაც მარადიულია – სიკეთე, ბოროტება, ადამიანის ადგილი ამ ცხოვრებაში და ა. შ. და ეს ყოველივე თავისი ბრწყინვალე ენით აქვს გადმოცემული. გარდა მისი ნოველების თარგმნისა, როცა უფრო ღრმად გავეცანი მარგერიტ იურსენარს, გადავწყვიტე მისი რომანის – "ადრიანის მოგონებების" თარგმნა. თარგმანს დავით წერედიანთან ერთად შევეჭიდე".

გუშინდელ საღამოზე მწერლის ნაწარმოებებიდან ფრაგმენტებიც წაიკითხეს საფრანგეთის საელჩოს კულტურის ატაშემ - ფრანსუა ლორანმა და პოლ ვალერის სახელობის მონპელიეს უნივერსიტეტის თბილისის ფილიალის სტუდენტებმა. უნდა აღინიშნოს, რომ ფრანსუა ლორანის მიერ წაკითხული მარგერიტ იურსენარი, ნამდვილად არ ჩამოუვარდებოდა იზაბელ იუპერის მიერ წაკითხულ ნატალი საროტს.

სამომავლოდ, დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი და კინოს სახლი ფრანგი რეჟისორის – ნიკოლა ფილიბერის რეტროსპექტივას წარმოგიდგენთ. კითხვის ზეიმი კი, მარგეტირ იურსენარით დაგვემშვიდობა.

# არმანი მგლის ხახაში

დღეს ლონდონის ხელოვნების სამეფო აკადემიაში ჯორჯო არმანის რეტროსპექტივა ფართო მასებისთვის გაიხსნა.

ექსკლუზიური პრემიერა კი ორიოდე დღით ადრე გაიმართა. შოუს ესწრებოდნენ: რობერტ დე ნირო, იორკის ჰერცოგინია, როჯერ მური, დონატელა ვერსაჩე, რიჩარდ გირი და ლორენ ჰიუტონი.

გირისა და ჰიუტონის წყვილი აკადემიაში განსაკუთრებული პატივით მიიღეს. მათ ჩაცმულობაზე ხომ 1980 წელს გამოსულ, ძალზე ცნობილ ფილმში "ამერიკელ ჟიგოლოში" არმანი ზრუნავდა. შოუს პრეზენტაციაზე აკადემიის შესასვლელში მოათავსეს ის სპორტული "მერსედესიც", რომელიც "ჟიგოლოს" მაყურებლებს კარგად ახსოვთ.

არმანის ექსპოზიცია ლონდონის მოდის სამყაროსთვის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა. ასეთი რამ ქალაქს არ ახსოვს. გამოფენის მდივანი ნორმან როზენტალი აცხადებს: "ნათქვამი მქონდა, მოდის ექსპოზიციას, ვისიც არ უნდა იყოს იგი, არავითარ შემთხვევაში არ მოვაწყობ - ეს რომ გააკეთოთ, ჩემს გვამზე გადაბიჯება მოგიწევთ-მეთქი. მაგრამ, სამეფო აკადემია 250 წლის წინ ხომ ხელოვნებისა და დიზაინის პოპულარიზაციისთვის დაარსდა. არმანი კი დიდი ხელოვანია, რომელმაც ჩვენს ცხოვრებაში უამრავი რამ შეცვალა; მნიშვნელობა არ აქვს, მისი ტანსაცმელი გაცვია თუ არა".

აი, ამ მოსაზრების გათვალისწინებით, დაუშვეს გამონაკლისი და 69 წლის გარუჯულ დიზაინერს, რომელსაც ასაკი საერთოდ არ ეტყობა, სამეფო აკადემიაში შესვლის უფლება მისცეს.

არმანი პასუხისმგებლობას გრძნობს: "ძალიან, ძალიან ვნერვიულობ, ისეთი განცდა მაქვს, თითქოს, მგლის ხახაში საკუთარი ნებით ჩავიგდე თავი. ინგლისელები, განსაკუთრებით კი მოდის სამყაროში მოღვაწე ინგლისელები, ხომ ყველაზე უმოწყალო კრიტიკოსები არიან". თუმცა, იმასაც აცხადებს, რომ ლონდონში გამართული რეტროსპექტივა ნერვიულობად ნამდვილად ულირს: "ამ ქალაქში რომ განწყობაა, ისეთს ვერსად იგრძნობ. ვერსად ნახავ ისეთ შემოქმედებით თავისუფლებას, როგორსაც - ლონდონში. აქ მოდა გულწრფელად უყვართ და ესმით", - აცხადებს ის.

ამიტომაც არის, რომ სხვადასხვა მუზეუმში მოწყობილ რეტროსპექტივას ყველაზე დიდი გამოხმაურება მაინც ლონდონის სამეფო აკადემიაში ექნება. დასათვალიერებელი კი უმოწყალოდ ცინიკურ და კრიტიკულ ლონდონელებს ბევრი ექნებათ - 500-ექსპონატიანი რეტროსპექტივა ხომ არმანის 30-წლიან კარიერას მოიცავს და აკადემიის ახლად გახსნილ საგამოფენო სივრცეს "ბარლინგტონის ბაღებს" ბოლომდე ავსებს.

დიზაინერის შემოქმედება დაყოფილია თემატურად და გადანაწილებულია რამდენიმე დარბაზში. ალბათ, ყველაზე მეტი დამთვალიერებელი ე.წ. ჰოლივუდის გალერეას ეყოლება. იქ არმანის მიერ კინოს ვარსკვლავებისთვის შეკერილი კაბებია მოთავსებული - ყველა ის ულამაზესი ქმნილება, რაც შერონ სტოუნს, ანჟელიკა ჰიუსტონს, ჯოდი ფოსტერსა და გვინეტ პელტროუს ეცვათ. იქვეა წარმოდგენილი ის კოსტუმებიც, რომელთაც მელ გიბსონი, რასელ ქროუ და რობერტ დე ნირო ატარებდნენ.

არმანიმ საკუთარი კოლექციის შეგროვება 1985 წლიდან დაიწყო. მის უზარმაზარ არქივში ინახება, თითქმის, ყველა კაბა – ძვირფასი თვლებით მოოჭვილიც, ნაქარგიცა და ყვავილებით მოჩითულიც. უნდა ითქვას, რომ ამ ქმნილებებიდან ბევრი ახლოსაც ვერ მივა მინიმალისტურ მიმდინარეობასთან (რასაც არმანი აღმერთებს).

არმანის რეტროსპექტივის ოფიციალური პარტნიორი "მერსედეს ბენცი" გახლავთ. სწორედ ეს კომპანია აფინანსებს გამოფენის მოგზაურობას მსოფლიოს გარშემო. დიზაინერის შემოქმედება ლონდონიდან ხომ რომს, ტოკიოსა და ლოს ანჯელესს მოივლის.

სწორედ ამ პარტნიორობის მატერიალური გამოხატულებაა "მერსედესის" ახალი მანქანა, რომელიც არმანის დიზაინითაა შექმნილი და, რომელზეც ზემოთ მოგახსენებდით. ავტომობილს, რომელიც ლონდონის საზოგადოებას რიჩარდ გირმა და ლორენ ჰიუტონმა წარუდგინეს, დანარჩენ ქალაქებშიც ამოგზაურებენ. ჯერჯერობით მისი სულ ორი პროტოტიპია შექმნილი.

დიზაინერი აცხადებს: "ავტომობილის დიზაინზე ადრე არასდროს მიფიქრია. მაგრამ, მას შემდეგ, რაც "მერსედესთან" ერთად რამდენიმე პროექტი განვახორციელე, მივხვდი, რომ ეს მშვენიერი იდეა იყო". მისი აზრით, "მერსედესი CLK"-ი მაქსიმალურად გამოხატავს ფუფუნებას – როგორც ეს ჩაფიქრებული იყო. სალონი გაწყობილია ყავისფერ ტონში ბუნებრივი ტყავითა და თანამედროვე ქსოვილებით.

ცხადია, ლონდონის "მგლის ხახაში" მოხვედრა არმანისთვის დიდი პატივია, მაგრამ მას ბრიტანეთის დედაქალაზე არანაკლებ აღელვებს მილანი. რამდენიმე ხნის წინ მან შენიშნა, რომ, თურმე, იტალიური მოდის ცენტრს ნორმალური გასართობი დაწესებულება არ აქვს, და შეცდომა სასწრაფოდ გამოასწორა – ოქტომბრის დასაწყისში თავისი მაღაზიის გვერდით ღამის კლუბი "პრივე" გახსნა. გახსნის საღამომ ნეაპოლური სიმღერების აკომპანიმენტითა და კლუბის მეპატრონის ახალი კოლექციის ჩვენებით ჩაიარა. გაირკვა, რომ არმანის კლუბში დაიშვებიან მაღალი საზოგადოების მხოლოდ ის წარმომადგენლები, რომლებიც საწევრო ბილეთს ფლობენ. სხვათა შორის, "პრივესთან" ახლოს დიზაინერს რესტორანი აქვს, ასევე - ყვავილების, მუსკალური და საოჯახო მაღაზიები.

ერთი სიტყვით, არმანის ამ კომერციულ მამულს მილანის ცენტრში ახლა ღამის კლუბიც მიემატა – იტალიის მაღალი საზოგადოებისთვის. ლონდონის მაღალი საზოგადოება კი ჯერჯერობით ხელოვნების სამეფო აკადემიაში მოწყობილ რეტროსპექტივას დასჯერდება.



ჯორჯო არმანი მასებისთვის.

# სიახლე კაილი მინოუგისგან

**სახელი:** კაილი ენ მინოუგი
**ასაკი:** 35
**დაბადების თარიღი:** 28.05.1968
**დაბადების ადგილი:** მელბურნი, ავსტრალია
**ზოდიაქოს ნიშანი:** ტყუპები
**თმის ფერი:** ქერა
**თვალების ფერი:** მომწვანო-მოცისფრო

## ბავშვობა ზღვის პირას

ამაზე უფრო იდილიურ ამბავს ვერც კი წარმოიდგენთ: ის ზღვის პირას გაიზარდა, ტალღები ნაპირს ელამუნებოდა, ნაპირზე ხორცს წვავდნენ - კაილის ბავშვობა უღრუბლო და ბედნიერი იყო. ხუთი წლისამ ბალეტსა და ცხენოსნობაზე დაიწყო სიარული; კამერის წინ კი პირველად თერთმეტი წლისა დადგა.

16 წლის კაილი ტელევარსკვლავი გახდა - ავსტრალიურ ტელესერიალში "მეზობლები" სიმპათიური მექანიკოსის ჩარლენის როლი მიანდეს.

## ტელესერიალიდან პოპის დედოფლობამდე

ერთ დღეს, 1987-ში "მაშრუმ რეკორდსის" პროდიუსერებმა კაილი მინოუგი აღმოაჩინეს, რომელიც რაღაც სიმღერას "ჭიკჭიკებდა"; მოეწონათ, დაამუშავეს და მისი პირველი ჩანაწერი – Locomotion სასწრაფოდ გაიტანეს ბაზარზე. ავსტრალია აღფრთოვანდა, და მის კვალდაკვალ პატარა მომღერალს ევროპაშიც გამოუჩნდნენ თაყვანისმცემლები. I Should Be So Lucky-მ კი ევროპა და ავსტრალია საბოლოოდ დაიპყრო.

## დედოფალას იმიჯის დასასრული

უნდა ითქვას, რომ პატარა, კოხტა გოგოს სახე კაილის მალე მოსწყინდა. ის უცებ ძალიან სექსუალური გახდა და ის უკვე სერიოზულ ქალად მიიჩნიეს. მის შესახებ ჭორაობა დაიწყეს – ეს საუკეთესო რეკლამა გამოდგა. შემდეგ მისი ლამაზი სხეული H&M-ის საცვლების სარეკლამო კამპანიაში გამოჩნდა და კაილი მთლად სექს- სიმბოლოდ იქცა. მოკლედ, მის მუსიკალურ წარმატებას სხეულის წარმატება დიდად უწყობდა ხელს. 1995-ში ის კინოვარსკვლავობასაც ეზიარა – ჟან კლოდ ვან დამთან ერთად "ქუჩის მებრძოლებში" ითამაშა.

2001 წლიდან კი მუსიკოს-კაილის გამარჯვებები დაიწყო - Fever! სიმღერამ Can't Get You Out of My Head მთელი მსოფლიოს დისკოთეკები მოიარა.

## მამაკაცები

კაილის სასიყვარულო თავგადასავლების ამბავი ყველასთვის ცნობილია – როგორც ჩანს, მის "საზოგადოებრივ სახეზე მზრუნველთა" აზრით, ეს ამბები მხოლოდ მის სასიკეთოდ მეტყველებს. ჩვენი გმირი ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა იყო, როცა ჯეისონ დონოვანთან გააჩაღა რომანი – მასთან ერთად 1989 წელს Especially for You ჩაიწერა. მთელი ავსტრალია ელოდა, რომ ვარსკვლავები დაქორწინდებოდნენ, მაგრამ ქორწილი არ შედგა. კაილი მამაკაცებს დიდი წარმატებით იცვლიდა: INXS-ის მომღერალი, აწ გარდაცვლილი მაიკლ ჰაჩენსი შეცვალა კლაუდია შიფერის ყოფილმა საქმრომ ტიმ ჯეფერსმა; შემდეგ რობი უილიამსი გამოჩნდა, შემდეგ – მოდელი ჯეიმს გუდინგი... მაგრამ ბეჭდების გაცვლამდე და ზარების რეკვამდე საქმე დღემდე არ მისულა.

## კაილი კაილის შესახებ

კაილის თავის წარსულზე საუბარი არ უყვარს. ის მომავლით უფრო დაინტერესებულია.

საერთოდ, გადაწყვეტილების მიღება, ორი შემოთავაზებიდან ერთ-ერთის არჩევა ძალიან უჭირს ხოლმე – ამას ის თავის ნიშანს, ტყუპებს აბრალებს. მაგალითად: "კოკა-კოლა გირჩევნია თუ პეპსი?" – "წყალი," - გიპასუხებთ კაილი და თავის არჩევანს მეცნიერულად დაასაბუთებს: რომ ის წყურვილს საუკეთესოდ კლავს, რომ ჩვენ 70 პროცენტით წყლისგან შევდგებით, და ა.შ. მას ჯენეტ ჯექსონს მაიკლ ჯექსონი ურჩევნია; ბრედ პიტი უფრო მოსწონს, ვიდრე - ჯონი დეპი; დასვენებას ზღვის პირას ამჯობინებს და ჰარი პოტერზე გიჟდება. ის არაფრით ჯერდება იმას, რაც უკვე აქვს: მეტის განცდა უნდა, მეტი ახალი დღე, მეტი სიმშვიდე და მეტი სიყვარული; ფულიც ბევრი უნდა, რომ იმოგზაუროს, ხელოვნებას დაეწაფოს და საკუთარი კუნძულიც იყიდოს.

## როგორც იქნა!

მას შემდეგ, რაც კაილი მინოუგმა Fever-ით მოგვიკიდა ცეცხლი, უკვე ორი წელი გავიდა. და აი, ის სიახლეს გვთავაზობს. ავსტრალიის ყველაზე წარმატებული პოპ-ექსპორტი ნოემბრის დასაწყისში თავისი მომავალი ალბომიდან პირველ სიმღერას მოგვასმენინებს და გვიჩვენებს.

ახალი ქმნილების სახელწოდება Slow გახლავთ და, კაილი რის კაილი იქნებოდა, კვლავ ცეცხლის ალში რომ არ გაეხვია მამაკაცების გულები. "პატარა სექსბომბა" 2000 წელს არჩეულ იმიჯს არ ელევა – ან რატომ უნდა შეელიოს? როგორც ხედავთ, ყველა ძალიან კმაყოფილია.

ახალ ვიდეოკლიპში 50-იან წლებში გაბატონებული სტილის შესაბამისად გამოწყობილი კაილი ოცდაათ მომხიბვლელ მოზარდთან ერთად მოგვევლინება. ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ, თვალისმომჭრელი კაილის თანდასწრებითაც კი, ყმაწვილებს ტკბილად სძინავთ. ჩვენ კი კვლავ მოგვიწევს იმის აღიარება, რომ ძალიან მოგვწონს კაილი. სხვათა შორის, ფრანგი მსახიობი ოლივერ მარტინესიც ამ აზრისაა – ის ავსტრალიელი პოპის დედოფლის ცოლად შერთვას აპირებს – ცხადია, თუ დედოფალმაც ინება...



## ათეულები



### ფილმის თანმხლები მუსიკალური ალბომების საუკეთესო ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

| ფილმი | ხმის ჩამწერი კომპანია | წინა კვირის მაჩვენებელი | ჩარტებში გატარებული პერიოდი (კვირა) |
|---|---|---|---|
| 1. [illegible] | [illegible] | 1 | 4 |
| 2. "ცუდი ბიჭები-2" | "ბედ ბოი" | 2 | 12 |
| 3. [illegible] | "უოლტ დისნეი" | 3 | 24 |
| 4. The Cheetah Girls | "უოლტ დისნეი" | 7 | 8 |
| 5. [illegible] | [illegible] | 4 | 10 |
| 6. [illegible] | UTV/UME | 8 | 6 |
| 7. [illegible] | [illegible] | 6 | 36 |
| 8. 2 Fast 2 Furious | "დეფ ჯემ" | 12 | 19 |
| 9. [illegible] | [illegible] | 5 | 5 |
| 10. "როკის სკოლა" | "ატლანტიკ" | - | 1 |



### კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

| ფილმი/რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|
| 1. Kill Bill Vol.1 ქვენტინ ტარანტინო | [illegible] | 22,089,322 | 22,089,322 |
| 2. "როკის სკოლა" [illegible] | [illegible] | 15,487,832 | 39,671,396 |
| 3. [illegible] | [illegible] | 13,107,022 | 13,107,022 |
| 4. [illegible] | [illegible] | 12,525,075 | 12,525,075 |
| 5. [illegible] | [illegible] | 8,090,801 | 28,711,637 |
| 6. [illegible] | [illegible] | 5,683,280 | 5,683,280 |
| 7. Rundown [illegible] | [illegible] | 5,208,440 | 40,268,790 |
| 8. [illegible] | [illegible] | 4,911,328 | 28,307,921 |
| 9. Secondhand Lions [illegible] | [illegible] | 3,297,211 | 35,384,339 |
| 10. [illegible] | [illegible] | 2,822,419 | 18,121,154 |

### კვირის ბესტსელერები გაზეთ "გარდიანის" მიხედვით

| წიგნი | ავტორი | გამომცემლობა | ფასი გირვანქა სტერლინგებში |
|---|---|---|---|
| 1. (1) [illegible] | [illegible] | [illegible] | 18.99 |
| 2. (25) [illegible] | [illegible] | [illegible] | 6.99 |
| 3. (43) [illegible] | [illegible] | [illegible] | 7.99 |
| 4. (2) [illegible] | [illegible] | [illegible] | 6.99 |
| 5. (23) [illegible] | [illegible] | [illegible] | 17.99 |
| 6. (4) [illegible] | [illegible] | [illegible] | 6.99 |
| 7. (6) [illegible] | [illegible] | [illegible] | 6.99 |
| 8. (3) Kisscut | [illegible] | [illegible] | 6.99 |
| 9. (8) [illegible] | [illegible] | [illegible] | 6.99 |
| 10. (7) [illegible] | [illegible] | [illegible] | 7.99 |

# UEFA-მ გუნდები დააწყვილა

გუშინ, დღის 12 საათზე, შვეიცარიის ქალაქ ნიონში, UEFA-ს შტაბ-ბინაში, შედგა UEFA-ს თასის კენჭისყრა, რომელზეც ტურნირის მეორე წრეში გასული 48 გუნდი დააწყვილეს. ლევან კობიაშვილის "შალკეს" კოპენჰაგენის "ბრონდბიუ" ერგო მეტოქედ, ხოლო ლომაიას "სპარტაკს" ბუქარესტის "დინამოსთან" მოუწევს თამაში.

UEFA-ს თასის მეორე ეტაპის პირველი მატჩები 6 ნოემბერს გაიმართება, ხოლო განმეორებითი შეხვედრები – 27 ნოემბერს. მესამე წრეში გასულ 24 გუნდს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფებში მესამე ადგილებზე გასული რვა გუნდი დაემატება.

UEFA-ს თასის წლევანდელი გათამაშების ფინალი 2004 წლის 19 მაისს, შვედეთის ქალაქ გიოტებორგში გაიმართება.

### გუშინდელი კენჭისყრის შედეგები:

| | | |
|---|---|---|
| **დორტმუნდი (გერმანია)** | – | **სოშო (საფრანგეთი)** |
| **ბრონდბიუ (დანია)** | – | **შალკე (გერმანია)** |
| **დინამო (ხორვატია)** | – | **დნეპრი (უკრაინა)** |
| **მანჩესტერ სიტი (ინგლისი)** | – | **გროცლინი (პოლონეთი)** |
| **ბარსელონა (ესპანეთი)** | – | **პანიონისი (საბერძნეთი)** |
| **ბენფიკა (პორტუგალია)** | – | **მიოლდე (ნორვეგია)** |
| **სლავია (ჩეხეთი)** | – | **ლევსკი (ბულგარეთი)** |
| **როსენბორგი (ნორვეგია)** | – | **ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)** |
| **ვალენსია (ესპანეთი)** | – | **მაკაბი (ისრაელი)** |
| **სპარტაკი (რუსეთი)** | – | **დინამო (რუმინეთი)** |
| **გაზიანთეფი (თურქეთი)** | – | **ლანსი (საფრანგეთი)** |
| **არისი (საბერძნეთი)** | – | **პერუჯა (იტალია)** |
| **უტრეხტი (ჰოლანდია)** | – | **ოსერი (საფრანგეთი)** |
| **სტიაუა (რუმინეთი)** | – | **ლივერპული (ინგლისი)** |
| **ვალერენგა (ნორვეგია)** | – | **ვისლა (პოლონეთი)** |
| **პაოკი (საბერძნეთი)** | – | **დებრეცენი (უნგრეთი)** |
| **კოპენჰაგენი (დანია)** | – | **მაიორკა (ესპანეთი)** |
| **პარმა (იტალია)** | – | **ავსტრია (ავსტრია)** |
| **ბაზელი (შვეიცარია)** | – | **ნიუკასლი (ინგლისი)** |
| **ჰაიდუკი (ხორვატია)** | – | **რომა (იტალია)** |
| **გენჩლერი (თურქეთი)** | – | **სპორტინგი (პორტუგალია)** |
| **ტორპედო (რუსეთი)** | – | **ვილიარეალი (ესპანეთი)** |
| **ფეიენოორდი (ჰოლანდია)** | – | **ტეპლიცე (ჩეხეთი)** |
| **ბორდო (საფრანგეთი)** | – | **ჰართსი (შოტლანდია)** |

# „რეალი" მოგებაზე წავიდა

მადრიდის "რეალში" პრემიერაა: სამეფო კლუბი, პირველად თავისი არსებობის ისტორიაში, აცხადებს, რომ გუნდს ფინანსური მოგება აქვს. მიმდინარე სეზონში მიღებულმა სუფთა შემოსავალმა 9,278 მილიონი ევრო შეადგინა.

2002/2003 წლების სეზონში კლუბის ბიუჯეტი 270 მილიონი ევროთი განისაზღვრება, სუფთა მოგებამ კი, სავარაუდოდ, 59 მილიონი უნდა შეადგინოს. ასეთი ფინანსური წარმატების მიზეზად კლუბის კარგი მარკეტინგი სახელდება. უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება კლუბის ატრიბუტიკასა და მატჩებზე დასასწრებ ბილეთებზე. მიმდინარე სეზონში "სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონი ყველა მატჩზე გადაჭედილი იყო. ამას ემატება სოლიდური შემოსავლები ტელეტრანსლაციების უფლებათა გაყიდვიდან და კლუბის სპონსორებისგან.

ჯერ კიდევ ორი წლის წინათ "რეალი" ვალებში იხრჩობოდა. ვალების დაფარვა კლუბის კუთვნილი, 450 მილიონ ევროდ შეფასებული საწვრთნელი ბაზის გაყიდვით გახდა შესაძლებელი. სამეფო კლუბის უკანასკნელი წლების წარმატებებს უკან დგას ერთი ადამიანი: პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი, რომელიც ესპანეთში უკვე ორჯერ დაასახელეს წლის საუკეთესო ბიზნესმენად.

"რეალის" სათავეში მოსვლისთანავე ფლორენტინო პერესი სუპერ-ვარსკვლავების შეძენას შეუდგა. ზიდანი, რონალდო, ბექჰემი და სხვა ვარსკვლავები არა მარტო სპორტული გამარჯვებების, არამედ ფინანსური წარმატების გარანტები გახდნენ. ამ ფეხბურთელების გამო მადრიდის "რეალის" მაისურებზე მსოფლიოს მასშტაბით არნახული მოთხოვნილებაა.

# ფინანსური პრობლემები საფეხბურთო რომში

მაშინ, როდესაც მადრიდის "რეალმა" ყველა ფინანსური პრობლემა წარმატებით მოაგვარა და დიდ მოგებებს ნახულობს, იტალიური "რომა" უმძიმეს კრიზისშია. კლუბს 104,7 მილიონი ევროს სიდიდის ვალი აქვს და თავისი მოთამაშეებისთვის უკანასკნელი ოთხი თვის ხელფასი არ გადაუხდია. ოთხი თვის ხელფასები კი 16 მილიონ ევროს შეადგენს.

"რომას" პრობლემები მხოლოდ ვალებით არ მთავრდება. კლუბის ხელმძღვანელობამ შესაბამისი ორგანოებისთვის საკუთარი ფინანსური მდგომარეობის დამადასტურებელი ზოგიერთი დოკუმენტის წარმოდგენა ვერ შეძლო, რის გამოც მილანის ბირჟაზე "რომას" აქციებით ვაჭრობა შეწყვიტეს.

იტალიური პრესა მიიჩნევს, რომ "რომას" გამოსავალი მხოლოდ და მხოლოდ თავისი ძვირად ღირებული ვარსკვლავების გაყიდვაა, რომელთა შორის უძვირფასესი იტალიის ნაკრების ფეხბურთელი ფრანჩესკო ტოტია. თუმცა, ფეხბურთელთა გაყიდვის შესახებ არაფრის გაგონება არ სურს "რომას" სპორტულ დირექტორს ფრანკო ბალდინის. "ვისაც ჩვენი ფეხბურთელების გაყიდვა უნდა, ჩემს გვამზე მოუწევს გავლა", - ამბობს ბალდინი, რომელსაც იმედი აქვს, რომ "რომა" უამისოდაც დაძლევს სიძნელეებს.

დიდი სკანდალი ატყდა მეორე რომაული კლუბის "ლაციოს" ირგვლივ. უფრო სწორად, საქმე ეხება მის ყოფილ მეპატრონეს და პრეზიდენტს სერჟიო კრანიოტის. რომის პროკურატურა უფროსი კრანიოტის, ასევე მისი შვილების, მასიმოს და ელიზაბეტას საქმეს იძიებს. აღსანიშნავია, რომ მასიმოც და ელიზაბეტაც მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ კრანიოტის კუთვნილ რძის პროდუქტების კომპანია "Cirio"-ში, ისევე, როგორც "ლაციოში". სამართალდამცავები კრანიოტების ოჯახს სხვადასხვა სახის ფინანსურ მაქინაციაში, მათ შორის გადასახადების დაფარვაში ადანაშაულებენ.

"ლაციოს" ახლანდელი პრეზიდენტი უგო ლონგო დარწმუნებულია, რომ კრანიოტების ოჯახის პრობლემები არ აისახება თავად "ლაციოზე", რადგან კრანიოტების წილი ამ კლუბში მხოლოდ ორი პროცენტია.

ფეხბურთი

# შუშაკი "დინამოდან" წასვლას არ აპირებს

მიხეილ აბაიშვილი



შუშაკი "დინამოს" ერთგულია.

თბილისის "დინამოს" მთავარ მწვრთნელს ივო შუშაკს რუსეთის პრემიერლიგის კლუბი "როსტოვი" (ყოფილი "როსტსელმაში") ეპატიჟება. ამ კლუბის სპორტული დირექტორის ბათრაზ ბითაროვის თქმით, შუშაკი მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელია და "როსტოვის" ხელმძღვანელობა დიდი სიამოვნებით მიიღებს თავის გუნდში.

"ჩვენ თვალყურს ვადევნებთ შუშაკის საქმიანობას "დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. 20 აპრილს საქართველოს ნაკრებმა სწორედ მისი ხელმძღვანელობით დაამარცხა რუსეთის ეროვნული გუნდი. შუშაკი მაღალი კლასის პროფესიონალია და გვინდა, ის "როსტოვის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ვიხილოთ", - განუცხადა რუსულ მედიას ბითაროვმა.

მანვე აღნიშნა, რომ როსტოვული კლუბი დაუკავშირდა თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობას და შუშაკის გადაბირების თაობაზე მოლაპარაკების გამართვა შესთავაზა (შეგახსენებთ, რომ შუშაკს "დინამოსთან" ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს სისტემით 1+1, თუმცა, ამაში ბითაროვი დაბრკოლებას ვერ ხედავს).

"თუ თბილისელები დათანხმდებიან, მაშინ ჩვენ მის კონტრაქტს გამოვისყიდით", - ასეთია "როსტოვის" ერთ-ერთი შეფის პოზიცია.

თუმცა, თავად შუშაკი, რომელსაც "როსტოვის" გარდა სხვა კლუბებიც ეპატიჟებიან, არსად წასვლას არ ეშურება. გუშინ დიღმის ბაზაზე მან გამართა პრესკონფერენცია, სადაც როსტოველთა შეთავაზება შორს დაიჭირა.

"ძალზე სასიამოვნოა, რომ როსტოვული კლუბი ჩემით დაინტერესდა. არ დაგიმალავთ, ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის – სხვა კლუბებიც მეპატიჟებიან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საფეხბურთო სამყაროში მაღალი რეიტინგი მაქვს. ეს რეიტინგი საქართველოში, კერძოდ, "დინამოში" მუშაობის დამსახურებაცაა. აქ არაჩვეულებრივად ვგრძნობ თავს, "დინამო", მისი ფეხბურთელები და ხელმძღვანელები ძალიან მიყვარს და არსად წასვლას არ ვაპირებ. თან, ამ კლუბთან მაკავშირებს კონტრაქტი, რომლის პირობებიც აბსოლუტურად მაკმაყოფილებს და ამ კონტრაქტს არ დავარღვევ. თბილისში, სულ მცირე, სეზონის ბოლომდე დავრჩები. შემდეგ კი ისევ "დინამოს" ხელმძღვანელობას აქვს პრიორიტეტული უფლება, კიდევ ერთი წლით შემომთავაზოს კლუბში დარჩენა. თუ ასე მოხდა, მერწმუნეთ, ისევ თბილისის "დინამოში" გავაგრძელებ მოღვაწეობას.", - განაცხადა შუშაკმა.

"დინამოს" პრეს-ატაშეს, ლევან სალუქვაძის თქმით, კლუბის ხელმძღვანელობის პოზიცია ემთხვევა მთავარი მწვრთნელის პოზიციას და "დინამო" კმაყოფილია ხორვატ სპეციალისტთან თანამშრომლობით.

# კობიაშვილს წაგება მობეზრდა

მიხეილ აბაიშვილი



კობიაშვილის აზრით, "ბრონდბიუსთან" შანსები თანაბარია.

გერმანიის "შალკე 04"-მა წარმატებით დაძლია უეფას თასის პირველი ბარიერი. გასვლით მატჩში ნულოვანი ფრეს შემდეგ, გელზერკირხენში, საკუთარ სტადიონზე, იუპ ჰაინკესის გუნდმა, მართალია, მოკრძალებულად, მაგრამ საჭირო ანგარიშით – 1:0 (ჰანკე, 76`) დაამარცხა ხორვატიის "კამენი" და გავიდა მომდევნო ეტაპზე, სადაც დანიის "ბრონდბიუს" შეხვდება. "კამენთან" მატჩში ქართველმა ლეგიონერმა ლევან კობიაშვილმა, რომელსაც "24 საათი" გუშინ ტელეფონით დაუკავშირდა, შეხვედრის ბოლოს თანაგუნდელი შეცვალა.

**- ლევან, გილოცავთ შემდეგ ეტაპზე გასვლას. რას იტყვით თამაშზე?**

- ორი მატჩის ჯამში 1:0 მოვიგეთ, მაგრამ ეს ანგარიში ძალთა თანაფარდობას ნამდვილად ვერ ასახავს. მთელი შეხვედრის განმავლობაში მეტოქე საკუთარ საჯარიმო მოედანს იყო მიჯაჭვული, კონტრთამაშზე საერთოდ არ ფიქრობდა და მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. ასე რომ, დიდი ანგარიშით ვერ გავიმარჯვეთ, თუმცა, იმითაც კმაყოფილი ვართ, რომ პირველი ეტაპი გადავლახეთ.

**- შენ მხოლოდ ბოლო 12 წუთი ითამაშე. რატომ არ იყავი ძირითად შემადგენლობაში?**

- გელზერკირხენში კვირას დავბრუნდი, წინა დღეს კი, მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში რუსების წინააღმდეგ ვითამაშე. ჰაინკესმა მითხრა, რომ ჯობდა, დამესვენა და ამიტომ ბოლოს შემიყვანა მოედანზე. კვირას, ბუნდესლიგის მორიგ ტურში, ძირითად შემადგენლობაში ვიქნები.

**- დღეს გაიმართა წილისყრა, რომელმაც "შალკეს" დანიის "ბრონდბიუ" არგუნა მეტოქედ. კმაყოფილი ხართ თუ არა ამით და რას იტყვით მომავალ მეტოქეზე?**

- რომ გითხრათ, "ბრონდბიუსთან" დაწყვილებით გახარებული ვართ-მეთქი, არ ვიქნები მართალი. გაცილებით სუსტი მეტოქეც შეიძლებოდა შეგვხვედროდა. "ბრონდბიუ" ნორმალური, მაღალი ევროპული კლასის გუნდია, რომელთან თამაში იოლი არ იქნება. შანსები დაახლოებით თანაბარია, მაგრამ მაინც მგონია, რომ წყვილში ფავორიტი მაინც "შალკეა". ფეხბურთის თამაში ყველამ ისწავლა, რაც უეფას თასის პირველ ეტაპზე დაფიქსირებულმა სენსაციურმა შედეგებმაც დაადასტურა. ასე რომ, ნებისმიერი მატჩისთვის, ნებისმიერი მეტოქის წინააღმდეგ ბრძოლისთვის სრული მობილიზებით გამოსვლაა საჭირო.

**- საქართველოში ისევ არ წყდება საუბარი რუსეთში ნაგემი მარცხის შესახებ. ამ თამაშზე რას იტყვი?**

- ძალიან უკმაყოფილო ვარ. პირველ რიგში, არა წაგებით ან თამაშის ხარისხით, არამედ იმით, რომ საქართველოში ამ მატჩს ეჭვით შეხედეს. გერმანიაში ჩამოაღწია ხმებმა იმის თაობაზე, თითქოს ჩვენ რუსებს 3 ქულა ვაჩუქეთ. ეს ჩემი და ნაკრების თითოეული ფეხბურთელის დიდი შეურაცხყოფაა. არავის არაფერს არ ვუმტკიცებ. უბრალოდ, ვიტყვი: მცირე ეჭვიც რომ მქონოდა გარიგების თაობაზე, რამეს მოვიმიზეზებდი და სულ არ ჩავიდოდი ამ თამაშზე.

რაც შეეხება თავად მატჩს, თავიდან საგრძნობი უპირატესობა გვქონდა, გოლიც გავიტანეთ, მაგრამ შემდეგ დაცვაში ორი ძალიან უხეში შეცდომა დავუშვით, რასაც ჩვენს კარში ორი გოლი მოჰყვა. სიტყვა "უხეში", ალბათ, ძალიან რბილად ნათქვამია. ასეთი გოლები ევროპაში აღარ გადის. ამან გუნდი, პირველ რიგში, ფსიქოლოგიურად გატეხა და მეორე ტაიმში მდგომარეობა ვეღარ გამოვასწორეთ.

**- საქართველოს ნაკრები ქვეჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა. ეს მე-5 ჩაგდებული შესარჩევი ციკლია. როდემდე უნდა გაგრძელდეს ვარდნა?**

- არ იფიქროთ, რომ ყველაფერს ყბადაღებულ მწვრთნელის პრობლემას მივაწერ და ვიტყვი, რომ ჩვენ, ფეხბურთელები, არაფერ შუაში ვართ. შუაში კი არა, თავში ვართ. შეიძლება ჩემი ბევრი მეგობარი გავანაწყენო, მაგრამ მაინც ვიტყვი. სამწუხაროდ, ზოგიერთ ჩემს თანაგუნდელს ვერ გაუცნობიერებია, რას ნიშნავს შენი ქვეყნის ეროვნული ნაკრების მაისურით თამაში. ზოგიერთს საერთოდ ეზარება ნაკრების შეკრებაზე ჩამოსვლა, ზოგი ფეხს იტკიებს და ზოგი – ყურს. ასე არ შეიძლება. სანამ ფედერაციის, ფეხბურთელების, მწვრთნელების, ჟურნალისტების, გულშემატკივრების მხრიდან ასეთი მიდგომა იქნება, სანამ მთლიანად არ შეიცვლება დამოკიდებულება ნაკრების მიმართ, სანამ ეროვნული გუნდი პირადი და საზოგადო ღირსების საქმე არ გახდება, ყოველთვის ბოლო ან ბოლოსწინა ადგილზე გავალთ.

მე მაინც იმედი მაქვს, რომ მდგომარეობა გამოსწორდება. ამისთვის პირველი და მთავარი, უსერიოზულესი ნაბიჯი ფედერაციის ხელმძღვანელობამ უნდა გადადგას. ჩვენ გვჭირდება მაღალკვალიფიციური, საერთაშორისო გამოცდილებისა და ავტორიტეტის მქონე მწვრთნელი, რომელიც ნაკრების კრიზისიდან გამოყვანის რეალური პროგრამით ჩამოვა საქართველოში. და კიდევ: ჩვენ გვჭირდება მკაცრი, ძალიან მკაცრი დისციპლინა. დამიჯერეთ, ძალიან მომბეზრდა წაგება.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** როგორც იქნა, გაირკვა, თუ სად გააგრძელებს კარიერას ფაბიენ ბარტეზი. "მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე სამშობლოში ბრუნდება. გუშინ "მანჩესტერისა" და "მარსელის" ხელმძღვანელებმა მიაღწიეს შეთანხმებას იმის შესახებ, რომ ბარტეზი, იჯარის წესით, ერთი წლით გადავიდეს "მარსელში". ფრანგული კლუბის მენეჯერი ფილიპ პიოლა ახლა მანჩესტერშია და ადგილობრივი კლუბის ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის პირობებს ათანხმებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ეინდჰოვენის პოლიციამ განაცხადა, რომ საფეხბურთო კლუბ "ეინდჰოვენის" სერბი ლეგიონერი მატეა კეჟმანი ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს. გასულ კვირას პოლიციამ დააკავა 57 წლის სერბი მამაკაცი, რომელიც, სავარაუდოდ, კეჟმანის გატაცებაში მონაწილეობდა. ფეხბურთელი გათავისუფლებულია და უკვე ვარჯიშსაც შეუდგა, თუმცა, "ეინდჰოვენის" ხელმძღვანელობა და მწვრთნელი ჰიდინკი ამბობენ, რომ ფეხბურთელს მძიმე ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაზილიური "ფლამენგოს" მწვრთნელი ოსვალდო დე ოლივეირა თანამდებობიდან გადადგა. ამის შესახებ ოფიციალურად განაცხადა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა რობერტო სანტოსმა. მიუხედავად იმისა, რომ "ფლამენგომ" თავის უკანასკნელ მატჩში "ვასკო და გამას" 2:1 მოუგო, ოლივეირამ მაინც არ ისურვა თანამდებობაზე დარჩენა. გადადგომის შესახებ განცხადება მან ამ მატჩამდე გააკეთა და გადაწყვეტილება აღარ შეცვალა. "ფლამენგოს" მწვრთნელად ივლისში დავინიშნე. მას შემდეგ ხელფასი არ მიმიღია. მე არ შემიძლია უხელფასოდ მუშაობა", - განაცხადა ოლივეირამ. აღსანიშნავია, რომ კლუბში მისი დაკავება არც "ფლამენგოს" ხელმძღვანელობას სურდა. ბრაზილიის ყველაზე პოპულარული კლუბი ოლივეირას მწვრთნელობის პერიოდში უაღრესად წარუმატებლად ასპარეზობდა და ჩემპიონატის ცხრილის ქვედა ნაწილშია. ოლივეირა წარუმატებლობას თავად კლუბს აბრალებს: "ფლამენგოში" დიდი უწესრიგობაა. ხელფასს არც ფეხბურთელებს უხდიან. ამ კლუბში შეუძლებელია ნორმალურად მუშაობა".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლონდონის "ჩელსიმ" ახლა უკვე "ევერტონის" 17 წლის თავდამსხმელი უეინ რუნი ამოიღო მიზანში. რომან აბრამოვიჩი ახალგაზრდა ტალანტის შეძენით დიდად არის დაინტერესებული და მის გადასაბირებლად ნებისმიერი სიდიდის თანხის გაღებას აპირებს. ინგლისური პრესა ამტკიცებს, რომ "ჩელსსა" და "ევერტონს" შორის მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს, რასაც კატეგორიულად უარყოფს "ევერტონი". უეინ რუნის ახლანდელი კლუბის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ ფეხბურთელს "ევერტონთან" კონტრაქტი კიდევ სამი წლით აკავშირებს და მის გაყიდვას არ აპირებს. ინგლისელი ჟურნალისტები იმასაც ამტკიცებენ, რომ რუნის შეძენით იტალიური "მილანიც" არის დაინტერესებული.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ლონდონში ჩატარების ინიციატორთა საორგანიზაციო კომიტეტი ინგლისის ფეხბურთის ფედერაციისგან რიო ფერდინანდის, სულ ცოტა, 6 თვით დისკვალიფიკაციას მოითხოვს. საორგანიზაციო კომიტეტი დარწმუნებულია, თუ ფერდინანდი არ დაისჯება, ინგლისის შანსი, ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლოს, მკვეთრად შემცირდება. "ფერდინანდი მსოფლიოს ერთ-ერთი უძვირფასესი ფეხბურთელია. თუ ქვეყანას ოლიმპიადის ჩატარების უფლების მოპოვება სურს, ფერდინანდი აუცილებლად უნდა დაისაჯოს", - განაცხადა საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შემდეგ, შესაძლოა, მწვრთნელებმა ტრაპატონიმ და კაპელომ ადგილები გაცვალონ. ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ იტალიის ნაკრების მწვრთნელი ტრაპატონი სიამოვნებით დათანხმდება "რომაში" მუშაობას, რადგან მისი ოჯახი ამ ქალაქში ცხოვრობს. თანაც, ტრაპატონის არაერთხელ გამოუთქვამს "რომაში" მუშაობის სურვილი. იტალიელები იმასაც ფიქრობენ, რომ კაპელოს ნაკრებში მუშაობის დიდი სურვილი აქვს. აქედან გამომდინარე, ამ ორი მწვრთნელის "როქს" წინასწარმეტყველებენ. თუმცა, თუ იტალიის ნაკრებმა წარმატებით ითამაშა ევროპის ჩემპიონატზე, ტრაპატონი ნაკრების სათავეში დარჩება.



## ინფოთეკა

**კალათბურთი.** NBA-ის ერთ-ერთმა საუკეთესო კალათბურთელმა დირკ ნოვიცკიმ ტრავმა მიიღო. "დალასის" ფორვარდს ფეხი ვარჯიშზე ეტკინა. ერთ-ერთ ეპიზოდში ნოვიცკის თავისივე თანაგუნდელი დაეცა. თუმცა, წინასწარი დიაგნოზით, ტრავმა სერიოზული არ არის.

■ ■ ■

**კალათბურთი.** "ვაშინგტონ უიზარდსის" პრეზიდენტმა საკალათბურთო ოპერაციების საკითხში ერნი გრიუნფელდმა განაცხადა, რომ გუნდის ძირითად მოთამაშეს ჯერი სტეკჰაუზს მარჯვენა მუხლზე ართროსკოპიული ოპერაცია გაუკეთდება. სტეკჰაუზი დიდი ხანია ტკივილებს უჩიოდა. რენტგენმა აჩვენა, რომ სტეკჰაუზს კვირისტავის არეში პრობლემები აქვს. ოპერაციის მიზანია, გამოავლინოს და შეაფასოს მუხლის დაზიანების ხარისხი. ქირურგების თქმით, ყველა მომდევნო ნაბიჯი ამის მიხედვით გადაიდგმება.

■ ■ ■

**კრივი.** ცნობილმა დანიელმა მძიმეწონოსანმა ბრაიენ ნილსენმა, 38 წლის ასაკში გადაწყვიტა, დაასრულოს სპორტული კარიერა. ამ გადაწყვეტილების მიზეზი მუხლის არეში გაუთავებელი პრობლემებია. ნილსენმა, რომელიც "სუპერ ბრაიენის" სახელით არის ცნობილი, პროფესიულ სარბიელზე 66 ბრძოლა ჩაატარა და რამდენიმე წლის განმავლობაში IBO-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულსაც კი ფლობდა (ახლა ამ ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი ბრიტანელი ლენოქს ლუისია). ბრაიენ ნილსენი ხანგრძლივი სპორტული კარიერის განმავლობაში ბევრ ცნობილ მოკრივეს შეხვედრია. მათ შორის - ტონი ტაბსს, ლარი ჰოლმსს, ტიმ ვიტერსპუნს და მაიკ ტაისონს. 66 ბრძოლიდან ნილსენმა 64 მოიგო, მათ შორის 43 ნოკაუტით და მხოლოდ ორჯერ დამარცხდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 66-დან 62 ბრძოლა ნილსენმა დანიაში ჩაატარა. პროფესიული კარიერის დაწყებამდე ბრაიანი სამოყვარულო რინგზეც წარმატებით გამოდიოდა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** მიუხედავად იმისა, რომ ბახრეინში ფორმულა 1-ის გრან-პრი 2004 წლის მარტში გაიმართება, ხოლო ტრასა მხოლოდ სანახევროდ არის გაკეთებული, გრან-პრიზე დასასწრები 20 000 ბილეთი უკვე გაყიდულია. ამის შესახებ ჟურნალისტებს აცნობა ტრასის დირექტორმა შეიხ ფავაზ ბინ მოჰამედ ალ-ჰალიფმა. დირექტორის თქმით, ავტოდრომის მთელი ინფრასტრუქტურა მზად არის, მაგრამ ასფალტი ჯერ არ დაუგიათ. ამას გარდა,ნავარაუდევია, ავტოდრომის გარშემო სპორტის სხვა ტექნიკური სახეობებისთვის რამდენიმე ტრასა აიგოს. ბახრეინი პირველი ახლოაღმოსავლური ქვეყანა იქნება, რომელიც ფორმულა 1-ს მიიღებს. პროექტში 150 მილიონი დოლარია ჩადებული. სამაგიეროდ, ბილეთები ყველაზე იაფი იქნება. ბახრეინის პირველი გრან-პრი 2004 წელს გაიმართება.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი, გერმანელი მიხაელ შუმახერი შეეცდება, კიდევ ერთი რეკორდი დაამყაროს. "ფერარის" პრეს-სამსახურის ცნობით, შუმახერი თავისი მანქანით (მიწაზე) შეეჯიბრება სუპერთანამედროვე გამანადგურებელს (ცაში) Eurofighter Typhoon. უნიკალური რბოლა-გაფრენა გაიმართება 2003 წლის დეკემბერში, იტალიის ბაზა გროსეტოში. თუმცა, "ფერარის" გუნდში შუმახერის გამარჯვებას არ ელოდებიან, რადგან "ფერარის" უკანასკნელი მოდიფიკაციის ბოლიდის მაქსიმალური სიჩქარე საათში 400 კილომეტრია, თვითმფრინავის კი – 2000.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** იაპონიაში ახლახან გამართული ფორმულა 1-ის ფინალური ეტაპის შემდეგ, რომელშიც ჟაკ ვილნევს მონაწილეობა არ მიუღია, "ბარის" გუნდის მფლობელმა დევიდ რიჩარდსმა ვილნევს ახალი კონტრაქტი შესთავაზა. კონტრაქტის ღირებულება ერთი დოლარია, რომელსაც დაემატება მიღებული ქულებისთვის სასაცილო პრემიალურები. ჟაკ ვილნევი 1997 წელს "უილიამსის" შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. თუმცა, 1999 წლის შემდეგ "ბარში" გადასვლიდან არც ერთი რბოლა არ მოუგია, რაც, სპეციალისტთა თქმით, ბოლიდის არასრულყოფილების ბრალია. ასეთი შეურაცხყოფის მიუხედავად, მრბოლმა, რომლის წლიური ხელფასიც 20 მილიონი დოლარია, თავისი ყოფილი გუნდის ახალ შეთავაზებასთან დაკავშირებით არავითარი რეაქცია არ გამოამჟღავნა.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "დეტროიტის" მცველმა დერიან ჰეთჩერმა მუხლის ტრავმა მიიღო და ვერ დაასრულა მატჩი "ვანკუვერის" წინააღმდეგ, რომელიც "წითელმა ფრთებმა" - 3:2 მოიგეს. ჰეთჩერი მარკუს ნესლუნდსა და ბრაიან ალენთან შეჯახების შედეგად დაშავდა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენი ხნით გამოაკლდა ჰოკეისტი თავის გუნდს.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "ფილადელფიის" ფორვარდმა რადოვან სომიკმა მუხლის ოპერაცია გადაიტანა. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ჯერჯერობით უცნობია, როდის დაუბრუნდება სომიკი ყინულის მოედანს.

## კრივი

# კრივი იყო და არ იყო

პირველი გვერდიდან

გიორგი კანდელაკის გამარჯვება 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში წარმატების ტოლფასი იქნებაო, ორი დღის წინ აცხადებდა საქართველოს პროფესიული კრივის პრეზიდენტი ვახტანგ ყანჩაველი. მაგრამ საკითხავია, ვისთან? იმ გერმანელ რუსს მოკრივისა არაფერი ეტყობოდა. ან რა უნდა დატყობოდა, როცა რეიტინგის ათასეულშიც კი არაა. ერთ-ერთმა მაყურებელმა იხუმრა კიდეც: ეგ შლაიგერია თუ ვილაც, ალბათ, რომელიმე ღამის კლუბში "ვიშიბალად" მუშაობსო.

ერთი სიტყვით, კანდელაკისთვის ტიტულის დამცავი ორთაბრძოლა თუ ჯაჯგური სამ რაუნდში დასრულდა. ასე რომ იქნებოდა, ეს თავიდანვე ვიცოდით. ხუთშაბათის ნომერში ვწერდით კიდეც, კანდელაკი ამ ბრძოლას ისე მოიგებს, როგორც 2 ნოემბრის არჩევნებსო. მოგეხსენებათ, გიორგი კანდელაკი სახელისუფლებო ბლოკში მეცხრე ნომრადაა შეყვანილი. რაკი არჩევნები ვახსენე, არ შემიძლია, არ აღვნიშნო ერთი დეტალი. კანდელაკისა და შლაიგერის დაპირისპირებას წინ უძღოდა საეჭვო პოლიტიკური უვერტიურა. ამაში სპორტის სასახლეში თავშეყრილი მაყურებელიც დარწმუნდებოდა. დარბაზი აჭრელებული იყო სახელისუფლებო ბლოკის ლოზუნგებით, ალმებითა და ქაღალდის კეპებით – ერთიანი საქართველოსთვის. აქედან გამომდინარე, არც ის მეუცნაურა, რომ იმ მაყურებელთა შორის, რა თქმა უნდა, საპატიო სტუმართა ადგილებზე ისხდნენ ვიტალი ხაზარაძე, ლევან მამალაძე, ირინა სარიშვილი...

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაშიც, რომ საქართველო პარადოქსების ქვეყანაა. როდესაც მთელი მსოფლიო სპორტის პოლიტიზების წინააღმდეგია, ჩვენში პროფესიული კრივიც კი საარჩევნოდ გამოიყენეს.

ახლა ისევ რინგს მივუბრუნდეთ, მაგრამ იქაც ბევრი არაფერი გვაქვს სათქმელი. კანდელაკისა და შლაიგერის დაპირისპირებას წინ უძღოდა საქართველოსა და აზერბაიჯანის ნაკრებთა საერთაშორისო მატჩი, რომელიც შესახურებელ თუ ანდერქარდის ფუნქციას ასრულებდა. უპირატესობა აქაც მასპინძელთა მხარეს იყო. ორად-ორი ბრძოლის გარდა, ყველა ქართველებმა მოიგეს. ამის შემხედვარე ერთ-ერთმა მაყურებელმა აზერბაიჯანელ მოკრივეებზე მწარედ იხუმრა: ეგენი ისედაც ერთმანეთს სცემენ და რაღა ჩვენ უნდა გაგვამტყუნონ. ჩვენ თუ არ ვცემთ, შინ დაბრუნებულებს ალიევი მაინც დაერევაო.

და მაინც, რა არის კავშირის საჩემპიონო სარტყელი. აქედანვე გეტყვით, რომ კრივის საზომებით დიდი არაფერი. მსოფლიოში 15-მდე ფედერაცია თუ ასოციაციაა. აქედან ოთხი – WBC (საბჭო), WBA (ასოციაცია), WBO (ორგანიზაცია), IBF (ფედერაცია) – ყველაზე გავლენიანი და პატივცემული. დანარჩენები, როგორც იტყვიან, თავის ჭიას ახარებენ. შესაძლოა, ვინმე შეგვედაოს, რომ კავშირის ჩემპიონის ტიტულისთვის ჯორჯ ფორმენს, კორი სანდერსს და ჰასიმ რაჰმანსაც უჩხუბიათო. კი ბატონო, ასეა, მაგრამ შემდეგ საბჭოს, ასოციაციის, ორგანიზაციისა თუ ფედერაციის საჩემპიონო ქამრებზეც გაქაჩულან. ისე, თუ ვინმეს სურვილი გაუჩნდება, შეუძლია, საკუთარი ფედერაციაც ჩამოაყალიბოს და საკუთარი ვერსიით მსოფლიო ჩემპიონიც გამოავლინოს. გარდა ამისა, ყველაფერთან ერთად, დიდძალი ფულია საჭირო. ზემოთ ჩამოთვლილი ფედერაციები კი მილიონებს ეთამაშებიან - ამიტომაც ფასობენ. კიდევ უამრავი ფაქტორი არსებობს, მაგრამ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

გუშინდელ დაპირისპირებაზე კი რა მოგახსენოთ. რინგზე, წესისამებრ, ჯერ შლაიგერს უხმეს, შემდეგ – კანდელაკს, რომელსაც მხურვალედ შეეგებნენ. ერთხანს დარბაზი გიორგის სახელს სკანდირებდა. მერე მეტოქის პატივსაცემად საბჭოთა, უკაცრავად, რუსეთის ჰიმნი გაუშვეს სპორტის სასახლის რადიოქსელში, რაზეც შლაიგერმა ხელით ანიშნა მაყურებელს, ფეხზე წამოდექითო. ხალხიც წამოდგა, მაგრამ მე არა – ისედაც ვიდექი და ამის საჭიროება აღარ იყო. საქმე ის არის, რომ ორთაბრძოლის დღეს, დილით, ჟურნალისტებს აკრედიტაციის მაგვარი ბარათები დაგვირიგეს და ადგილიც მიჩვენეს, სადაც უნდა მოვკალათებულიყავი, მაგრამ... საღამოს, როდესაც ჩემი ადგილისკენ გავემართე, დაცვა გადამიდგა - აქ თქვენი ადგილი არ არისო. არანაკლებ შავ დღეში აღმოჩნდნენ ფოტოგრაფებიც. დიდი აყალმაყალისა და ხვეწნამუდარის შემდეგ მათ რინგთან დადგომის ნება დართეს. ისე, სად გაგიგიათ კრივის ტრიბუნიდან გადაღება? კრივი კი ფარსს უფრო ჰგავდა, ვიდრე თუნდაც WBU საჩემპიონო სარტყელისთვის ორთაბრძოლას. ამის თქმის საბაბს ისევ და ისევ კანდელაკის მეტოქე მაძლევს. პირველი რაუნდი ისე წარიმართა, თითქოს მეტოქეები ერთმანეთს ზვერავდნენ. ოდნავ მაინც ღირებული არც კანდელაკს გაუკეთებია რამე და, მით უმეტეს, არც შლაიგერს. მეორე რაუნდში მდგომარეობა ოდნავ გამოსწორდა. შუაწელში კანდელაკმა გერმანელ-რუსს ერთი მოსცხო და იმანაც უმალ, წამიერად ორიენტაცია დაკარგა. გადამწყვეტი, როგორც უკვე ვთქვით, მესამე რაუნდი გამოდგა. თუმცა, შერკინება უფრო ადრეც უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ამდენი ხანი იმისთვის ხომ არ იყურყუტა ხალხმა, რომ ბრძოლა პირველივე რაუნდში დამთავრებულიყო. ერთი სიტყვით, კანდელაკმა ბევრი არ გააჯანჯლა და მეტოქეც რინგზე გაშხლართა.

სხვათა შორის, კანდელაკი ამ ბრძოლისთვის 20 დღე ემზადებოდა. მეტოქის რანგიდან გამომდინარე, ესეც არ იყო საჭირო. კანდელაკმა შლაიგერის ავანჩავანი იცოდა და ამიტომაც თავი არ მოუკლავს. სადარდებელი, ალბათ, არც არჩევნების დღეს ექნება.



## ჩოგბურთი

# რეკორდი აღარ იქნება

ენდი როდიკი ამას ვერასოდეს დაივიწყებს. მან დაკარგა შანსი, ჩოგბურთის ისტორიაში შესულიყო, როგორც ერთადერთი ჩოგბურთელი, ვინც ზედიზედ მოიგო მასტერსის სამივე ტურნირი. როდიკმა ეს შანსი მადრიდის ტურნირის მეორე წრეში, ჩილელ ნიკოლას მასუსთან შეხვედრაში დაკარგა. მასუ ამერიკელისთვის, ალბათ, ცხოვრების ბოლომდე მოსისხლე მტერი იქნება.

საერთოდ, მადრიდის ტურნირის მეორე წრე საკრალური აღმოჩნდა ამერიკელი ჩოგბურთელებისთვის. შეჯიბრებას აშშ-ს ხუთივე წარმომადგენელი დაემშვიდობა. თუ ოთხი ჩოგბურთელის მარცხი სენსაციად არ აღიქმებოდა, როდიკის წარუმატებლობამ ყველა შოკში ჩააგდო. ნიკოლას მასუსთან წაგება... ეს ანომალია იყო.

როდიკი რეკორდზე მიდიოდა. მადრიდის ტურნირის მოგება და... როდიკის სახელი ჩოგბურთის ისტორიის კუთვნილება გახდებოდა, როგორც ჩოგბურთელისა, რომელმაც ზედიზედ სამი მასტერსის ტურნირი მოიგო (მანამდე როდიკმა ცინცინატსა და მონრეალშიც გაიმარჯვა). სიმართლე რომ ითქვას, როდიკი ტურნირის მთავარი ფავორიტი არ იყო, მაგრამ იმის ვარაუდი, რომ მეორე წრეში მასუსთან დამარცხდებოდა, არავის შეეძლო.

დღეს საჩემპიონო რბოლაში ნიკოლას მასუ თავის საკადრის – 31-ე ადგილზეა. კარიერის განმავლობაში ჩილელს განსაკუთრებული არაფერი მოუგია. თუმცა, ეს სეზონი მისთვის ჯერჯერობით ყველაზე წარმატებულია – მოიგო ამორსფოორტსა და პალერმოს ტურნირები და გუშინდლამდე როდიკს არასოდეს შეხვედრია.

ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი) - კარლოს მოია (ესპანეთი, 5) 6:7 (5:7), 6:1, 7:5
ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა) - ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი, 8) 3:6, 7:6 (7:4), 6:2
ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი, 1) - ფელიქს მანტილია (ესპანეთი) 7:6 (7:2), 7:6 (7:0)
იუნეს ელ-აინაუი (მაროკო, 15) - რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4, 7:6 (7:5)
ნიკოლას მასუ (ჩილე) - ენდი როდიკი (აშშ, 2) 7:6 (7:3), 6:2
სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი, 6) - ვინსენტ სპეიდია (აშშ) 6:3, 6:2
როჟე ფედერერი (შვეიცარია, 3) - მარდი ფიში (აშშ) 6:4, 7:6 (7:4)
პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი, 7) - ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) 7:5, 6:4


REUTERS
ნიკოლას მასუმ როდიკის ოცნება დაასამარა.

თამაშის მსვლელობისას არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ მასუ ამბიციურ ამერიკელს პირველივე შეხვედრაში დაამარცხებდა. პირველ სეტში როდიკი დაწინაურდა (5:2) და თითქოს სანერვიულოც არაფერი ჰქონდა. თუმცა, ჩილელმა მოახერხა, მეტოქის ორი მოწოდება აელო და მიაღწია ტაი-ბრეიკამდე, რომელიც 7:3 მოიგო.

საბოლოოდ, სწორედ ეს გახდა გადამწყვეტი. როდიკი ფსიქოლოგიურად გატყდა და მეორე სეტი, პრაქტიკულად, უბრძოლველად დათმო - 2:6. ამდენად, როდიკი დაემშვიდობა ოცნებას, ტურნირის შემდეგ მსოფლიოს პირველი ჩოგანი გამხდარიყო.

"დღეს მე ფანტასტიკური ჩოგბურთი ვაჩვენე. დროდადრო ასეთ დონეზე ვთამაშობ, მაგრამ დღეს საკუთარ თავსაც ვაჯობე. ალბათ, ეს ჩემი კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო", - მატჩის შემდეგ განაცხადა აღფრთოვანებულმა მასუმ.

როდიკთან ერთად ტურნირი დატოვა კიდევ ოთხმა ამერიკელმა – მარდი ფიში, ჟან-მიშელ გემბილი, რობი ჯინეპრი და ვინსენტ სპეიდია სამშობლოში გაემგზავრნენ. რაც შეეხება განთესილებს, როდიკის გარდა, შეჯიბრებას კიდევ ორი გამოაკლდა. ესპანელმა კარლოს მოიამ ფელიციანო ლოპესს, ხოლო ჩეხმა ირჟი ნოვაკმა მესამე წრისკენ მიმავალი გზა ხუან-იგნასიო ჩელას დაუთმო. ასე რომ, ხუან-კარლოს ფერეროსთვის გამარჯვების გზა, პრაქტიკულად, გაიწმინდა.

## TV სპორტი

### შაბათი. 18 ოქტომბერი

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 უკრაინის ჩემპიონატი. "დინამო" – ილიჩევეცი"
14:55 "ექსპერტიზა"
15:25 ბრაზილიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
15:55 ინგლისის ჩემპიონატი. "ლიდსი" – "მანჩესტერ იუნაიტედი". პირდაპირი ტრანსლაცია
17:50 თავისუფალი დარტყმა
18:05 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
18:30 "FUTBOL MUNDIAL"
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" – "ჩელსი". პირდაპირი ტრანსლაცია
20:50 თავისუფალი დარტყმა
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 რუსეთის ჩემპიონატი. "დინამო" – "ტორპედო-მეტალურგი"
22:50 გერმანიის ჩემპიონატი
00:30 ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (01:15) თავისუფალი დრტყმა

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:00, 16:15, 20:30 პრესცენტრი
11:15, 20:45 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. "Masters Series". მადრიდი. მეოთხედფინალი
13:15 "ფარი და ბურთი". პროგრამა ეძღვნება კალათბურთს
14:15 "ყინულის ხანა". პროგრამა ეძღვნება ჰოკეის
15:15 პროფესიული კრივის ამბები
15:45 ამერიკული ფეხბურთი. კვირის მოვლენა
17:30 ჩოგბურთი. "Masters Series". მადრიდი. ნახევარფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:00 ჭადრაკი. ევროპის გუნდური ჩემპიონატი ბულგარეთში
21:30 ბატუტზე ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალები. გერმანია
00:00 როდეო. "Bull Riders"
00:45 ახალი ამბები
01:00 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის. კორი სანდერსი – ლამონ ბრიუსტერი. პირდაპირი ტრანსლაცია გერმანიიდან
03:00 "სპორტული გლობუსი"
03:30 ამერიკული ფეხბურთი. კვირის მოვლენა
04:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "MONTREAL CANADIENS" – "TORONTO MAPLE LEAFS". პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
08:15 მოტორბოლები. ავსტრალიის გრან-პრი
11:15 "სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში"
12:15 მოტორბოლები. ავსტრალიის გრან-პრი
13:00 ფეხბურთი. უეფას თასი
14:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი სან რემოში
14:30 სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში
15:30 ბატუტზე ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
16:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი შვეიცარიაში
19:30 ბატუტზე ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
21:30 ოლიმპიური თამაშები
22:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ბრაზილიაში
23:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ბრაზილიაში
00:00 მულტისპორტი
00:30 ექსტრემალური სპორტი
01:00 ექსტრემალური სპორტი. ექსტრემალური თამაშები - 2003
02:00 ექსტრემალური სპორტი. ექსტრემალური თამაშები - 2003
03:00 ახალი ამბები
03:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი სან რემოში
03:45 მოტორბოლები. ავსტრალიის გრან-პრი
04:15 მულტისპორტი
04:45 ახალი ამბები

# ქართველი "ოქროს მაძიებლები" თურქეთში

*თავდაპირველად ამ კუთხის მცხოვრებლებს ეკლესია-მონასტრების გარშემო მოფუსფუსე უცხო ხალხი მორიგი ოქროს მაძიებლები ეგონათ - ქართული ექსპედიციის წევრები ხომ ყოველ კუთხე-კუნჭულს გულდასმით უტრიალებდნენ. ე.წ. ოქროს მაძიებლები ამ ადგილებში, თურმე, მრავლად დაძრწიან. ამბობენ, - ეკლესიების მახლობლად დიდი განძია ჩამარხული, თუმცა ჯერჯერობით ერთი ოქროც ვერავინ ნახაო. მოხალისე მაძიებლობას კი ძეგლებისათვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. რაც შეეხება განძს, იქ თითოეული ქვა და ლოდი (რომლებიც "ისევ სუნთქავენ ქართულ ოცნებით"), მართლაც, განძია, მაგრამ - მაინც ჩვენთვის და ჩვენი ისტორიისთვის.*

თამარ სუხიშვილი

ამ რამდენიმე ხნის წინ თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის საისტორიო ექსპედიცია თურქეთიდან დაბრუნდა. ექსპედიციის მიზანი იყო ისტორიული საქართველოს – დღევანდელი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთის ტერიტორიის შესწავლა, ისტორიული გეოგრაფიის საკითხების კვლევა, ქართული წარწერების ფიქსაცია და ა.შ. წლევანდელ – პირველ ექსპედიციას, უპირველეს ყოვლისა, გაცნობითი ხასიათი ჰქონდა – ექსპედიციის მონაწილეებმა მოიარეს ყველა პროვინცია, მოიხილეს, თითქმის, ყველა ისტორიული ძეგლი... თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სწორედ ამ ექსპედიციის შედეგად გამოითქვა არაერთი მნიშვნელოვანი ვარაუდი, დადასტურდა რამდენიმე მეცნიერული მოსაზრება და გამოვლინდა და ფოტოებზე დაფიქსირდა ქართული წარწერები, ზემოხსენებულ ექსპედიციას მხოლოდ გაცნობითი ხასიათისას უკვე ვეღარ დავარქმევთ.

ექსპედიციაში ხუთი წევრი მონაწილეობდა: ისტორიკოსები – ბუბა კუდავა, ჯაბა სამუშია, გოჩა საითიძე, ბონდო კუპატაძე და თურქოლოგი ზურაბ პატიაშვილი (ექსპედიცია როინ მეტრეველის თაოსნობით მოეწყო, ფინანსურ მხარეზე კი TBC ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მამუკა ხაზარაძემ და საქართველოს ბანკის პრეზიდენტმა ვლადიმერ პატეიშვილმა იზრუნეს). მოგზაურობამ 15 დღეს გასტანა. ამ 15 დღეში ახალგაზრდა მეცნიერებმა, დაახლოებით, 2 ათასი კილომეტრი გაიარეს, ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტის გაგება, ნახვა თუ აღწერა მოესწროთ.

მოგზაურობის დაუვიწყარი შთაბეჭდილებები ჩვენი გაზეთის სტუმრებმა – ექსპედიციის მონაწილეებმა: ბუბა კუდავამ, ჯაბა სამუშიამ და გოჩა საითიძემ გაგვიზიარეს და ძეგლების მდგომარეობასა და სხვა პრობლემებზეც ბევრი ისაუბრეს.

## რა მდგომარეობაშია ქართული ძეგლები?

"პირველივე შთაბეჭდილება, რამაც ძალიან გაგვახარა, თურქების - როგორც მოსახლეობის, ისე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების, კეთილგანწყობა იყო. ეს კეთილგანწყობა ყოველი ფეხის ნაბიჯზე იგრძნობოდა." ექსპედიციას არანაირი დაბრკოლება არ შეხვედრია, პირიქით, სოფლის მცხოვრებლები ქართველ მეცნიერებს ძალიან ეხმარებოდნენ: გზას მიასწავლიდნენ, ხალხურ გადმოცემებს უყვებოდნენ, რამდენჯერმე დაკეტილი მონასტერი საგანგებოდ ექსპედიციის მონაწილეთათვის გაუღიათ... "ბოლო წლებში კულტურული ძეგლებისადმი დამოკიდებულება ძალიან შეიცვალა. თუ 1967 წელს იქაური მუნიციპალიტეტის თავმჯდომარემ ტბეთის ეკლესია ააფეთქა, რის შედეგადაც ეკლესიის გუმბათი ჩამოინგრა, დღეს უკვე სხვა ვითარებაა. დღეს ტბეთის აღდგენას აპირებენ; მიმდინარეობს ოლთისის ციხის რესტავრაცია; დაასუფთავეს იშხნის ეზო..." – კმაყოფილებით აღნიშნავენ ექსპედიციის მონაწილენი და იქვე დასძენენ, რომ ძეგლების მონახულების მსურველ ტურისტთა რიცხვი თანდათანობით იზრდება, და რაც მეტი ხალხი ჩავა იქ, მით უკეთესი - უფრო თვალსაჩინო გახდება ამა თუ იმ ძეგლის მნიშვნელობა და უფრო იზრუნებენ მის დაცვა-შენარჩუნებაზეო. საკუთარი მოსაზრების სისწორის დასტურად, ქართველი მეცნიერები ნინო ბურჯანაძის თურქეთში სტუმრობას იმოწმებენ: "როცა გაიგეს, - ნინო ბურჯანაძემ დოლისყანა უნდა მოინახულოსო, ეს ტერიტორია სასწრაფოდ დაასუფთავეს... ამიტომ ჩვენ შეგვიძლია, მოვუწოდოთ ქართველ დიდჩინოსნებს, მცირედი ყურადღება გამოიჩინონ. უბრალოდ, ჩავიდნენ და მოინახულონ თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლები..."

და ბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტაო-კლარჯეთის ქართული ძეგლები უკვე საერთაშორისო სამეცნიერო კვლევის ობიექტი ხდება. როგორც გავიგეთ, მომავალ ბიზანტინოლოგთა კონგრესზე, რომელიც ლონდონში გაიმართება, ტაო-კლარჯეთის ძეგლებს ცალკე სექცია მიეძღვნება.

დღეს კი ძეგლების მდგომარეობა ასეთია: ყველაზე კარგად ხახულისა და პარხლის ეკლესიებია შემონახული. ამ ეკლესიებში მეჩეთებია განთავსებული. მოლები აქაურობაზე ზრუნავენ და ქართული ძეგლების ისტორიითაც დაინტერესებულნი არიან; ყველაზე მძიმე დღეში ოშკი და ხანძთაა. ოშკის გუმბათის აფრები ძალიან დაზიანებულია, ხანძთაში კი თვითონ გუმბათია დაბზარული.

"არა გვგონია, ქართულმა მხარემ სერიოზულად მოინდომოს ამ ძეგლების რესტავრაცია და მას რაიმე დაბრკოლება შეხვდეს. პირიქით, თუ ჩვენი დაინტერესება დაინახეს, თურქეთი უფრო აქტიურად ჩაებმება ამ კომპლექსების შენახვა-აღდგენის საქმეში. ეს ეკლესია-მონასტრები ხომ მსოფლიო კულტურის ძეგლებია. უბრალოდ, საკითხი სახელისუფლო დონეზე უნდა გადაწყდეს," - ფიქრობენ ექსპედიციის მონაწილენი და თავიანთ სურვილსაც გვიმხელენ: გვინდა, დავიწყოთ ოშკისა და ხანძთის ტაძრების გადარჩენის კამპანიაო.

## ცოტა რამ მოსახლეობის შესახებ

შავშეთ-იმერხევი, ტაო, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, ბასიანი, ერუშეთი, ჩილდირი (ჩრდილი), სპერი, ლაზეთი – ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები სამ კატეგორიად შეიძლება დავყოთ: ერთნი, რომელთაც არ ახსოვთ, რომ ქართველები არიან; მეორენი, რომელთაც იციან, რომ ქართველები იყვნენ, მაგრამ ენა ვერ შემოინახეს; მესამენი, რომელნიც თავიანთ თავს გურჯებს უწოდებენ და გურჯების ენაზეც ლაპარაკობენ.

ქართული ენა შემდეგ სოფლებშია შემორჩენილი:

კლარჯეთი – ბორჩხა, მურღულის ხეობა, ართვინი;

იმერხევი (თურმე, აქაური მცხოვრებლები ქართულს სკოლაში სწავლობენ; იმერხეველთა დიდ ნაწილს ძველი გვარებიც ახსოვს);

ტაო – ხევეკი, ქობაკი, ბარხი (პარხლის ხეობაში მდებარე ამ სამ მაღალმთიან ქართულ სოფელში სულ ქართველები ცხოვრობენ).

"იქაურ ქართველებს რამდენიმე ნიშნით ამოიცნობს კაცი: ჰაბიტუსით, სამზარეულოთი და ტოპონიმიკით, - ამბობენ ექსპედიციის მონაწილენი, - ბევრმა ოჯახმა თავისი ოდინდელი წარმომავლობის შესახებ არაფერი იცის, სამაგიეროდ, ჭინჭრის ფხალი, ხინკალი, მჭადი ამ ოჯახების ჩვეული კერძებია (სხვათა შორის, ფონეტიკური აპარატითაც საგრძნობლად განსხვავდებიან თურქებისაგან, მაგალითად, ზემოხსენებული კერძების სახელების წარმოთქმა თურქს უჭირს). ეთნიკური მიკუთვნებულობის დადგენაში სოფლებში შემონახული ხალხური თქმულება-გადმოცემებიც გვეხმარებოდა. ეს თქმულებები, ძირითადად, თამარ მეფეზეა – პრინცესა თამარაზე, ვიღაც პრინცესაზე ან ვიღაც ქალზე (თუმცა, ეს ერთი და იგივე ფოლკლორული პერსონაჟია). ჩვენი არ იყოს, ისინიც, თითქმის ყველაფერს თამარ მეფეს მიაწერენ: ეს ხიდი თამარის ხიდიაო, ეს ციხე თამარმა ააშენაო და ა.შ. აი, ერთი თქმულება, ოთხთა ეკლესიის მშენებლობაზე რომ მოგვითხრობს: ხახული, ოშკი და პარხალი რომ აუშენებია, პრინცესას ფული შემოჰკლებია, ოქროს ნაწნავები მოუჭრია, გაუყიდია და ასე აუგია ოთხთა ეკლესია (თუმცა, ისტორია სხვას ამბობს - ეს ეკლესიები დავით კურაპალატის დროს არის აშენებული)."

ბოლო შვიდი წელიწადია, იმერხევში აგვისტოს დასაწყისში სათავის ფესტივალი იმართება. ასე იმიტომ ჰქვია, რომ მთის წვერზეა ერთი მშვენიერი ადგილი, სახელად სათავე, ყველა იჩემებს, - ჩემი ადგილიაო, ფესტივალიც იქ იმართება. უამრავი ხალხი იყრის ხოლმე თავს ამ დღესასწაულზე, ისინიც ჩამოდიან, ადრე ამ ადგილებში ცხოვრობდნენ და მერე ქალაქებში ჩასახლდნენ... წელს ამ ფესტივალზე, სადაც ანჩისხატის მგალობელთა გუნდი და ქართველი მოცეკვავეებიც მონაწილეობდნენ, ქართული საისტორიო ექსპედიციაც მოხვდა, და დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით ჩამოვიდა. ექსპედიციის წევრები მომავალი წლისთვისაც აპირებენ ფესტივალზე ჩასვლას - ასეთი ღონისძიებები ხომ საუკეთესო საშუალებაა ყოფისა და ადათწესების გასაცნობად.



ოშკი



ოშკის გუმბათოვანი თაღი.



ქართული სოფელი ტაოში (ხავეკი)

## ახალი აღმოჩენები

ექსპედიციის მონაწილეებმა თავიანთი მოგზაურობის ყველა მნიშვნელოვანი დეტალი ფირზე აღბეჭდეს. დეტალური ფოტოფიქსაციის შედეგად გაჩნდა უმდიდრესი ფოტოარქივი (3500-მდე ფოტო, თითო ძეგლის 300-400 სურათი) და 9-საათიანი ვიდეომასალა. ექსპედიციის ძირითადი შედეგები ასეთია:

- დადგინდა XI საუკუნის 20-იანი წლებში ეპისკოპოს საბა მტბევარის მიერ "თავსა ტბეთისასა" დაარსებული სვეტის ციხის მდებარეობა. ამ ციხიდან მცირედი ნანგრევებიღაა შემორჩენილი, გოდოლებისა და წყლის რეზერვუარის ნაშთები.

- მოხდა ბასიანის ბრძოლის ადგილის ლოკალიზაცია (ამის საშუალება ადრე არ ჰქონდათ ქართველ მეცნიერებს).

- საინტერესო მასალას მიაკვლიეს ჩილდირის ტბაზე მდებარე კუნძულზე. სპეციალისტებისთვის ცნობილია, რომ აქ შუა საუკუნეებში ქალაქის კომპლექსი არსებობდა. თუმცა ექსპედიციის მონაწილეებმა დააფიქსირეს, რომ ერთ-ერთი კოშკი ორმეტრიანი მეგალითური ქვებით არის ნაგები, რაც პრეისტორიული კვალის შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა ეს უკვე ძველი ისტორიის მკვლევარების გასარკვევია.

- ექსპედიციამ ასევე მოინახულა და ფირზე აღბეჭდა არზრუმის უნივერსიტეტის ოლთისის ფილიალის ეზოში დაცული სტელა (5 მ სიგრძის, 6 ტონამდე სიმძიმის), რომელიც ორიოდე წლის წინ მოსახლეობამ დაბა ოლთისის მახლობლად იპოვა. სტელაზე რამდენიმე გამოსახულებაა შემორჩენილი. მეცნიერთა პირველი ვარაუდით, ეს ან სასაზღვრო ქვაა ან რაიმე ღირსშესანიშნავ მოვლენასთან არის დაკავშირებული. თუმცა ეს შემდგომი კვლევის საკითხია.

- ექსპედიცია გასცდა ისტორიული საქართველოს ფარგლებს და ყარსი და არზრუმიც მოინახულა. სწორედ ყარსისა და არზრუმის ცნობილ მუზეუმებშია დაცული ტაოს, კლარჯეთის, არტაანის და სხვა ტერიტორიაზე ნაპოვნი ექსპონატები. თანაც ამ მუზეუმებში ქართულ ექსპედიციას არ უმუშავია. მეცნიერებმა მართლაც მიაკვლიეს ყარსის მუზეუმის ექსპოზიციაში – "ბიზანტიის იმპერატორების ეპოქა" – ოთხ ქართულ მონეტას (ორი თამარის და ორი რუსუდანის). მათ ისიც გაიგეს, რომ საცავში ჩვენთვის საყურადღებო სხვა ექსპონატებიც ინახება, მაგრამ, ოფიციალური მიმართვის გარეშე, საცავში ჩასვლა ამჯერად ვერ მოახერხეს.

- აღმოჩნდა წარწერები (ასომთავრული, ნუსხური, მხედრული), რომლებიც აქამდე უცნობი იყო ჩვენი მეცნიერებისათვის – ოთხთა ეკლესიაში, პარხალში, იშხანში, დოლისყანაში, ოშკში. მათ შორისაა, პილიგრიმების წარწერები, X საუკუნეში გავრცელებული წითელი საღებავით - სინგურით შესრულებული ხელოსნებისა და მუშების წარწერები და... ყველაზე მნიშვნელოვანი დავით კურაპალატის სამშენებლო წარწერა ოშკში, რომელიც, როგორც ექსპედიციის მონაწილენი აღნიშნავენ, ალბათ, არ ჩანდა ე. თაყაიშვილისა და გ. ჯობაძის ტაძარში ყოფნის დროს და, რომელსაც კიდევ უფრო მეტი სიზუსტე შეაქვს ეკლესიის მშენებლობის თარიღის დადგენაში.

- ლაზეთში ექსპედიციამ მოინახულა ხელოვნებათმცოდნეების მიერ, პრაქტიკულად, შეუსწავლელი რამდენიმე ხიდი და მაკრიალისა და პერონითის დარბაზული ეკლესიები.

## სამომავლო გეგმები

საქართველოში დაბრუნებული ექსპედიცია უახლოეს ხანებში მოგზაურობის ამსახველ ფოტოგამოფენას გამართავს - სამეცნიერო საზოგადოებას გააცნობს ექსპედიციის სამეცნიერო ანგარიშს; და სამეცნიერო კრებულის გამოცემასაც გეგმავს. მეცნიერებს სურვილი აქვთ, რომ ექსპედიცია ყოველწლიური გახადონ.

**ექსპედიციის მონაწილეებმა კიდევ ბევრი საინტერესო რამ გაიხსენეს. ისინი გატაცებით ჰყვებოდნენ ტაოელთა მასპინძლობის შესახებ: კაი ხარო? – ამ სიტყვებით ხვდებოდნენ ისინი სტუმრად ჩასულებს (თურმე, "კარგად ხარ"-ს ნიშნავს და არა "კაი ტიპი ხარ"-ს, როგორც თავიდან ექსპედიციის წევრებს ეგონათ), და "მეც კაი ვარო" (ე.ი. მეც კარგად ვარო), - უპასუხებდნენ. გვიამბეს, როგორ ფერხულობდა (ე.ი. ცეკვავდა) ართვინის ქართული ცეკვების ანსამბლი იმერხევის ფესტივალზე; როგორ უთხრა ტაოში ერთმა მოლამ, - ვიცი, რაც ხდება თქვენთან, "რუსთავი 2"-ს ვუყურებო და, სამწუხაროდ, ისიც, როგორი გულდაწყვეტილი ყოფილა ერთი იქაური მცხოვრები საქართველოში სტუმრობის შემდეგ – სანამ თბილისში ჩამოვიდოდნენ, გზაზე პოლიციამ, აქაური ჟარგონი რომ მოვიშველიოთ, თურქეთის ჩვენებურებს 500 დოლარამდე "აახია".**

# ასტროფიზიკოსები ხმას აძლევენ გენერალ კლარკს

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ

ოთხვარსკვლავიან გენერალ ვესლი კლარკს, რომელიც დემოკრატიული პარტიიდან ამერიკის პრეზიდენტობისთვის იბრძვის, მოულოდნელი მხარდამჭერები აღმოაჩნდნენ – ამერიკელი ასტროფიზიკოსები. რამ აიძულა ისინი, ზეციდან ცოდვილ მიწაზე დაშვებულიყვნენ? ნუთუ მილიარდობით ვარსკვლავი არ ჰყოფნით, პოლიტიკოსი გენერლის სამხრეებზე ოთხმა ვარსკვლავმა რომ გაიტაცათ?

ყველაფერი ალბერტ აინშტაინით დაიწყო, უფრო სწორედ, მისი ფარდობითობის თეორიით, რომელიც, ასევე, გამოიყენეს წინაასაარჩევნო ბრძოლაში. ეს ბრძოლა ყოველთვის უამრავ მოულოდნელობას გვიქადის ხოლმე; მაგრამ, ვინ წარმოიდგენდა, რომ აინშტაინის ფორმულა E=mc2 თეთრი სახლისთვის ომში იარაღად იქცეოდა?

გასულ კვირას გენერალმა ვესლი კლარკმა დაუშვებელი შეცდომა ჩაიდინა. ის თავის მწიგნობრობის დამტკიცებას შეეცადა. ნიუ გემპშირში ნასა-ს მომავლის შესახებ საუბრისას გენერალმა იმედი გამოთქვა, რომ ოდესმე მოხერხდება კოსმოსური ხომალდის შექმნა, რომლის სიჩქარეც სინათლის სიჩქარეზე მაღალი იქნება. გენერალმა თქვა: "რასაკვირველია, მე კვლავ მჯერა, რომ E=mc2, მაგრამ არ მჯერა, რომ მთელი კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში სინათლის სიჩქარის საზღვრებიდან ვერ გავაღწევთ". გენერალმა ისიც ბრძანა, რომ არაერთხელ განუხილავს ეს პრობლემა თავის მეგობარ ფიზიკოსებთან ერთად, მაგრამ ხაზი გაუსვა, - ეს ჩემი ინიციატივაა, რწმენაზე დამყარებულიო.

ამის თქმა იყო და, გენერალს მეტოქეები შეესივნენ – დემოკრატებიც და რესპუბლიკელებიც. ის დაცინვისა და ხუმრობის საგნად იქცა. ბულვარულმა "ნიუ იორკ პოსტმა" კარიკატურაც კი დაბეჭდა, რომელზეც გენერალი კლარკი კაპიტან კერკის, ფანტასტიკური ტელესერიალის, "სტარ ტრეკის" გმირის, კოსმოსური ხომალდის მეთაურის ფორმაშია გამოსახული. გაზეთმა ქირქილით აღნიშნა, რომ გენერალი ფიზიკის ძირითად კანონებთან მწყრალადაა, თითქოს, ყველა დანარჩენი პრეტენდენტი და ამერიკის პრეზიდენტი ნიუტონები და აინშტაინები იყვნენ და ვარსკვლავებს ეთამაშებოდნენ.

ერთხელ აინშტაინმა აღნიშნა, რომ სინათლის სიჩქარეზე სწრაფად რომ შეგვეძლოს გადაადგილება, ტელეგრამების წარსულში გაგზავნას შევძლებდით. ამიტომ "დროში მოგზაურობა არარეალურია". მაგრამ უკანასკნელ დროს ამგვარმა მოგზაურობებმა ფანტასტიკიდან მეცნიერებაში გადაინაცვლა. მათ გამო, სამეცნიერო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე დავობენ, სტატიებსა და წიგნებს წერენ, როგორებიცაა, მაგალითად, კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ფიზიკოს-თეორეტიკოსის კიპ ტორნის "შავი ხვრელები და დროის დეფორმაცია", ან პრინსტონელი ასტროფიზიკოსის რიჩარდ გოტის "აინშტაინის სამყაროს დროში მოგზაურობა". იგივე პრობლემას განიხილავდნენ შარშანაც, კემბრიჯში დიდი ინგლისელი კოსმოლოგის, სტეფან ჰოკინსის 60 წლისთავის საზეიმო აღნიშვნის დროს.

აი, ამიტომ გადაწყვიტეს ასტროლოგებმა, რომ სასწრაფოდ უნდა გამოსარჩლებოდნენ გენერალ კლარკს, რომელსაც მოწინააღმდეგეებმა უმეცრება დასწამეს. მათ პოლიტიკოსებს აუხსნეს: დიახ, აინშტაინის მიერ 1905 წელს, შვეიცარიის საპატენტო ბიუროში მუშაობის ჟამს ჩამოყალიბებულმა სპეციალურმა ფარდობითობის თეორიამ სიჩქარის ზღვარად სინათლის სიჩქარე – წამში 186 ათასი მილი დაასახელა – მატერიისთვისაც და ინფორმაციისთვისაც. მაგრამ, აინშტაინის მიერ 1916 წელს გამოქვეყნებულ ზოგად ფარდობითობის თეორიაში "ღრიჭოა" დატოვებული, რომელიც ამ საზღვრის გადალახვის საშუალებას იძლევა. ამ თეორიის თანახმად, გრავიტაცია სივრცესა და დროს მასითა და ენერგით ამრუდებს, და დრო და სივრცე შეიძლება მოიხაროს ფორმაციებში, რომლებიც სივრცესა და დროში "მოკლე გზას" ქმნიან. ამ "მოკლე გზით" მოგზაურს შეუძლია, გაასწროს იმას, ვინც ჩვეულებრივ სივრცე-დროში სინათლის სიჩქარით მოძრაობს. კეიზ-ვესტერნ-რეზერვ უნივერსიტეტის ასტროფიზიკოსი, ავტორი წიგნისა "ფიზიკა და "სტარ ტრეკი" წერს: "სწორედ სივრცის ეს უცნაურობა იძლევა, პრინციპში, დროში მოგზაურობის შესაძლებლობას". ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც აინშტაინის ზოგად ალბათობის თეორიაში ეს შესაძლებლობა შეიმეცნა, ლოგიკოს-მათემატიკოსი კურტ ჰიოდელი იყო, რომელმაც ამის შესახებ ჯერ კიდევ 1949 წელს დაწერა. სხვათა შორის, სწორედ ამ ეფექტზეა აგებული ფილმი "კონტაქტი", რომელშიც მთავარ როლს ჯოდი ფოსტერი ასრულებს და, რომელსაც ცნობილი ასტრონომის, კარლ საგანის ამავე სახელწოდების რომანი დაედო საფუძვლად.

ცხადია, არავინ იცის, შესაძლებელია თუ არა "მოკლე გზის" პრინციპის პრაქტიკულად განხორციელება. ცნობილია ე.წ. "ბებიას პარადოქსი", – მოგზაურობა წარსულში, როცა მოგზაური თავის ბებიას კლავს. თუკი ეს რეალურია, ამას არნახული სახსრები დასჭირდებოდა. "ეს უკვე ფიზიკოსების კი არა, პოლიტიკოსების საქმეა,"- ირონიულად აღნიშნავს ასტროფიზიკოსი გოტი.

მაშ ასე, ფიზიკოსებმა და ვარსკვლავთმრიცხველებმა, პარტიული მიკუთვნილებისგან განურჩევლად, გენერალ ვესლი კლარკს დაუჭირეს მხარი. კრაუსის თქმით, გენერალმა "სწორად შეაფასა სინათლის სიჩქარეზე დიდი სისწრაფით მოგზაურობა, და ამ შესაძლებლობის რწმენაც სწორია, რადგან ჩვენ ამგვარი ღონისძიების დეტალები ჯერჯერობით არ ვიცით".

რასაკვირველია, მათემატიკოსები, ფიზიკოსები და ასტროფიზიკოსები შეერთებულ შტატებშიც კი არ არიან ისეთი რაოდენობით, რომ გენერალ კლარკს წინასწარ არჩევნებზე, და შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებზე წარმატება გაუნაღდონ. და თუმცა ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრების სიცრცე-დროში "შავი ხვრელები" უხვად მოიპოვება, შეუქმნიან თუ არა ისინი გენერალ კლარკს "მოკლე გზას" თეთრი სახლისკენ, ეს ჯერჯერობით რწმენის საკითხია და არა რეალობისა. მაგრამ, ამისთვის საჭირო გიგანტური ფულადი სახსრები, პირიქით, რწმენა კი არა, რეალობაა - ისევე, როგორც E=mc2.


აინშტაინი - ბრძოლის იარაღი.



"ვარსკვლავთმრიცხველი" გენერალი კლარკი.

## სკანვორდი




## TV პროგრამა

18 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** ფიფქია **09.50** დათვების ქალაქის ზღაპრები **10.20** სპეცრაზმი **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები" **18.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები" **19.00** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა **19.35** დოკ. ფილმი „თანამედროვე ტექნოლოგიები" **20.05** სერიალი „მაქსი" **21.00** კურიერი PS **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** ფსიქო. მხ.ფ. „ცხელი ზაფხულის სამი დღე" რეჟ: მერაბ კოკოჩაშვილი. **02.20** მხ.ფილმი „მწვანე ბილიკი". მთ. რ-ში: ტომ ჰენკსი, დევიდ მორისი.

### პირველი არხი

**08.00, 15.00** მოამბე **08.15** მხ. ფილმი „ხელმეორედ ქორწინება" **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** თბილისი და თბილისელები **12.35** პოზიცია **13.25** კვალი **13.55** საწინდარი **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.15** საპარლამენტო არჩევნები **17.15** მულტსერიალი „კიტუ" **17.25** „ასე ვცხოვრობთ" **18.00** „ვესტნიკი" **18.45** „თბილისის დროით" **19.05** ისტორიანი **19.35** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა **20.00, 00.00** მოამბე **20.35** ცაიტნოტი **21.45** პრესეკრანი **22.15** ფორტუნა **22.50** პროფათეული **23.25** ამბობენ **00.15** მხ. ფილმი „ფრედის ანგელოზები" **02.00** ღამის ჯაზი .

### პირველი სტერეო

**09.00** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ფილმი **15.00** მუსიკა **16.00** ფილმი „ჩარლის ანგელოზები" მთ. რ-ში კამერონ დიასი, დრიუ ბერიმორი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართული მუსათეული **22.35** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** „ბრავო" „ჩარლის ანგელოზები 2" მთ. რ-ში კამერონ დიასი, დრიუ ბერიმორი. **01.50** „ღამურა" „ბოროტი ზეცა" მთ. რ-ში კვონგ ლი. **03.45** პაუზის გარეშე.

### მზე

**09.00** მულტფილმი „ასტერიქსი ამერიკას იპყრობს" **10.35** საბ. სერიალი „ბარნუმი" **11.30** დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი" **12.00** ფეხბურთი მზეზე **12.30** დეტექტ. სერიალი „კონან დოილის ქრონიკები" **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.00** საინფ. გამოშვება „მზერა" **18.05** სერიალი „სენტიმენტალური ბედი" **19.00** ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. **20.50** საინფ. გამოშვება „მზერა" **21.20** მხ. ფილმი „დასაკარგი არაფერია" **23.10** მხ. ფილმი „მომაკვდინებელი იარაღი-4".

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი **19.30** გლობუსი **20.00** ჯანმრთელობა **20.30** მიზანი **21.00** „ქვეყნები - ისრაელი" 1-ლი ნ. **21.30** წარსულის ტერიტორია **22.00** ოქტაგონი **22.45** მხ. ფილმი „ჰოლივუდის ნიშნით".

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი „ჩვილის გასეირნება" **13.30** მხ. ფილმი „მართალი ძაღლებსა და კატებზე" **15.00** მხ.ფილმი „დეივი" **17.00** მხ. ფილმი „რონინი" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს" **19.20** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი „სახელმწიფოს მტერი" **23.00** დოკ. ფილმი **00.20** მხ. ფილმი „ბნელი ისტორიები ყველასთვის".

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი „თავგადაპარსულნი" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 18.30, 21.55, 01.00** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი **18.00, 19.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.30** მულტფილმი **20.30** ლიტერატ. გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მხ. ფილმი „სასიკვდილო ცდუნება" **02.30** მუსიკა .

### მეცხრე არხი

**08.20** მხ. ფილმი „ბენ ჰური" 1-ლი ს. **10.30** სერიალი „მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი „მგელი" **13.15, 16.20, 17.50, 22.00** მუსიკა **13.30** დოკ. ფილმი „კუდიანი ამბები" **14.00** მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** „ყვითელი კვადრატი" **15.10** სერიალი „პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი „ღამის ექიმები" **16.35** დოკ. სერიალი „უჩვეულო კოლექცია" **17.00** სერიალი „სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა" **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები" **19.00** „საუბრები სტუდიაში" **20.00** დოკ. სერიალი „ფაქტზე დაჭერა" **21.15** სერიალი „საფრთხის ზღვარზე" 1-ლი ს. **22.20** „ტელემეტრი" **22.30** „ოლიმპი" - ჩელენტანო **22.50** მოკლ.მხ.ფილმი „გაწყვეტილი გრაფიკი" **23.20** „ცხელი ცხრიანი" **00.30** მხ. ფილმი „შეუმჩნეველი ნადირობა".

### იმედი

**09.00** ქრონიკა **09.15, 12.20, 14.50, 01.45** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი „სიყვარული უდაბნოში" **10.20** ანიმაციური სერიალი „სამი ახალბედა" **10.45** მხ. ფილმი „სასოწარკვეთილნი, მაგრამ არასერიოზულნი" **12.30** სერიალი „რელიქვიების მაძიებელი" **13.00, 15.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.20** ქრონიკა **13.10** სერიალი „რელიქვიების მაძიებელი" **13.40** თოქ-შოუ „არჩევანი თქვენ" **15.15** მხ. ფილმი „ადამიანი არამიდან" **17.00** რაგბის მსოფიო ჩემპიონატი: სამხ. აფრიკა-ინგლისი **18.30** ერთხელ ჰოლივუდში **19.20** მხ. ფილმი „დაუსრულებელი შუაღამე" **21.05** ქართ. სერიალი „ყავა და ლუდი" **22.45** კლიპ-ლოტო **23.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **01.20** რაგბის მსოფიო ჩემპიონატის მიმოხილვა.

### აჭარა

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" **09.30** მულტსერიალი **10.30** სათავგადასავლო ფილმი „ალმაზის კუნძული" **12.20** ფანტასტიკა „სამაგალითო მამრი" **13.50, 14.05, 00.40** მუსიკა **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.30** კრიმინალური მელოდრამა „ალისა" **16.20** მულტფილმი **17.25** საბავშვო კომედია „სკუპი დუ" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.25** მელოდრამა „ონასისი: ყველაზე მდიდარი კაცი" 1ს. **21.55** „ბუხარი" **23.00** „Слово" **23.30** დოკუმენტური ფილმი **00.45** „ქართული კინო" **02.30, 03.40** დოკუმენტური ფილმი **04.20** კომედია „საუკეთესო დრო".

### VII არხი

**18.10** მობილურები **19.00** „აჩიკუდა **19.20** „ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით **19.35** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.05** „ნა-ნა-ნა"-კარაოკე **21.10** მელოდია **21.30** აუდიო-ვიდეო-ტელე **21.55** მელოდია **22.40** „კინოკლუბი" - „რობინზონ კრუზო". სათავგადასავლო. რეჟ: ჰორჰ მილერი. როლებში: პირს ბროსნანი, უილიამ ტაკაკუ. 01.40 კომპიუტერული ტექნიკა .

### ОРТ

**07.00, 11.00, 13.00, 19.00** Новости **07.10 Худ.фильм „Осенняя история", 1 с. 08.30** „Шутка за шуткой" **09.00** Сериал „Твинисы" **09.20** „Играй, гармонь любимая!" **10.00** „Слово пастыря" **10.10** „Здоровье" **11.10** „Смак" **11.30** Док.фильм „Лицо Домогарова" **12.30** „Просто смех!" **13.10** „История с географией". „Муравьи - убийцы" **14.10** „Программа передач на вчера" **15.00** „Ералаш" **15.15** Дисней-клуб: „Геркулес" **15.40** „Умницы и умники" **16.20 Детектив „Осторожно! Красная ртуть!" 17.50** „КВН-2003". Премьер-лига **20.00** „Кто хочет стать миллионером?" **21.00** „Последний герой". „Конец игры" **22.00** „Время" **22.30** „Розыгрыш" **23.30** „Золотой Граммофон" **00.30 Боевик „Пекло" 02.40 Триллер „Птицы" 04.50 Худ.фильм „Молодые американцы".**

### РТР

**06.50 Худ.фильм „Голубая стрела" 08.20 Сериал „Дракоша и компания" 08.45** „Золотой ключ" **09.05** „Русское лото" **09.35** Мультсериал „Том и Джерри" **09.50** „Большая перемена" **10.20** Маленькие комедии „Ха" **10.30** Результаты голосования: „Народный артист - Ваш выбор!" **10.45** „Утренняя почта" **11.20** „Не скуЧАЙ!" с М.Евдокимовым **12.20** „Сам себе режиссер" **13.15** „Крутой маршрут" **14.15** „Клуб сенаторов" **15.00, 21.00** „Вести" **15.20 Детектив „Контрабанда" 17.00 Футбол. Чемпионат России. „Ростов" (Ростов-на-Дону) - „Зенит" (Санкт-Петербург) 19.00** „Веселый концерт 2" **21.25** Зеркало **21.50** „Честный детектив" **22.20** „Аншлаг" **23.20 Боевик „Загнанный" 01.15 Триллер „Тринадцатый этаж" 03.20** „Горячая десятка" **04.20 Сериал „Клоун".**

### НТВ

**06.55 Боевик „Никогда не говори „никогда" 09.00, 13.00, 17.00** „Сегодня" **09.20 Худ.фильм „Улица Сезам" 09.45 Худ.фильм „Та-ра-рам!" 09.55** „Без рецепта". Доктор Бранд **10.30** „Обозреватель" **11.05** „Кулинарный поединок" **12.00** „Квартирный вопрос: музыка витражей" **12.55** Спорт „Лото 6 из 49" **13.20** Экспедиция Т. Баженова „Дикий мир" **14.05 Комедия „Бэйб" 16.05** „Своя игра" **17.20** „Женский взгляд". Е.Дога **17.55 Сериал „Коллекция Даниэлы Стил: только раз в жизни", 1 с. 19.05** Док.фильм „Новейшая история: любите родину мать вашу" **20.00** „Личный вклад" **21.00 Боевик „Красный змей" 23.05 Боевик „Дом у дороги" 01.35** „Ночные музы" **02.05** „Стиль от..." Р.Литвиновой **02.20** „Просто цирк" **02.50** „Про дизайн" **03.15 Сериал „За гранью возможного".**



# ნიკოლას კეიჯი

## ახალი გატაცებით

სანამ თბილისში, ნიკოლას კეიჯის მონაწილეობით, რიდლი სკოტის ახალ ფილმს უყურებენ, მსახიობი ახალ პროექტზე იწყებს მუშაობას და კრივის წესებში გარკვევას ცდილობს. სურათს რეალურად არსებული მოკრივის, ბილი როტის ცხოვრებაზე იღებენ. ყოფილი ჩემპიონი, ლუიზიანელი როტი 44 წლის განმავლობაში მოხალისედ მუშაობდა ლუიზიანას ციხეებში და პატიმრებს კრივს ასწავლიდა. მისი ცხოვრება ერთხელ უკვე აღწერეს დოკუმენტურ ფილმში "ცეკვა – ბილი როტის ისტორია".

"მიუხედავად იმისა, რომ როტის ცხოვრება ძალზე მძიმეა, ამ ამბავმა ჩემზე მაინც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა", - ასე ახსნა კეიჯმა ფილმში მონაწილეობის სურვილი. შეგახსენებთ, რომ მსახიობმა 2002 წელს რეჟისორობაშიც სცადა ბედი - კეიჯის გადაღებულია ფილმი "სონი", რომელშიც მთავარ როლს თვითონ ასრულებს.




# არამუსიკალური ჯილდო

ბარბრა სტრეიზანდს ადამიანის უფლებების დაცვისათვის სპეციალურ ჯილდოს გადასცემენ. მას ჰომოსექსუალისტების, რელიგიური თავისუფლების, რასობრივი და სქესობრივი თანასწორობის მხარდაჭერისთვის დააჯილდოებენ.

პრიზს ყოველწლიურად გასცემს ჯგუფი, რომელიც ლესბოსელებს, ბისექსუალებს და ტრანსექსუალებს ლობირებს. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის ელიზაბეტ ბირკის თქმით, სტრეიზანდი უკვე წლებია ჰომოსექსუალისტთა უფლებებს იცავს. ჯერ კიდევ 1992 წელს მან კოლორადოს შტატში ერთი მიუღებელი კანონპროექტის წინააღმდეგ აიმაღლა ხმა. მას შემდეგ მომღერალი ჰომოსექსუალისტთა ორგანიზაციებს ფინანსურადაც უჭერს მხარს.



# სტინგი

## ჰუმანიზმისთვის ჯილდოვდება

ხმის ჩამწერი აკადემია, რომელიც უკვე 14 წელია, ყოველწლიურად გასცემს ჯილდოებს სოციალურად აქტიური მუსიკოსებისთვის, წელს სტინგს აჯილდოებს. პრიზს MusiCares Person ჰქვია და მას მომღერალს 6 თებერვალს, ლოს ანჯელესში გამართულ გალა-კონცერტზე გადასცემენ. ამით აკადემია ოფიციალურად აღიარებს, რომ სტინგი წლის გამორჩეული მუსიკოსი და ადამიანის უფლებების აქტიური დამცველია.

6 თებერვლის გალა-საღამო კი, შეიძლება, გრემის ფესტივალის ნაწილადაც განვიხილოთ. გრემის დასკვნით ცერემონიალამდე ერთი კვირით ადრე ხომ ყოველწლიურად მრავალფეროვანი ღონისძიებები იმართება. 6 თებერვლის საღამოს კი, სტინგის დაჯილდოების პარალელურად, შედგება აუქციონიც. შემოსული თანხა გადაირიცხება ფონდში, რომელიც მუსიკალური ინდუსტრიის წარმომადგენლებს საჭიროების შემთხვევაში ეხმარება.

გრემის ფესტივალი პიკს წელს, 8 თებერვალს მიაღწევს – 46-ე საზეიმო საღამო ლოს ანჯელესში, "სტეიპლზის" ცენტრში მოეწყობა.

რაც შეეხება სტინგისთვის გადასაცემ ჯილდოს, მას აკადემია 1989 წლის შემდეგ გასცემს. წინა წლებში გამორჩეული საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის დაჯილდოებულნი არიან: ბონო, ბილი ჯოელი და ელტონ ჯონი.













# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.